



## მთკიცების

## ტვირთი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი

თბილისი  
2018

## მარა ახალაწი

### მთკიცების

### ტვირთი

(2015-2017 წლის I ნახევარი)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატის პრაქტიკის ანალიზი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ეროვნული  
სასამართლო პრაქტიკის  
შესწავლისა და განზოგადების განყოფილება

თბილისი  
2018

სტილისტ-რედაქტორი

**სოფიო გამულაშვილი**

ტექნიკური რედაქტორი

**მარია გალალაშვილი**

© საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2018

## **შემოკლებანი**

გვ-  – გვერდი

სკ  – საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

სსკ  – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

სუსგ  – საქართველოს უზენაესი სასამართლოს

გადაწყვეტილება

## საპირელი

### თავი 1

შესავალი ..... 8

### თავი 2

მტკიცების ტვირთის განაწილების წესი ..... 11

### თავი 3

#### უდავო ფაქტები

3.1. პრეცენტიული ფაქტები ..... 14

3.2. აღიარება ..... 18

3.3. დუმილი (თანხმობა) ..... 21

### თავი 4

#### მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი წესი

4.1. სესხის სახელშეკრულებო-სამართლებრივ დავებში

მტკიცების ტვირთის განაწილების თავისებურება ..... 25

4.2. სარგებლის მართლზომიერების მტკიცების ტვირთი ..... 29

4.3. პირგასამტებლოს წყონაშის მართლზომიერების  
მტკიცების ტვირთი ..... 30

4.4. განერობინების ფინანსურობის დადგენის  
მტკიცების ტვირთი ..... 32

4.5. ნასყიდობის ხელშეკრულების დადგენისა და  
ნასყიდობის საგრის გადაცემის დადასტურების მტკიცე-  
ბის ტვირთი ..... 33

4.6. ნივთის ნაკლის დასაპუთის მტკიცების ტვირთი ..... 33

4.7. ნივთობრივი ნაკლის მოწვევებითი გარიგების დროს ..... 34

4.8. მტკიცების ტვირთი მოწვევებითი გარიგების დროს ..... 34

4.9. მტკიცების ტვირთი  
ნარდობის სახელშეკრულებო დავებში ..... 35

4.10. მტკიცების ტვირთი მაულდების  
საერთო ვალების გაყოფისას ..... 37

4.11. მტკიცების ტვირთი სამაზობლო დავებში ..... 38

4.12. მტკიცების ტვირთი შრომით-სამართლებრივ დავებში ..... 39

### თავი 5

#### მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალური (კერძო) წესი ..... 40

5.1. მტკიცების ტვირთი და მტკიცებულებითი პრაზუაციები ... 42

5.1.1. მტკიცების ტვირთი და მტკიცებულებითი პრეზუმულებითი  
პრეზუმუმფიცია სავინდიკაციო დავებში ..... 43

5.1.2. პრეზუმუმფიცია სადაცო თანხის კუთვნილების შესახებ  
მოსარჩელის სასარგებლოდ ..... 45

5.1.3. ვალდებულების შესრულების პრეზუმუმფია ..... 47

5.1.4. ფულადი ვალდებულების შესრულების პრეზუმუმფია  
მოპასუხის სასარგებლოდ ..... 48

5.1.5. მოძრავ ნივთებზე მოსარჩელეთა საკუთრების პრეზუმუმფია ..... 50

5.1.6.	სასამართლომ იმ საფუძვლით, რომ ექსპერტს ხელშეკრუ- ლებასა და შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის მოპასუხისადმი კუთვნილების საკითხი ეატეგორიული დასკვნით არ უარყოფია, დაუშვა ხელმოწერის პრეზუმაცია მოსარჩელის სასარგებლოდ ..... 51
5.1.7.	პრეზუმაცია სესხის სახელშეკრულებო-სამართლებრივ დავებში ..... 53
5.1.8.	პრეზუმაცია რწმუნებულის (მოსარჩელის) სასარგებლოდ .. 53
5.1.9.	პრეზუმაცია მოსარჩელის სასარგებლოდ მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებით ..... 54
5.1.10.	პრეზუმაცია მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხის-სახელმიწიფის წინააღმდეგ ..... 55
5.1.11.	მოსარჩელის სასარგებლოდ სამედიცინო დაწესებულების ბრალით ჯანმრთელობის დაზიანების პრეზუმაცია ..... 60
5.1.12.	დაშავაქმებლის სახელით ხელშეკრულების გაფორმების პრეზუმაცია დასაქმებულის სასარგებლოდ ..... 61
5.1.13.	საწარმოს დირექტორის პასუხისმგებლობის მტკიცების ტვირთი და პრეზუმაცია მოწინააღმდეგის სასარგებლოდ .... 62
5.1.14.	კანონისმიერი პრეზუმაცია მოსარჩელის სასარგებლოდ დავაში სასაქონლო წინაინდონის თაობაზე ..... 63
5.1.15.	მტკიცების ტვირთი და პრეზუმაცია ქრომითსამართლებრივ დავებში ..... 64
5.1.16.	შესრულების კონდიციიდან გამომდინარე დავაში ვალდებულების არსებობის პრეზუმაცია ვითომ-კრედიტორის სასარგებლოდ ..... 69

## თავი 6

### შეცდომები მტკიცების ტვირთის განაწილებისას

6.1.	მტკიცების ტვირთი საიჯაროსამართლებრივ დავაში არასცორად განაცილება ..... 71
6.2.	მოაასუხის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს არასცორად დაეკისრა ..... 72
6.3.	მიუღებელი შემოსავლის მტკიცების ტვირთი მოაასუხეს არასცორად დაეკისრა ..... 73
6.4.	ცერილობითი მტკიცებულების შეფასებისას, სასამართლო არასცორად გადაანაცილა მტკიცების ტვირთი და მოვალის სამტკიცებელი ტვირთი კრედიტორს დააკისრა ..... 74
6.5.	ამხანაგობის კრაგის ძრობის ჩათილად ცნობის შესახებ დავაში სასამართლომ მოსარჩელეთი მტკიცების ტვირთი მოაასუხეს დაეკისრა ..... 76
6.6.	ცილის ნასყიდობის ხელშეკრულების ჩათილად ცნობის შესახებ დავაში სასამართლომ არასცორად გამიჯნა და გაანაცილა მხარეთა შორის ფაქტობრივი გარემოებების მითითებისა და მტკიცების ტვირთი ..... 77

## თავი 7

### სამართლებრივი დასკვნა ..... 78

## თავი 1

### შესავალი

მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შემოღებით კონცეპტუალურად შეიცვალა სამოქალაქო საქმეებზე მართლშესაჯულების განხორციელების შინაარსი. პროცესის წმინდა ინკვიზიციური ხასიათი დისპოზიციურობისა და შეჯიბრობითობის პრინციპებზე აგებულმა სისტემამ ჩაანაცვლა.

საქმე განიხილება და გადაწყვეტილება მიიღება მტკიცების საშუალებით. ლიტერატურაში არსებული მოსაზრებით, მტკიცება მხარეთა შორის წამოჭრილი დავის არსებითად გადაწყვეტის მიზნით მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადგენაა. მტკიცების საგანი კი, ერთი მხრივ (ფართო გაგებით), განისაზღვრება, როგორც სამოქალაქო პროცესში სარჩელის საფუძვლისა და შესაგებლის იურიდიული ფაქტების ერთობლიობა, რომელზედაც მიუთითებს მატერიალური სამართლის ნორმა<sup>1</sup>, ხოლო, მეორე მხრივ (ვიწრო გაგებით), მტკიცების საგნის განსაზღვრისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა სარჩელში და შესაგებელში მითითებული სადაცო, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები<sup>2</sup>. სასამართლო პრაქტიკის მიხედვითაც, სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანს წარმოადგენს სადაცო მატერიალურსამართლებრივ ფაქტები, რომელზეც მიუთითებენ მოსარჩელე და მოპასუხე, მოთხოვნის თუ შესაგებლის დასაბუთების ან გაქარწყობისათვის.<sup>3</sup>

ერთ-ერთ მნიშვნელოვან საქმეზე<sup>4</sup> საკასაციო სასამართლო სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართალში მტკიცების საგანს შეადგენს ის გარემოებები, რომლებსაც პროცესუალურ სამართალურთიერთობებში წარმოადგენს სამართლებრივი ფაქტები. მხარეთა მიერ მტკიცების ტვირთის რეალიზებასა და მტკიცების საგნის განსაზღვრას ახასიათებს მჭიდრო ურთიერთკავშირი, რადგა-

<sup>1</sup> თ. ლილუაშვილი, „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, 2005, თბილისი, გვ.212. შ.ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, 2015, მერიდიანი, გვ. 270-272, 274.


<sup>2</sup> ი. გაგუა, „მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, 2013, მერიდიანი, გვ. 62.

<sup>3</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება, საქმე №ას-664-635-2016, 2 მარტი, 2017 წელი. §202.

<sup>4</sup> იქვე, §192, (ასევე, სუსგ-ები №ას1020-963-2015, 25.11.2015წ; №ას-522-495-2014, 05.06.2015წ. და №ას-1024-982-2014, 28.09.2015წ.)

ნაც სასამართლოში ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა დაკავშირებულია განსაზღვრული ფაქტების დადგენასთან. სწორედ ამიტომ, მტკიცების საგანს პროცესუალურ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ასეთივე პრინციპული მნიშვნელობის მქონეა პროცესუალური საკითხი მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების შესახებ.

საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები თვალსაჩინოებისთვის შეიძლება, შემდეგი სქემით გამოვსახოთ.



საქმის არსებითად გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანი ფაქტების ნაწილი არ საჭიროებს მტკიცებას. ეს შეეხება საყოველთოდ ცნობილ, პრეიუდიციულ და ე.წ. უდავო ფაქტებს.

მხარეებს (ზოგიერთ შემთხვევაში, პროცესის მონაწილე სხვა სუბიექტებსაც: მესამე პირები, განმცხადებლები) ანევთ დასადგენი ფაქტების (პრეზუმუციებისა და სადაც ფაქტების) დამტკიცების ვალდებულება, ანუ მტკიცების ტვირთი. (onus probandi) დამტკიცების ტვირთი (კანონისმიერი ტერმინი – მტკიცების ტვირთი) – ესაა სამოქალაქო სამართალწარმოებაში მხარეებისათვის საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი

გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელ-  
მაც ეს ვალდებულება არ (ვერ) შეასრულა<sup>5</sup>.

სხვანაირად, მტკიცების ტვირთი არის დავის მონაწილე  
მხარის იურიდიული მოვალეობა – შეასრულოს გარკვეული  
პროცესუალური მოქმედება. ამ მოვალეობის შეუსრულებლო-  
ბისთვის სანქცია ისაა, რომ არახელსაყრელი მატერიალურ-სა-  
მართლებრივი შედეგები გარდაუვალი ხდება იმ მხარის მიმართ,  
რომელმაც ეს პროცესუალური ვალდებულება არ შეასრულა<sup>6</sup>.

მტკიცების ტვირთის სწორად განაპირობებს საქ-  
მეზე დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღე-  
ბას. კვლევაში მოცემულია მტკიცების ტვირთის შესახებ საქარ-  
თველის უზენაესი სასამართლოს ბოლო დროინდელი გადაწ-  
ყვეტილებები და მათი ანალიზი, რაც მიუთითებს საქმის სწორი  
გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვან საკითხზე სასამართლო პრაქ-  
ტიკასა და დოქტრინაში არსებულ ტენდენციებზე.

---

<sup>5</sup> თ. ლილუაშვილი, „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, 2005,  
თბილისი, გვ. 224.

## თავი 2

### მტკიცების ტვირთის განაწილების წესი

მტკიცების ვალდებულება (ტვირთი) მხარეთა შორის ნაწილ-დება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემ-დებში: სსკ-ის) 102-ე მუხლის პირველი ნაწილით (თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებას და შესაგებელს) დადგენილი ზოგადი წესისა და მატერიალური კოდექსის (ზოგჯერ კი სსკ-ის) ნორმებით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევაში განსაკუთრებული წესით. მატერიალური სამართლის ნორმები (ზოგჯერ კი სსკ-ის) ითვალისწინებს გამონაკლის ზოგადი წე-სიდან იმ მხრივ, რომ ამ ნორმებით ფაქტის დამტკიცების ან ფაქ-ტის უარყოფის ვალდებულება არა იმ მხარეს დაეკისრება, რო-მელიც ამ ფაქტს ადასტურებს (ამტკიცებს), არამედ მოწინააღ-მდეგე მხარეს (პრეზუმაცია). მტკიცების ზოგადი წესი მოქმე-დებს იმ შემთხვევაში, როცა მატერიალური სამართლის (ან სსკ-ის) ნორმებში არ არის სპეციალური მითითება მტკიცების ვალ-დებულების ანუ ტვირთის განაწილების შესახებ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატამ არაერთ გადაწ-ყვეტილებაში განმარტა მტკიცების პროცესის, მტკიცების საგ-ნის, მტკიცების ტვირთის რაობა და მნიშვნელობა საქმეზე არ-სებითი და სწორი გადაწყვეტილების მიღებისას. სასამართლო პრაქტიკის განმარტებები ესატყვისება იურიდიულ საპროცე-სო მეცნიერებაში არსებულ მოსაზრებებს.

საკასაციო სასამართლოს აზრით<sup>7</sup>, სამოქალაქო საქმეზე და-საბუთებული გადაწყვეტილების მიღების ერთადერთი გზა მტკი-ცებაა, რომლითაც დგინდება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები. მტკიცების პროცესში იგულისხმება პროცესის მონაწილე სუბიექტების საქმიანობა, მიმართული საქ-მის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების არსე-ბობის ან არარსებობის დასადგენად. პროცესის მონაწილე მხა-რეთა და სასამართლოს მტკიცებითი საქმიანობა, მოცუავს შემ-დეგ სტადიებს: მტკიცების საგნის განსაზღვრა; მტკიცებულე-ბათა შეგროვება (მტკიცებულებათა გამოვლენა, მათი შეკრება და სასამართლოში წარდგენა); მტკიცებულებათა სასამართლო-

<sup>6</sup> ი. გაგუა, „მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, 2013, მერიდიანი, გვ.217.

<sup>7</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, (შემდებში: სუსგ), 24 ოქტომბერი, 2017 წელი, საქმე №ას-1206-1166-2016 წელი.

ში გამოკვლევა; მტკიცებულებათა შეფასება. დამტკიცებას საჭიროებს ის გარემოებები, რომლებიც ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნასა და სარჩელის ფაქტობრივ გარემოებებს, მოწინააღმდეგე მხარის მიერ სარჩელის ფაქტობრივი გარემოებებისა და სასარჩელო მოთხოვნის უარყოფას, ასევე, საქმის არსებითი გადაწყვეტილობის მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

საკასაციი პალატამ მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების წესზე სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილისა (თოთოულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს) და ამავე კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის (მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები) საფუძველზე აღნიშნა, რომ **სადაცოდ** მიჩნეული უფლების კანონიერება უნდა დამტკიცდეს. მხარეს დარღვეული უფლების დაცვა კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით შეუძლია და ამ ფაქტების მითითება მხარის პრეროგატივაა. საქმის სწორად გადაწყვეტილობის მნიშვნელობის მქონე ფაქტები, რომელიც სადაცოა, დამტკიცებას საჭიროებს, ხოლო ფაქტების დამტკიცების ტვირთი ფაქტების მიმთითებელ მხარეებს ეკისრებათ. გამონაკლისს წარმოადგენს მატერიალური სამართლით გათვალისწინებული შემთხვევა, როდესაც ფაქტების დამტკიცების ტვირთი აჩა თუ იმ ნორმით განსხვავებულადა მოწესრიგებული. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის სწორად გადანაწილებას არა მარტო საპროცესოსამართლებრივი, არამედ არსებითი მატერიალურსამართლებრივი მნიშვნელობაც აქვს, ვინაიდან მხარის მიერ ამ მოვალეობის შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად განხორციელებას, შედეგად მოჰყვება ამავე მხარისათვის უარყოფითი, არახელსაყრელი შედეგი<sup>8</sup>. მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის მიხედვით, მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს<sup>9</sup>.

სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. სსკ-ის მე-3 მუხლით, დისპოზიციურობის პრინციპის მიხედვით, დადგენილია შეჯიბრებითობის პრინციპით ფაქტების დადგენა. მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის თანაბრადა გადანაწილებული, მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი მტკიცებულებები გამოიყენონ ამა თუ იმ ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებ-

<sup>8</sup> სუსგ, №ას-944-894-2015, 27 ნოემბერი 2015, №ას-315-300-2015, 5 თებერვალი, 2016 წელი.

<sup>9</sup> სუსგ, №ას-1294-1214-2015, 27 ივნისი, 2016 წელი.

ლად. მოდავე მხარეებმა უნდა წარმოადგინონ მტკიცებულებები, რომლითაც დადგინდება სარჩელსა და შესაგებელში მითითებული გარემოებების უტყუარად არსებობა. დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები გულისხმობს მხარეების ვალდებულებას, წარმოადგინონ სარჩელში და შესაგებელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების უფრო მყარი და დამაჯერებელი მტკიცებულებები, რითაც სასამართლოს შეუქმნიან საკუთარი პოზიციის სარწმუნო სამართლებრივ საფუძველსა და შინაგან რწმენას<sup>10</sup>.

სამოქალაქო სამართალწარმოებაში დამკვიდრებული შეჯიბრებითობის პრინციპი, პირველ რიგში, გულისხმობს მხარეთა მიერ ფაქტების მითითების სრულ ავტონომიას, რაც შეეხება მათ დამტკიცებას, ეს ის ეტაპია, როდესაც მხარემ მიუთითა სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად არსებული მატერიალურსამართლებრივი ნორმის ყველა ელემენტის შესახებ და საკითხი მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების არსებობა-არარსებობის დადგენას ეხება, რასთანაც ორგანულადაა დაკავშირებული მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი განაწილების ურთულესი ამოცანის გადაწყვეტა. ზოგადი წესის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს<sup>11</sup>.

სამოქალაქო პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპი, მხარეებს უფლებებთან ერთად აკისრებს თავისივე ინტერესებისათვის აუცილებელ საპროცესო მოვალეობებს, რომლის შეუსრულებლობას უკავშირდება ამავე მხარისათვის არახელსაყრელი შედეგი. ეს დანაწესი განმტკიცებულია სსკ-ის მე-4 მუხლით, ასევე, ამავე კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, მხარეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ასევე, მათი დამტკიცების ტვირთი, რაც სათანადო მტკიცებულებების წარდგენით უნდა განხორციელდეს. ამავდროულად, სამოქალაქო საპროცესო სამართალში არსებული მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტურის განაწილების სტანდარტის თანახმად, მტკიცების ტვირთი უნდა განაწილდეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცების ვალდებულება, რომელთა მტკიცება მათთვის ობიექტურად შესაძლებელია<sup>12</sup>.

<sup>10</sup> სუსგ, №ას-1227-1150-2015, 17.05.2016 წელი, №ას-1051-991-2015, 29.12.2015 წელი.

<sup>11</sup> სუსგ, საქმე №ას-1224-1149-2015, 20 მაისი, 2016 წელი.

<sup>12</sup> სუსგ, საქმეზე №ას-1003-964-2016, 25 იანვარი, 2017 წელი.

## თავი 3

### უდავო ფაქტები

როგორც უკვე ითქვა, საქმის გადაწყვეტისთვის არსებითი და საჭირო ფაქტების ნაწილი შეიძლება, მხარეთა მიერ (სარჩელსა ან შესაგებელში) სადაც იყოს, მაგრამ საპროცესო კანონმდებლობა ადგენს იმ ფაქტების ჩამონათვალს, რომელთა მტკიცებისგან მხარე თავისუფლდება. უკვე აღინიშნა, რომ ამ ფაქტებს მიეკუთვნება: საყოველთოდ ცნობილი, პრეიუდიციული და უდავო ფაქტები. გასაზიარებელია ლიტერატურაში არსებული მოსაზრება სსკ-ის 106-ე მუხლის არასრულყოფილებასთან დაკავშირებით, იმ თვალსაზრისით, რომ მითითებული ნორმა უდავო ფაქტებს არ მოიხსენიებს იმ ფაქტების ჩამონათვალში, რომლებიც მტკიცებას არ საჭიროებს, თუმცა კოდექსის ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება, დავასკვნათ, რომ უდავო ფაქტები განეკუთვნება მტკიცების ტვირთისაგან განთავისუფლების საფუძვლებსაც. კვლევის საგნის-მტკიცების ტვირთის სამართლებრივი მინარსის უკეთ წარმოსაჩენად, კერძოდ, კონკრეტულ შემთხვევაში მხარე უნდა განთავისუფლდეს თუ არა ამ საკითხის გადასაწყვეტად ფაქტის მტკიცების მოვალეობისაგან და აღნიშნული ფაქტი შევიდეს მტკიცების საგანში, ქვემოთ განხილულია სასამართლო პრაქტიკა უდავო ფაქტებთან მიმართებით.

#### 3.1. პრეიუდიციული ფაქტები

ერთ-ერთ საქმეზე<sup>13</sup> საკასაციო პალატამ განმარტა შემდეგი: სსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქეპუნქტის თანახმად, წინასწარ დადგენილი ძალის მქონე ფაქტებად კანონმდებელი განიხილავს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს და მხარეს მათ დასადასტურებლად მტკიცებულებათა წარდგენის ვალდებულებისაგან ათავისუფლებს იმ შემთხვევაში, თუ სამოქალაქო საქმის განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ, ანუ პრეიუდიციული ძალის მქონედ ფაქტობრივი გარემოების მიწევისათვის, სავალდებულოა, არსებობდეს სამოქალაქო საქმეზე მიღებული, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების სუბიექტები სხვა სამოქალაქო საქმის მხარეებად უნდა გვევლინებოდნენ. თავად პრეიუდიციულ ფაქტებში იგულისხმება

<sup>13</sup> სუსგ, №ას-324-309-2016, 10 იანვარი, 2017 წელი, №ას-526-502-2016, 1 მარტი, 2017 წელი.

ისეთი იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებითაც განსაზღვრულია მხარეთა მატერიალურსა-მართლებრივი ურთიერთობით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები, რაც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილების გამოტანას. პრეიუდიციულობის შემოწმების დროს მნიშვნელობა ენიჭება, როგორც იმ პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალური მოთხოვნები, ასევე, ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოების შინაარსს. მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია სასამართლო გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალაც, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების საბოლოო ხასიათსა და სავალდებულობას არა მარტო კონკრეტული პროცესისათვის, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, კერძოდ, სსკ-ის 266-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე, მათ უფლებამონაცვლებს არ შეუძლიათ, ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე, სადაც გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი<sup>14</sup>. **შესაბამისად, მხარე თავისუფლდება ისეთი ფაქტების მტკიცების ტვირთის-გან, რაც პრეიუდიციულად არის მიჩნეული.**

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა<sup>15</sup> კერძო საჩივრის არგუმენტი, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა კანონი და მიიჩნია, რომ მხარეს, რომლის სასარგებლოდაცაა გამოტანილი გადაწყვეტილება, უფლება არა აქვს, გაასაჩივროს იგი. საჩივრის ავტორი მის მოსაზრებას ასაბუთებას ფაქტების პრეიუდიციულობით და მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივრის განსახილველად დაშვებაზე უარის თქმით, შესაძლოა, სამომავლოდ მოგებული მხარის ინტერესები დაირღვეს.

საკასაციო პალატამ განმარტა პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტი, სსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად (მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც, თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ესენია, ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შე-

<sup>14</sup> სასამართლომ მიუთითა სუსგ №ას-58-56-2016, 26.02.2016 წელი, №ას-827-791-2014, 13.11.2015 წელი.

<sup>15</sup> სუსგ, საქმეზე №ას-74-68-2015, 27 თებერვალი, 2015 წელი.

სული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ) და აღნიშნა, რომ კანონიერ ძალაში შედის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი<sup>16</sup> მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემობები, რომლებიც, კანონის თანახმად, ასაბუთებენ, ამართლებენ სარეზოლუციო ნაწილს. ფაქტების პრეიუდიციულობის შემოწმების დროს მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ იმ პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალური მოთხოვნები (სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), გამოტანილი იმავე მხარეების მიმართ, რომლებიც მონაწილეობენ სხვა სამოქალაქო საქმის განხილვაში), არამედ მატერიალურსამართლებრივ კრიტერიუმებსაც (გადაწყვეტილებით დადგენილი იმ ფაქტობრივი გარემოებების შინაარსს, რომელი გარემოებების საფუძველზეც იქნა მიღებული გადაწყვეტილება).

პალატის მითითებით, სსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დავაში მონაწილე მხარეების მიმართ სხვა სამოქალაქო საქმეზე მიღებულ, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ფაქტისათვის პრეიუდიციული ძალის მინიჭების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ეფუძნება იმ ფაქტს, რომელიც იურიდიულად ამართლებს მას. ნინაალმდევ შემთხვევაში, ეს ფაქტი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს პრეიუდიციულად და ის უნდა შევიდეს მტკიცების საგანში<sup>17</sup>.

მხარის პრეტეზზია, რომ ფაქტის არასწორად დადგენა იძლევა მისი გასაჩინოების შესაძლებლობას, სამართლებრივ დასაბუთებას მოკლებულია, ვინაიდან სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილი ყოველთვის მოსარჩელის სასარგებლოდ დადგენილ ფაქტს ემყარება და მისი სხვა პროცესში პრეიუდიციულად არსებობა მხარის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩინოების შესაძლებლობას არ ქმნის.

სხვა საქმეზე<sup>18</sup> უზენაესმა სასამართლომ გააუქმა რა სააპე-

<sup>16</sup> სსკ-ის 249-ე მუხლში 2007 წლის 28 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებების შემდეგ სასამართლო იურიდიულ ფაქტებს ადგენს აღნერილობით ნაწილში.

<sup>17</sup> სუსგ, №ას-455-769-09, 3 დეკემბერი, 2009 წელი, სუსგ №ას-146-140-2012, 12 ივლისი, 2012 წელი.

<sup>18</sup> სუსგ, საქმე №ას-144-137-2013, 4 მაისი, 2015 წელი.

ლაციო სასამართლოს განჩინება და საქმე დააბრუნა ხელახლა განსახილველად, მიუთითა, რომ უზენაესი სასამართლოს განჩინებაში ჩამოყალიბებული მოსაზრებების გათვალისწინებით სწორად უნდა განისაზღვროს მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდეს უფლების საკითხი. მიმდინარე დაგაში მოსარჩელემ მოპასუხის მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, ხელშეშლის აღკვეთა და ლობის მოშლა მოითხოვა.

იმავე მხარეებს შორის რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა სარჩელი მოპასუხის მიმართ მინის ნაკვეთის სხვა პირის მფლობელობიდან და სარგებლობიდან გამოთავისუფლებისა და მესაკუთრისათვის დაბრუნების თაობაზე. სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარს საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ მხარეთა მინის ნაკვეთების საკადასტრო მონაცემებში არსებობდა ზედდება. სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა რა სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის საკუთრებად რეგისტრირებული მინის ნაკვეთი იმავდროულად არ არის რეგისტრირებული სხვა პირის, მათ შორის, მოპასუხის სახელზე. მოპასუხე ფლობს მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთის ნაწილს, რომელიც შემოსაზღვრულია ღობით. მოპასუხეს არა აქვს ამ ფართის ფლობის უფლება.

საკასაციო პალატამ გაიზიარა მოპასუხის კვალიფიციური საკასაციო შედავება და აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სსკ-ის 106-ე და 266-ე მუხლების დებულებებით და მათზე დაყრდნობით თავიდან არ უნდა დაეწყო ზედდების საკითხის კელევა. მართალია, მოსარჩელეს მიმდინარე დავაში წარდგენილი პქონდა ახალი მტკიცებულებები, რომელიც განსხვავებულად აჩვენებდა სადავო სურათს, თუმცა, ახალი მტკიცებულებები ვერ გააქარწყლებდა პრეიუდიულ ფაქტებს.

პრეიუდიციულ ფაქტებთან დაკავშირებით, პალატამ ასევე განმარტა, რომ სასამართლო ფაქტის პრეიუდიციულად მიჩნევისას უნდა დარწმუნდეს ამ ფაქტის იურიდიულ მნიშვნელობაში, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ეფუძნება ამ ფაქტს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს არ შეიძლება მივიჩნიოთ პრეიუდიციულ ფაქტად და ის უნდა იქნეს შეყვანილი მტკიცების საგანში. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ისეთ ვითარებაში, როდესაც ერთმა მხარემ წარადგინა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მიმდინარე დაკმაყოფილების ნაკვეთი და მოპასუხის მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, ხელშეშლის აღკვეთა და ლობის მოშლა მოითხოვა.

ყვეტილება, რომელიც მიუთითებს ფაქტის პრეიუდიციულ მნიშვნელობაზე, ხოლო მეორე მხარემ – მტკიცებულება, რომელიც გამორიცხავს ამ ფაქტის არსებობას და დადგენილია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, ფაქტის საკითხი უნდა გადაწყვდეს პრეიუდიციული ფაქტისათვის პრიორიტეტის მინიჭებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს უკანასკნელი არ შედის მტკიცების საგანში.

### 3.2. აღიარება

კონკრეტული საქმის ფაზულის მიხედვით<sup>19</sup> მხარეთა შორის გაფორმდა ხელშეკრულება ვალის აღიარებისა და გირავნობის შესახებ. ვალის აღიარების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულება მოვალემ არ შეასრულა. ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე მოვალის დაგირავებული ავტომანქანა გადავიდა კრედიტორის (პირველი კრედიტორის უფლებამონაცვლის) საკუთრებაში. მოვალის მიერ გადასახდელი თანხა – 26 500 აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო აუდიტის დასკვნის მიხედვით, ავტომანქანა გადაცემის მომენტში 21 000 აშშ დოლარს ღირდა, კრედიტორმა კი, მოგვიანებით, 17 000 აშშ დოლარად გაასხვისა. საპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით კრედიტორის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოვალეს დაეკისრა (26 500-21 000) 5500 აშშ დოლარის გადახდა კრედიტორის სასარგებლოდ.

კასატორმა (მოვალემ) სადაცოდ გახადა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ გირავნობის საგნის (ავტომანქანის) კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის მომენტში მისი ღირებულება შეადგენდა 21 000 აშშ დოლარს. მოვალის მოსაზრებით, სასამართლოს არ ჰქონდა უფლება, ხსენებული ფაქტი აუდიტის დასკვნის საფუძველზე დაედგინა და მის წინააღმდეგ გამოეყენებინა, ვინაიდან ეს მტკიცებულება სასამართლოს შეგებებულ სარჩელთან ერთად წარუდგინა, ხოლო სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას უარი განაცხადა შეგებებული სარჩელის იმ მოთხოვნაზე, რომლის დასასაბუთებლადაც იყო წარდგენილი აუდიტის დასკვნა. მოვალეს სადაცოდ არ გაუხდია სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი მხარეთა შეთანხმება იმის შესახებ, რომ, თუ მოგირავნე (კრედიტორი) სრულად ვერ კმაყოფილდება გირავნობის საგნით, ვალდებულება არ წყდება და იგი

<sup>19</sup> სუსგ, საქმე №ას-1119-1066-2013, 17 აპრილი, 2015 წელი.

უნდა დაკმაყოფილდეს მოვალის სხვა აქტივებით.

სასამართლოს მითითებით, მოსარჩელეს (კრედიტორს) ეკის-რებოდა საკუთრებაში გადასვლის მომენტში დაგირავებული ნივთის ღირებულებისა და იმ გარემოების დამტკიცების ტვირ-თი, რომ ეს ღირებულება საქმარისი არ იყო მოთხოვნის სრუ-ლად დასაქმაყოფილებლად. კასატორი (მოპასუხე) აუდიტის დასკვნის საფუძველზე სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილ შე-საგებელში და სასამართლო სხდომაზე მიუთითებდა, რომ კრე-დიტორის საკუთრებაში ავტომანქანის გადასვლის მომენტში იგი 21000 აშშ დოლარი ღირდა. მოპასუხემ აუდიტის დასკვნა სასამართლოს წარუდგინა სარჩელისაგან თავის დაცვის მიზ-ნით. მართალია, მოპასუხემ ეს დასკვნა შეგებებულ სარჩელ-საც დაურთო, მაგრამ ეს არ ცვლის იმ გარემოებას, რომ ამა-ვე დასკვნით იგი სარჩელისაგან იცავდა თავს. აქედან გა-მომდინარე, მოპასუხემ, თავისი განმარტებით, მტკიცების ტვირთი გაუადვილა მოსარჩელეს, ვინაიდან აღიარა ისეთი გარემოება, რომელიც ადასტურებდა სწორედ იმ ფაქტს, რომ კრედიტორის (მოგირავნის) საკუთრებაში გირავნობის საგ-ნის – ავტომანქანის გადაცემით მოთხოვნა დაკმაყოფილდა არა სრულად, არამედ ნაწილობრივ (სსკ-ის 131-ე მუხლი).

მოცემულ საქმეში კასატორის პრეტენზია უკავშირდებოდა სააპელაციო სასამართლოს მიერ იმ ფაქტის არასწორ შეფასე-ბასაც, რომ მოსარჩელე აღიარებდა მოწმისაგან (მესამე პირი-საგან) 5000 აშშ დოლარის მიღების ფაქტს, მაგრამ უარყოფდა ამ თანხით მოვალის ვალის ნაწილის დაფარვას და მიუთითებდა მიღებული თანხის სხვადასხვა დანიშნულებაზე. ქვემდგომმა სასამართლომ სკ-ის 429-ე მუხლის საფუძველზე მიიჩნია, რომ მოპასუხემ (მოვალემ) ვერ დაამტკიცა კრედიტორისათვის 5000 აშშ დოლარის გადახდის ფაქტი, ვინაიდან ამ გარემოების დამა-დასტურებელი მტკიცებულება – კრედიტორის მიერ გაცემუ-ლი ვალდებულების შესრულების მიღების დოკუმენტი ვერ წა-რადგინა.

საკასაციო პალატამ გაიზიარა სააპელაციო პალატის მოსაზ-რება იმის შესახებ, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულების ფაქტის მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვალეს და, ასევე, სწორად მი-იჩნია მსჯელობა, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულებიდან გა-მომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულების ფაქტი მხო-ლოდ მოწმეთა ჩეკენებებით არ შეიძლება დადგინდეს. ამასთან, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ვალდებულების შეს-რულების მიღების წერილობითი დოკუმენტი აუცილებელი

არაა, როდესაც ვალდებულების შესრულება არ იწვევს და-ვას ან ვალდებულების შესრულება ვლინდება ობიექტური გარემოებებიდან, ან კრედიტორის კონკლუდენტური მოქ-მედებებიდან, ან, თუ კრედიტორი აღიარებს ისეთი გარემო-ების არსებობას, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მი-უთითებს ვალდებულების შესრულებაზე.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მტკიცების ტვირთის გა-ნაწილების საერთო წესიდან გამომდინარე (სსკ-ის 102-ე მუხ-ლის პირველი ნაწილი), მოცემულ შემთხვევაში, მოვალემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოება, რომელზედაც იგი ამყარებს თავის შესაგებელს, კერძოდ, მოქმედებდა თუ არა მესამე პირი მოვა-ლის დავალებით, ანუ შეასრულა თუ არა მან მოვალის სახელით ვალდებულება კრედიტორის წინაშე.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ, ვინაიდან დავალების ხელშეკრულების დასადებად კანონი (სკ-ის 709-ე მუხლი) არ ითვალისწინებს სპეციალურ ფორმას ან განსაკუთრებულ წესს, ის შეიძლება დაიდოს, ზეპირადაც. მითითებული ნორმის თანახ-მად, დავალების ხელშეკრულებით რჩმუნებული ვალდებულია, შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამ-დენიმე მოქმედება მარნმუნებლის სახელითა და ხარჯზე. ამ-დენად, ამ გარემოებების დადგენისათვის მოწმის ჩვენება წარ-მოადგენს დასაშვებ მტკიცებულებას (სსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

პალატამ მიიჩნია, რომ, ვინაიდან კრედიტორი აღიარებს მე-სამე პირისაგან 5000 აშშ დოლარის მილების ფაქტს, იმ გარემო-ების დამტკიცება, მოქმედებდა თუ არა ეს უკანასკნელი მოვა-ლის დავალებით, შესაძლებელია მოწმეთა ჩვენებებით. იმ შემ-თხევაში, თუ დადგინდება, რომ მოწმემ 5000 აშშ დოლარი მო-სარჩელეს (კრედიტორს) მოვალის დავალებით გადასცა ამ უკა-ნასკნელის ვალდებულების შესრულების მიზნით, მაშინ მოვა-ლეს შესრულებულად უნდა ჩაეთვალოს ვალდებულება 5000 აშშ დოლარის ნაწილში, ხოლო საწინააღმდეგოს დამტკიცების ტვირთი კრედიტორს (მოსარჩელეს) უნდა დაეკისროს.

შრომით-სამართლებრივ დაგამი<sup>20</sup> დასაქმებულის სამუშაო-ზე აღდგენის გადასაწყვეტად ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარ-მოადგენდა იმის გარკვევა, არსებობდა თუ არა ის პოზიცია, სა-დაც დასაქმებული მუშაობდა სამუშაოდან დათხოვნამდე. საქ-მის მასალების მიხედვით მოსამართლის დამაზუსტებელ შეკით-ხვაზე, არსებობდა თუ არა ბანკში მოსარჩელის მიერ გათავი-

<sup>20</sup> სუსგ, საქმე №ას-679-650-2016, 13 ოქტომბერი, 2016 წელი.

სუფლებამდე დაკავებული თანამდებობა, დამსაქმებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ არსებობდა და, ამ პოზიციაზე მუშაობდა თანამშრომელი, რომელიც ხანგრძლივი სარემონტო სამუშაოების შემდგომ რამდენიმე დღეა, შეუდგა მუშაობას. ბანების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ გათავისუფლებამდე მოსარჩელის მიერ დაკავებულ თანამდებობაზე ამჟამად სხვა პირი მუშაობდა, საშტატო ერთეული შემცირებულია, იყო თოთხმეტი და არის თერთმეტი. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საპროცესო მიზნებისათვის (სსკ-ის 93-ე და 98-ე მუხლები) წარმომადგენლის პოზიცია მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განიხილება უშუალოდ მხარის პოზიციად და მას თავისუფლად დაეყმარება სასამართლო. მატერიალური თვალსაზრისით, წარმომადგენლობა შეიძლება განხილულ იქნეს დავალების ჭრილში (სსკ-ის 709-ე და 712-ე მუხლები), რაც წარმოშობს იმ პრეზუმაციის დაშვების აუცილებლობას, რომ წარმომადგენლის მოქმედება დავალების შინაარსიდან გამომდინარეობს. აღნიშნული მსჯელობის ფონზე საკასაციო პალატამ დამსაქმებლის პრეტენზიის საწინააღმდეგოდ მიიჩნია, რომ მისი წარმომადგენლის განმარტება საშტატო ერთეულის არსებობის თაობაზე სსკ-ის 131-ე მუხლით გათვალისწინებული აღიარება, რომლის საპირისპიროდაც დამსაქმებელს არათუ დასაბუთებული პრეტენზია, არამედ სსკ-ის 133-ე მუხლით განსაზღვრული აღიარების გამაქარნყლებელ არცერთ გარემოებაზე არ მიუთითებია, რის გამოც პალატამ სადავო თანამდებობის არსებობა დადასტურებულად მიიჩნია.

### 3.3. დუმილი (თანხმობა)

მხარის მიერ მეორე მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების იგნორირება გულისხმობს ამ ფაქტის დამტკიცებულად ცნობას, თუკი ამ ფაქტს არ სჭირდება გადამოწმება კანონის ძალით.

ერთ-ერთ საქმეზე<sup>21</sup> საკასაციო სასამართლომ განმარტა რა სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოქმედი სადავო გარემოებების მტკიცების სტანდარტი (რომლის მიხედვითაც ყოველი მხარე ვალდებულია, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტუროს საკუთარი პოზიციის სისწორე და უტყუარობა სასამართლის წინაშე. აღნიშნული წესი უმეტეს შემ-

<sup>21</sup> სუსგ, საქმე №ას-843-809-2016, 26 ოქტომბერი, 2016 წელი.

თხვევაში გულისხმობს, რომ მოსარჩელემ უნდა წარადგინოს მის სასარჩელო განცხადებაში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები, ხოლო მოპასუხე, რომელიც არ ეთანხმება სასარჩელო განცხადებას, მოსარჩელის არგუმენტებისაგან თავდაცვის მიზნით, ვალდებულია, საპასუხო მტკიცებულებების წარდგენით გაქარწყლოს მოსარჩელის პოზიცია) აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე თავისი სასარჩელო მოთხოვის გასამყარებლად უთითებს მოპასუხის მხრიდან მისი კუთვნილი უძრავი ნივთით სარგებლობაში ხელშესლის ფაქტს, რაც იმით გამოიხატა, რომ მოპასუხე წლების განმავლობაში აქირავებდა მოსარჩელის სახელზე აღრიცხულ ფართს მისი თანხმობისა და ნებართვის გარეშე. **სსკ-ის 102-ე მუხლის ძალით მოპასუხეს, საპასუხო შესაგებლით სადაც არ გაუხდია აღნიშნული ფაქტი, რითაც იგი ფაქტობრივად დაეთანხმა სარჩელის საფუძველს.**

სხვა საქმეზე,<sup>22</sup> სადაც დავის საგანს თანხის დაკისრება წარმოადგენს, მხარეთა შორის სადაც გახდა ურთიერთობის სამართლებრივი ხასიათი, კერძოდ, მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დავალების ხელშეკრულება თუ ერთობლივი ამხანაგობის ხელშეკრულება. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, განსახილველ შემთხვევაში, საპელაციო სასამართლომ სარჩელსა და შესაგებელში გამოთქმულ მოსაზრებათა გათვალისწინებით დაადგინა სადაც ფაქტობრივი გარემოებები (სსკ-ის 102-ე და 105-ე მუხლები) და მოპასუხის შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ საფუძვლიანად ჩათვალა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა მხარეთა ურთიერთობა დავალების ხელშეკრულებად (სსკ-ის 709-ე მუხლი, ხელშეკრულების საგანი მოპასუხის თანხით მოსარჩელის მიერ საზღვარგარეთიდან ავტობუსების ჩამოყვანა იყო) და რნმუნებულის მიერ მარწმუნებლის მითითებათაგან გადახვევის მოტივით, ამავე კოდექსის 715-ე მუხლის საფუძველზე, სწორად დააკისრა შეგებებული სარჩელის მოპასუხეს, როგორც დავალების ფარგლებში მიღებული და მინდობილი მოქმედების შესრულებისათვის გამოუყენებელი თანხები, ისე მეორე ავტობუსის შეძენისას გადაცემული თანხის დაუბრუნებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. სასამართლომ ხელწერილი არ მიიჩნია მხარეთა ერთობლივ საქმიანობაზე შეთანხმების დასადასტურებლად, რამდენადაც, თავად მოსარჩელის მითითებით, მოწინააღმდეგე მხარემ დაადას-

<sup>22</sup> სუსგ, საქმე №ას-896-862-2016, 5 იანვარი, 2017 წელი.

ტურა მხოლოდ ხელწერილის მის მიერ შედგენა, რომელიც სხვა სამართლებრივ ურთიერთობას შეეხებოდა, შესაბამისად, როგორც ერთობლივი საქმიანობის თაობაზე მხარეთა შეთანხმების ფაქტზე მიმთითებელ მხარეს, სწორედ მოსარჩელეს ევალებოდა უტყუარი მტკიცებულებებით ამ გარემოების დადასტურება (სსკ-ის 102-ე მუხლი). საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პირველი ავტობუსის ჩამოყვანის თაობაზე მხარეთა შორის დავალების სამართლებრივი ურთიერთობა სააპელაციო სასამართლომ დაამყარა წერილობით ხელშეკრულებას, რომელსაც, ბუნებრივა, ვერ გააქარწყლებდა მხოლოდ მოწმეთა ჩვენება, ხოლო, რაც შეეხება მეორე ავტობუსის დავალების ფარგლებში ჩამოყვანას, ეს საკითხი ძირითადი სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილ შესაგებელსა და შეგებებულ სარჩელში იქნა მითითებული, რომელიც არც შესაგებლით და არც საქმის მომზადების ეტაპზე სადავოდ არ გაუხდია მოსარჩელეს (სსკ-ის 201.4 და 219.1 მუხლები), შესაბამისად, საკასაციო პალატამ ეს ფაქტი უდავოდ მიიჩნია და მის წინააღმდეგ წარდგენილი პრეტენზიები არ გაიზიარა.

ერთ-ერთ რეზონანსულ საქმეზე<sup>23</sup>, სადაც დავის საგანს იძულების საფუძველზე წილის ნასყიდობის გარიგების ბათილად ცნობა და წილზე საკუთრების უფლების აღდგენა/დაბრუნება წარმოადგენს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის სახით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით, შეამოწმა, თუ რამდენად აქარწყლებდა სარჩელში მითითებულ გარემოებებს და, აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნულ დასკვნას, მოპასუხეთა შესაგებლები.

დიდმა პალატამ განმარტა, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი მოიცავს მხარეთა საქმიანობას საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების სფეროში. მოთხოვნების თუ შესაგებლის ფაქტობრივი დასაბუთება ეკისრებათ თავად მხარეებს. მხარეებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს და რა კონკრეტულ გარემოებებს დაემყარება მათი შესაგებელი<sup>24</sup>.

პალატამ აღნიშნა, რომ სსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შესაგებლის წარუდგენლობის ფაქტი თავისთავად განსაზღვრავს მტკიცების საგანს, რადგანაც მო-

<sup>23</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება. საქმე №ას-664-635-2016, გვ.158. §192.

<sup>24</sup> იქვე, გვ.161, §200.

სარჩელე თავისუფლდება სარჩელში მითითებული ფაქტების მტკიცებისაგან. აღნიშნული გარემოება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობაცაა. საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია მოპასუხის მიერ კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება, კერძოდ, სსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, დგინდება, რომ მოპასუხე უნდა შეედავოს მოსარჩელის გამართულ, დასაბუთებულ მოთხოვნას ანუ დავის გადაწყვეტისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები (და არა მისი სამართლებრივი შეხედულებები) დამტკიცებულად ითვლება<sup>25</sup>.

სასამართლოს აზრით, სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანი, რომელიც წარმოადგენს სადაცვო მატერიალურსამართლებრივ ფაქტებს, რომელზეც მიუთითებენ მოსარჩელე და მოპასუხე, მოთხოვნისა თუ შესაგებლის დასაბუთების ან გაქარწყლებისათვის, შეუძლებელია მტკიცებითი საქმიანობის გარეშე. სსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი ნათელი დადასტურებაა მიმისა, რომ მოპასუხე ვალდებულია, საქმის მომზადების მიზნით აქტიურად იმქმედოს, რაც, უპირველესად, სასამართლოსათვის სარჩელზე მისი წერილობითი მოსაზრებების წარდგენაში გამოიხატება. მოპასუხის მიერ ამ უფლების განუხორციელებლობა, სსკ-ის 206-ე მუხლის შესაბამისად, ართმევს მას უფლებას, შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს (ანუ სასამართლოს სხდომაზე მხარისაგან მტკიცებულება არ მიიღება). ამ შემთხვევისათვის სხვა რაიმე სპეციალურ შედეგს კანონი არ ადგენს<sup>26</sup>.

სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ დავაში ერთ-ერთ მოპასუხეს, არ წარუდგენია შესაგებელი, რასაც თავის-თავად უკავშირდება სსკ-ის 201-ე მუხლით გათვალისწინებული პროცესუალურსამართლებრივი შედეგი – სარჩელში მითითებული ყველა ფაქტობრივი გარემოება (მათ შორის იძულებით გარიგების დადების ფაქტი) უდავოდ და, შესაბამისად, დამტკიცებულად ითვლება მასთან მიმართებით<sup>27</sup>.

სასამართლოს აზრით, მოსარჩელის მიერ მითითებული (მოსარჩელისაგან ამ უკანასკნელის ნების საწინააღმდეგოდ, მოითხოვდნენ საწარმოს წილების დათმობას, ემუქრებოდნენ პი-

<sup>25</sup> იქვე, გვ.161, §201.

<sup>26</sup> იქვე, გვ.162. §202.

<sup>27</sup> იქვე, გვ.162, §202.

რადად მას და მისი ოჯახის წვერებს, ასევე, უუბნებოდნენ, რომ საფრთხეშეექმნებოდა მოსარჩევლის სხვა პიზნესსაქმიანობასაც) და მოპასუხის მიერ, ერთ შემთხვევაში, შეუდავებელი, ხოლო, მეორე შემთხვევაში, არაკვალიფიციურად შედავებული გარემოების სამართლებრივად ქმნიან იმის პრეზუმუციას, რომ მოსარჩევლის საკუთრების უფლება ხელყვეს იძულების გზით<sup>28</sup>.

## თავი 4

### მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი წესი

კვლევის წინა თავებში აღინიშნა, მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი წესის, როგორც მხარეთა შორის ამ საპროცესო მოვალეობის განაწილების ძირითადი წესის თაობაზე. ქვემოთ განხილულია სასამართლო პრაქტიკა გავრცელებულ სამართლებრივ დავებში მტკიცების ზოგად წესთან მიმართებით.

#### 4.1. სესხის სახელშეკრულებო-სამართლებრივ დავები გთკიცების ტვირთის განაწილების თავისებურება

სესხის სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებზე, როგორც წესი, სადაც სესხის ხელშეკრულების დადების, სესხის ხელშეკრულებაში მითითებული თანხის მხესხებლისათვის გადაცემისა და ამ უკანასკნელის მიერ ვალდებულების შესრულების ფაქტი. საკასაციო პალატამ არაერთ საქმეზე განმარტა სასესხო ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებში მტკიცების ტვირთის განაწილებისა და ფაქტების დადასტურების წესის თავისებურების შესახებ<sup>29</sup>. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დავის საგნის გარკვევის შემდეგ სამართალურთიერთობის კვალიფიკაციის მომდევნო ეტაპს, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილება წარმოადგენს. მოდავე მხარეთა შორის ამ საპ-

<sup>28</sup> იქვე, გვ. 163. §206.

<sup>29</sup> სესხთან დაკავშირებულ დავებზე მტკიცების ტვირთის შესახებ იხ.სუსგ, საქმე №ას-361-343-2015, 14.12.2015 წელი; საქმე №ას-41-38-2015, 23.03.2015 წელი; საქმე №ას-115-111-2016; 08 აპრილი, 2016 წელი; საქმე №ას-1245-1168-2015, 20 მაისი, 2016 წელი; საქმე №ას-74-71-2016, 25 მაისი, 2016 წელი; საქმე №ას-938-888-2015, 27 მაისი, 2016 წელი.

როცესო ვალდებულების გამიჯვნის მიზნით, პალატამ მიუთითა სადაც ურთერთობის მარეგულირებელ როგორც მატერიალურ, ისე საპროცესოსამართლებრივ ნორმაზე, სახელდობრ, სკ-ის 624-ე მუხლის მე-2 ნინადადებაზე, (ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა, არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით), რომელიც სწორედ ამ საპროცესო ვალდებულების შესრულების თავისებურებებზეა ყურადღება გამახვილებული და დადგენილია ქცევის იმგვარი წესი, რომლის თანახმად, სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადასტურების ტვირთი აკისრია გამსესხებელს, ხოლო ვალდებულების შესრულების ტვირთი კი, მსესხებელს. იმავე საპროცესო ვალდებულებას აკისრებს მოსარჩელეს სსკ-ის 102-ე მუხლიც, რომელიც ადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგად წესს და მიმართავენ იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა მტკიცების ტვირთის განსხვავებულ განაწილებას არ გვთავაზობს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, მატერიალური და საპროცესო ნორმები თანხვედრაშია, რადგან განსახილების განსხვავებულ წესს არ ადგენენ, რაც სწორედ ისაა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე, რომელიც პრეტენზიას აცხადებს მოპასუხესთან სასესხო ურთიერთობის (ზეპირი ხელშეკრულების პირობებში) არსებობაზე, ვალდებულია, მიუთითოს (მტკიცების საგანი) და წარმოადგინოს ამ ურთიერთობის სესხად კვალიფიკაციისათვის აუცილებელი მტკიცებულებებიც (მტკიცების ტვირთი).

ერთ-ერთ საქმეზე<sup>30</sup> სასამართლომ აღნიშნა, რომ სესხი ფორმასავალდებულო გარიგებას არ წარმოადგენს, მხარეები თავისუფალი არიან ხელშეკრულების ფორმის არჩევაში (სკ-ის 68-ე მუხლი), თუმცა უდავოა, რომ ფორმის არჩევის საკითხი მტკიცების ტვირთზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს იმ შემთხვევაში, თუ წერილობითი ხელშეკრულება პირდაპირ შეიცავს დათქმას თანხის მსესხებლისათვის გადაცემის თაობაზე. მოხმობილი ნორმიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას ისიც, რომ სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტი, სსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნანილით განსაზღვრული წებისმიერი დასაშვები მტკიცებულებით, მათ შორის მონმის ჩვენებით, შეიძლება, დადასტურდეს, თუმცა, ზეპირი სესხის დროს ნივთის გადაცემის დამტკიცების თვალსაზრისით, მხოლოდ ეს უკანასკნელი,

<sup>30</sup> სუსგ, №ას-1245-1168-2015, 20 მაისი, 2016 წელი.

კანონის თანახმად, არასაკმარისადაა მიჩნეული. ამ დროს, მოწმეთა ჩვენებებთან ერთად, საჭიროა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სხვა მტკიცებულებებიც, მაგალითად, სავალო ხელნერილის, პირადი მიმოწერის ან რაიმე წერილობითი დოკუმენტის წარდგენა, რომლითაც დადასტურდება სესხის არსებობა. (სკ-ის 429-ე მუხლი).

მსესხებლის მიერ ფულადი ვალდებულების შესრულების ფაქტის დადასტურება მოვალის მტკიცების ტვირთია. მოვალის მიერ მითითებული ფაქტის დასაშვები და განკუთვნადი მტკიცებულებით დადასტურების თაობაზე საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ეფუძნება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მხარეთა შეჯიბრებითობის საპროცესო პრინციპს, რომელიც სკ-ის მე-4 მუხლითაა გარანტირებული. აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარეობს ამავე კოდექსის 102-ე მუხლით განმტკიცებული, მხარეთა მიერ საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების სტანდარტი, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება, დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ამდენად, მითითებული საპროცესო ნორმა განსაზღვრავს ამა თუ იმ ფაქტის დადასტურებისათვის განკუთვნილი მტკიცებულების სახეებს, რომლებიც მხარეებს შეუძლიათ, თავიანთი მოთხოვნების დასადასტურებლად გამოიყენონ.

ამავდროულად, არსებობს შემთხვევები, როდესაც კანონმდებელი თავად უთითებს მხარეს, კონკრეტული ფაქტის დასადასტურებლად წარადგინოს მატერიალური კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული სახის მტკიცებულებება. ასეთი შემთხვევაა მოცემული სკ-ის 429-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსში, რომლის მიხედვით, კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მითითებული დანაწესის ძალით, მხარეს, რომელიც კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში წარმოადგენს მოვალეს, შესაძლებლობა ეძლევა კრედიტორის მიმართ შესრულებული ფულადი ვალდებულების დასადასტურებლად მოსთხოვოს კრე-

დიტორს შესრულებული ვალდებულების შესახებ წერილობითი დოკუმენტის – დასტურის გაცემა. ამ დოკუმენტის გაცემის მოთხოვნა – მოვალის უფლება, ხოლო მისი გაცემა კრედიტორის უშუალო ვალდებულებაა. მითითებული კუთხით კანონმდებელი ეხმარება მოვალეს, შექმნას და მიიღოს მის მიერ შესრულებული ფულადი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულება. მიუხედავად იმისა, რომ, სკ-ის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლოსათვის არცერთ მტკიცებულებას არ გააჩნია წინასწარ დადგენილი იურიდიული ძალა და ისინი ფასდება ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის საფუძველზე, სკ-ის 429-ე მუხლით გათვალისწინებული მტკიცებულების წარდგენისას მოვალის პოზიციის დასაბუთებულობის ხარისხი ძალიან მაღალია. მეორე მხრივ, დასახელებული ნორმა ზღუდავს მოვალეს და ავალებს, სადაცო შესრულება დაადასტუროს სწორედ მითითებული სახის მტკიცებულებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი უფლების განუხორციელებლობა მხარისათვის არახელსაყრელ სამართლებრივ შედეგს უკავშირდება.

ამავე თემის გაგრძელებაა საკასაციო სასამართლოს მსჯელობა ერთ-ერთ საქმეზე<sup>31</sup>, სადაც სარჩელით მოთხოვნილია სესხად გადაცემული თანხის დაკისრება, მოპასუხებ კი წარადგინა, როგორც მოთხოვნის წარმოშობის დამაპრკოლებელი, ისე მისი განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი და მიუთითა, რომ მოსარჩელისგან დაანაპირები თანხა არ მიუღია. კასატორის (მოპასუხის) ძირითადი პრეტენზიით მოსარჩელესთან სესხის ხელშეკრულება არ დადებულა, რადგანაც ამ უკანასკნელს მოპასუხისათვის საკუთრებაში არ გადაუცია შეთანხმების საგანი – ფულადი თანხა. საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა სარჩელი.

პალატამ განმარტა, რომ სესხის ხელშეკრულება ცალმხრივ და რეალურ ხელშეკრულებას წარმოადგენს, ანუ ის დადებულად ითვლება და მხარეს დაპრუნების ვალდებულება წარმოებობა გამსესხებლის მხრიდან ხელშეკრულების საგნის მსესხებლის საკუთრებაში გადაცემის მომენტიდან<sup>32</sup>. შესაბამისად, მარტოოდენ, სესხის შესახებ შეთანხმება (არსებით პირობებზე შეთანხმება) ხელშეკრულების საგნის გადაცემის გარეშე, არ ნიშ-

<sup>31</sup> სუსგ, საქმე №ას-398-371-2017, 6 ივნისი, 2017 წელი (ასევე საქმე №ას-425-408-2016, 6 ივნისი; 2016 წელი, საქმე №ას-209-198-2017, 28 აპრილი, 2017 წელი).

<sup>32</sup> სუსგ, საქმე №ას-361-343-2015, 14.12.2015 წელი.

ნავს სესხის ხელშეკრულების დადებას. რადგანაც სესხის ხელ-შეკრულების ნამდვილობისა და იურიდიული ძალის აუცილებელი პირობაა ფულის ან სხვა გვაროვნული ნივთის მსესხებლის-თვის რეალურად (ფიზიკურად) გადაცემა, სადაცობის შემ-თხევები, მხარემ უნდა ამტკიცოს არა მხოლოდ სესხზე შეთან-ხმების არსებობა, არამედ სესხის საგნის რეალურად გადაცე-მის შესახებ ფაქტობრივი გარემოებაც.

სამოქალაქო საპროცესო სამართლოში მოქმედი მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს უნდა დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცების ტვირთი, რომელთა მტკიცება მათ-თვის უფრო მარტივი და ობიექტურად შესაძლებელია. **სამოქა-ლაქო სამართალუროთივრობაში** მოქმედი მტკიცების ტვირ-თის განაწილების ნესის მიხედვით, გამსესხებლის ვალდე-ბულება შემოფარგლება სესხად გადაცემული თანხისა და ამ თანხის იღენობის მტკიცებით, რომელშიც პოზიტიური მტკიცების ტვირთი შემოიფარგლება სესხის დაფარვით. ბუ-ნებრივია, კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება განპირო-ბებულია ვალდებულებიდან გამომდინარე მხარეთა მდგომარე-ობით. სესხად გადაცემული თანხის დამადასტურებელი დოკუ-მენტის ფლობა აუცილებლობას წარმოადგენს გამსესხებლისათ-ვის, რადგან მან მხოლოდ ამგვარი დოკუმენტით შეიძლება, და-ადასტუროს სესხის რეალურად დადებისა და მისი იღენობის ფაქტი, მსესხებლისათვის კი, რამე საჭიროება არ არსებობს, ფლობდეს და წარმოადგინოს ამგვარი დოკუმენტი არც სამარ-თლებრივი და არც ფაქტობრივი თვალსაზრისით. ამ კუთხით და-საპუთებისა და მტკიცების ტვირთის მქონე მოსარჩელებ გასა-გებად და დამაჯერებლად ვერ შეძლო სადაცო ფაქტობრივი გა-რემოების დამტკიცება.

#### 4.2. სარგებლის მართლზომიერების მთკიცების ტვირთი

მოსარჩელემ (გამსესხებლმა) მოითხოვა მსესხებლისათ-ვის გასესხებული ძირითადი თანხისა და მათ შორის წერი-ლობითი შეთანხმებით გათვალისწინებული სესხისათვის ყო-ველთვიური 5%-იანი სარგებლის დაკისრება. სააპელაციო სა-სამართლომ გამსესხებლის სარჩელი წანილობრივ დაკემაყოფი-ლა და აღნიშნა, რომ მხარეთა მიერ შეთანხმებული სარგებელი (თვეში 5%) ეწინააღმდეგებოდა საჯარო წესრიგსა და ზნების ნორმებს, ვინაიდან მნიშვნელოვნად აღემატებოდა კომერცი-ული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ

დადგენილი სარგებლის ზღვრულ ოდენობას (სკ-ის 54-ე მუხ-ლი). სააპელაციო სასამართლომ სესხის სარგებლის წლიური 22,5% გონივრულ ოდენობად მიიჩნია (სკ-ის 625-ე მუხლი).

საკასაციო პალატა მოსარჩელის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის დასაბუთებისას დაეყრდნო რა არსებულ სასამართლო პრაქტიკას, აღნიშნა, რომ: „თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლანობის საფუძველზე“. ამ შემთხვევაში, შესრულებასა და სააპირისპირო შესრულებას შორის აშკარა შეუსაბამობაა და კასატორი (სარგებლის მიმღები) მოქმედებდა არაკეთილსინდი-სიერად: მან არ გაითვალისწინა ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთი და მოსალოდნელი რისკები და ბოროტად გამოიყენა საპაზრო ძალაუფლება. ყველა კეთილსინდისიერი და სალად მოაზროვნე ადამიანი სესხის წლიური სარგებლის 72%-ით განსაზღვრას საზოგადოებაში დამკაიდრებული ზნეობრივი პრინციპების სანინააღმდეგო მოქმედებად შეაფასებდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სარგებლის მართლზომიერების მტკიცების ტვირთი გამსესხებელს აწევს სკ-ის 325-ე მუხლის პირველი და სსკ 102-ე მუხლის პირველი ნაწილების თანახმად, რაც მან ვერ დაამტკიცა. ამრიგად, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების დებულება, რომლითაც კასატორმა სესხისათვის შეუსაბამოდ მაღალი სარგებლი განსაზღვრა, მაშინ, როდესაც არ არსებობდა ასეთი მოქმედების ლეგიტიმური მიზანი, ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზნეობრივ ღირებულებებს და, სკ-ის 54-ე მუხლის მიხედვით, უცილოდ ბათილია, რაც ამ შემთხვევაში არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას სკ-ის 62-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე<sup>33</sup>.

#### 4.3. პირგასამომავლოს ოდენობის გართლზომიერების მფარვების ფართი

კონკრეტულ საქმეზე<sup>34</sup> მიწოდების ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებლის ვალდებულებას წარმოადგენდა 90 დღის ვადაში საქონლის შეთანხმებული რაოდენობის მიწოდება. ხელ-

<sup>33</sup> სუსგ, საქმე №ას-1084-1021-2015, 18 იანვარი, 2016 წელი; საქმე №ას-663-629-2015, 28 ივნისი 2015 წელი.

<sup>34</sup> სუსგ, საქმე №ას-896-846-2015, 12 ოქტომბერი, 2016 წელი.

შეკრულება დაირღვა, ვალდებულება ნაწილობრივ შესრულდა. სასამართლოს აზრით, მოსარჩევის (შემსყიდველის) მოთხოვნა, რომ, რადგანაც მიმწოდებელმა ვალდებულება არაჯეროვნად შეასრულა, ავანსის ნაწილი კი ჯერ კიდევ არ არის დაბრუნებული და ამიტომ მოპასუხეს უნდა დაეკისროს ხელშეკრულებით შეთანხმებული მომეტებული ქონებრივი პასუხისმგებლობა, პირგასამტებლო ..... ლარი, აშკარად ენინააღმდეგება დავის სამართლიანად გადაწყვეტისა და მონაწილეთა ინტერესების დაცვის პრინციპს.

სამოქალაქო სამართალში ურთიერთობის მონაწილეთა კეთილსინდისიერი ქცევაა პრეზუმირებული, რაც იმთავითვე გულისხმობს იმის ვარაუდს, რომ ისინი თავიანთ უფლებებს კეთილსინდისიერად ახორციელებენ (სკ-ის 8.3 მუხლი). „უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან სხვათა თავისუფლებას იცავს სამოქალაქო კანონების იმპერატიული ნორმები“ (სკ-ის 10-ე მუხლის მესამე ნაწილი). შესაბამისად, მხარეთა უფლება, თავისუფლად დადონ ხელშეკრულება და თავისუფლად განსაზღვრონ მისი შინაარსიც, აბსლუტური არ არის. სახელშეკრულებო დებულებების განსაზღვრის დროს ისინი ვალდებული არიან გაითვალისწინონ ზემოაღნიშნული.

კონკრეტულ შემთხვევაში, შემსყიდველი, რომელიც სახელმწიფო დაწესებულებაა, ეკონომიკურად უფრო ძლიერი მხარეა და უდავოა, რომ სწორედ მან განსაზღვრა და შესთავაზა მეორე მხარეს ხელშეკრულების იმ დებულების შინაარსი, რომლითაც პირგასამტებლოს ოდენობა ყოველ თვეზე ავანსიდან შეუსრულებელი თანხის 3%-ით განისაზღვრა, ავანსის მიღების დღიდან თანხის ფაქტობრივად დაბრუნებამდე, რაც წლიური 36%-ია.

მართალია, ამ შეთავაზებას მიმწოდებელი დაეთანხმა, მაგრამ ამით სამართლებრივი სურათი არ იცვლება, რადგანაც შემსყიდველი მოქმედებდა სკ-ის 325-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ქცევის წესის საწინააღმდეგოდ (თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე.) და ცალსახად არაკეთილსინდისიერად. ხელშეკრულებით განსაზღვრული მხარეთა ქონებრივი პასუხისმგებლობა არაპროპორციულია (არაეკვივალენტურია). კერძოდ, შემსყიდველმა საკუთარი ვალდებულების დაღვევის შემთხვევაში, პირგასამტებლოს ზღვრული ოდენობა გადაუხდელი თანხის 2%-ით განსაზღვრა, რაც მიწოდებული სა-

ქონლის ღირებულების მთლიანად გადაუხდელობის შემთხვევაში, მისთვის მხოლოდ 2009.66 ლარი იქნებოდა, მაშინ, როდესაც, მოპასუხის (მიმწოდებლის) პასუხისმგებლობა შეუზღუდავია; ეს იმაზე მეტყველებს, რომ ხელშეკრულების დადების დროს მიმწოდებლის ხება შეზღუდული იყო და მას არ ჰქონდა შესაძლებლობა, ხელშეკრულების ამ ნაწილში ესარგებლა სახელშეკრულებო თავისუფლებით, ანუ ზეგავლენა მოეხდინა ამ დებულებების შინაარსზე. პირგასამტებლოს ოდენობის მართლზომიერების მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს (შემსყიდველს) აწევს სკ-ის 325-ე მუხლის პირველი და სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილების თანახმად, რაც მან ვერ განახორციელა.

#### 4.4. განეორნივების ფიციურობის დადგენის მტკიცების ტვირთი

მოსარჩელე ითხოვს უძრავი ქონებიდან წილის მიკუთვნება-სა და ჩუქების ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობას, ხოლო მოპასუხე შეგებებული სარჩელით განქორწინების ფაქტის რეგისტრაციის დადგენას<sup>35</sup>. სარჩელი არ დაკმაყოფილდა, შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა. კასატორის (მოსარჩელის) პოზიციის ძირითად საფუძველს წარმოადგენს განქორწინების ფიციურობის საკითხი, რასაც მოპასუხე უარყოფს.

საკასაციო სასამართლომ სადაცვო გარემოების დასადასატურებლად გამოიყენა რა სამოქალაქო სამართალსა და საპროცესო სამართლში მოქმედი მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტი, აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობა თითოეულ მოდაცვე მხარეს ავალებს იმ გარემოებების მტკიცების ვალდებულებას, რომელთაც იგი საკუთარი მოთხოვნის საფუძვლად უთითებს (სსკ-ის 102-ე მუხლი). ამასთან, მტკიცების მოვალეობა გააჩნია იმ მხარეს, რომელიც ამა თუ იმ ფაქტის არსებობას ამტკიცებს და არა მოწინააღმდეგს, რომელიც ამას უარყოფს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ სწორედ კასატორს (მოსარჩელეს) ევალებოდა სადაცვო განქორწინების ფიციურობის ფაქტის დადასტურება (რასაც მოპასუხე აყრდნობდა თავის პოზიციას და უარყოფდა განქორწინების ფიციურობას), რაც მან სათანადოდ ვერ განახორციელა.

<sup>35</sup> სუსგ, საქმე №ას-749-717-2016, 12 ოქტომბერი, 2016 წელი.

## **4.5. ნასყიდობის ხელშეკრულების დადგებისა და ნასყიდობის საგნის გადაცემის დადასტურების მთკიცების ფორმი**

გამყიდველის სასარჩელო მოთხოვნის შემძენის მიერ ნასყიდობის საფასურის ანაზღაურება წარმოადგენს და სარჩელით გამყიდველი მიუთითებს, როგორც ხელშეკრულების დადების, ისე, ამ ხელშეკრულების ობიექტის (წავთობპროდუქტების) შემძენისათვის გადაცემის ფაქტზე<sup>36</sup>. სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილი მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით მოპასუხემ სადაც გახადა ხელშეკრულების დადებისა და საქონლის მიღების ფაქტიც. საკასაციო სასამართლომ დაუშვებლად ცნო რა გამყიდველის საკასაციო საჩივარი, მიუთითა, რომ შემძენის მიმართ საპასუხო შესრულების მოთხოვნის უფლებას (სკ-ის 369-ე მუხლი) გამყიდველის მხრიდან ნივთზე ნამდვილი უფლების გადაცემის ფაქტი განაპირობებს, რომელიც, მოცემულ შემთხვევაში, შედავებულია, შესაბამისად, სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის ძალით, გამყიდველის მიერ მოვალეობათა ჯეროვანი შესრულების ფაქტის მტკიცების ტვირთი თავად მას ეკისრება. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ნასყიდობის საგანი არ წარმოადგენს უძრავ ნივთს და სკ-ის 183-ე მუხლისაგან განსხვავებით, მის თაობაზე დადებული გარიგება ფორმათავისუფალია, ამასთან, არც საქმის მასალებით არაა დადასტურებული მხარეთა შეთანხმება გარიგების წერილობითი ფორმის დაცვაზე (სკ-ის 68-ე მუხლი), რაც იმ დასკვნის საფუძველს იძლევა, რომ ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის მტკიცება დასაშვებია სსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ნებისმიერი მტკიცებულებით. განსახილებლ შემთხვევაში, მხოლოდ ელექტრონული წავთობპროდუქტების სპეციალური საგადასახადო ანგარიშფაქტურის (წავი) წარდგენით მოსარჩელემ, როგორც გამყიდველმა, საკუთარი ვალდებულების-შემძენისთვის ნასყიდობის საგნის გადაცემის ფაქტი ვერ დაადასტურა.

## **4.6. ნივთის ნაკლის დასაგუთაბის მთკიცების ფორმი**

მოსარჩელემ (მყიდველმა) გამყიდველს მოსთხოვა პირგასამტებლოს გადახდა იმ საფუძვლით, რომ ნასყიდობის საგანი არ შეესაბამებოდა შეთანხმებულ ხარისხს<sup>37</sup>. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოთხოვნა და აღნიშნა, რომ ორივე მხარე მენარმე

<sup>36</sup> სუსგ, საქმე №ას-671-642-2016, 20 იანვარი, 2017 წელი.

<sup>37</sup> სუსგ, საქმე №ას-854-804-2015, 7 მარტი, 2016 წელი.

სუბიექტია. ნივთის ნაკლის დასაბუთებისა და მტკიცების ტვირთის მატარებელია მყიდველი (სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი). ის ვალდებული იყო, დასაშვები მტკიცებულებების წარდგენით დაესაბუთებინა ნივთობრივი ნაკლის საქონლის გადაცემის დროისათვის არსებობის ფაქტი. მან გასაგებად და დამაჯერებლად ვერ გააქარწყლა მისივე ინიციატივით ჩატარებული სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნა და ვერ დაამტკიცა, რომ შესრულება ნაკლიანი იყო. გამყიდველს არ დაურღვევია ვალდებულება. მან მიაწოდა მყიდველს შეთანხმებული ხარისხის საქონელი, ამიტომაც მყიდველი ვალდებულება (სკ-ის 477-ე მუხლის მეორე ნაწილი), რაც მან არ შეასრულა.

#### 4.7. ნივთობრივი ნაკლის მფრენ ნივთის მიღების ფაზის მტკიცების ტვირთი

დამქირავებელს უარი ეთქვა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რომლითაც განეული რემონტის ხარჯების, როგორც აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას ითხოვდა იმ საფუძვლით, რომ ვერ შეძლო მტკიცების ტვირთის რეალიზაცია<sup>38</sup>. საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ დამქირავებელს უნდა ემტკიცებინა გამქირავებლის მხრიდან ნივთობრივი ნაკლის მქონე ნივთის მიღების ფაქტი. ასევე, ის გარემოება, რომ ნაკლის თაობაზე მან ნივთის მესაკუთრეს დროულად შეატყობინა და, ამ უკანასკნელის მიერ ნაკლის გამოსწორებაზე უარის თქმის გამო, ნაკლის აღმოფხვრის მიზნით, თავად გასწია აუცილებელი ხარჯი.

#### 4.8. მტკიცების ტვირთი მოჩვენებითი გარიგების დროს

მოჩვენებითი გარიგება ფორმალურად შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, მაგრამ ნების ნაკლი მისი არანამდვილობის გამო, ნარმოადგენ იმ არსებითი ხასიათის ნაკლს, რაც გამორიცხავს სამართლებრივ შედეგს. შესაბამისად, ის ფაქტი, რომელიც მიუთითებს სადავო გარიგების მხარეთა ნების გამოვლენის არანამდვილობაზე, უნდა დაამტკიცოს მან, ვისაც მიაჩნია, რომ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით შეილახა მისი უფლება<sup>39</sup>.

<sup>38</sup> სუსგ, საქმე №ას-797-764-2016, 3 ოქტომბერი, 2016 წელი.

<sup>39</sup> სუსგ, 11.11.2015, საქმე №ას-862-812-2015, საქმე №ას-474-455-2016, 7 ივლისი, 2016 წელი.

#### **4.9. მთკიცების ფინანსი ნარდობის სახელშეკრულების დავალები**

ნარდობის სახელშეკრულებო-სამართლებრივ დავებთან და-კავშირებით არსებობს მყარი სასამართლო პრაქტიკა, რომლი-თაც შესრულებული სამუშაოს მოცულობის დამტკიცება ევალება მენარდეს. ნარდობის მომწესრიგებელი ნორმები სსკ-ის მე-3, მე-4 და 102.1. მუხლებით დადგენილი წესიდან რაიმე სახის გამონაკლისს არ ითვალისწინებს<sup>40</sup>.

სასამართლომ სამედიცინო დაწესებულებასა და სადაზღვე-ვო კომპანიას შორის ამ უკანასკნელის ბენეფიციარებისათვის განეული სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება ნარდო-ბად დააკვალიფიცირა და მტკიცების ტვირთი, სსკ-ის 102.1. მუხ-ლის შესაბამისად, ზოგადი წესით გაანაწილა.

ერთ-ერთ დავაში<sup>41</sup> სამედიცინო დაწესებულება (მოსარჩე-ლე) სადაზღვევო კომპანიისგან (მოპასუხისგან) მოითხოვს ამ უკანასკნელის ბენეფიციარებისათვის განეული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურებას. ქვემდგომი სასამართლოების მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა, სადაზღვევო კომპანიამ სადა-ვოდ გახადა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილება და აღნიშნა, რომ მომსახურების ხარისხის, აგრეთვე, სამედი-ცინო აუცილებლობის ჩვენების მტკიცების ტვირთი ეკისრება სამედიცინო დაწესებულებას. მკურნალობის ტაქტიკისა და მკურნალობის სქემის სისწორის, სამედიცინო დაწესებულების პროტოკოლებისა და სამედიცინო გაიდანინების განუხრელად დაცვის დამადასტურებელი მტკიცებულებები უნდა წარმოედ-გინა მომსახურების გამნევს. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სამედიცინო შეცდომით მოქალაქის სიცოცხლისა და ჯანმრთე-ლობისათვის ზიანის მიყენების გამო, სამოქალაქოსამართლებ-რივ დავებში, ისევე, როგორც ყველა დელიქტურ ვალდებულე-ბაში, დადგენილ უნდა იქნეს ზიანის შემადგენლობის შემდეგი ნიშნები: ზიანი, მართლწინააღმდეგობა, ბრალი და მიზეზობრი-ვი კავშირი. ამასთან, თითოეული ამ კომპონენტის თავისებუ-რება სამედიცინო საქმიანობის ხასიათით განისაზღვრება. თი-თოეული ამ კომპონენტის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ექი-მის ან საავადმყოფოს მიმართ პაციენტს შეიძლება წარმოემ-

<sup>40</sup> სუსგ, საქმე №ას-67-64-2016, 18 მარტი, 2016 წელი; №ას-1227-1150-2015, 17 მაისი, 2016 წელი.

<sup>41</sup> სუსგ, საქმე №ას-1206-1166-2016, 24 თებერვალი, 2017 წელი; საქმე №ას-188-177-2017, 21 აპრილი, 2017 წელი.

ვას, როგორც ხელშეკრულებიდან, ასევე, დელიქტური ნორმებიდან (დამფუძნებელი ნორმა – სკ-ის 1007-ე მუხლი; დამხმარე ნორმები: საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ და საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“). მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის მიხედვით, მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე მიიჩნევა სამედიცინო დაწესებულების არასწორი დიაგნოსტიკა და მკურნალობა, რამაც გამოიწვია ზიანი. პაციენტს ზიანის ანაზღაურების უფლება აქვს იმ შემთხვევაში, თუ: 1. სამედიცინო საქმიანობის მიზანი მიღწეული არ არის (ადამიანის ჯანმრთელობის აღდგენა და სიცოცხლის შენარჩუნება) და 2. მედიცინის მუშავის ქმედება არ შეესაბამება სამედიცინო მაჩვენებლებს. არსებული სასამართლო პრაქტიკით ფაქტურებზე მითითების ტვირთისა და მათი დამტკიცების ტვირთი ეკისრება პროცესის მონაბილე იმ მხარეს, რომელიც ითხოვს მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, მაშასადამე, დაზარალებულს.<sup>42</sup> განსახილველი ურთიერთობა კი, მიერთოვნება სხვა სამართალურთიერთობას, სახელდობრ, მხარეთა შორის სადაცვა არა ზიანის ანაზღაურება დელიქტური სამართალურთიერთობიდან გამომდინარე, არამედ ვალდებულების შესრულება ნარდობის სამართლებრივ ურთიერთობიდან გამომდინარე და სამედიცინო დაწესებულების მოთხოვნა, აუნაზღაურდეს სადაზღვევო კომპანიის ბენეფიციარებისათვის განეული მომსახურების ლირებულება, უნდა შემოწმდეს სკ-ის 629-ე მუხლით დაფგენილ ნანამძღვრებთან და არა სკ-ის 1007-ე მუხლის ნინაპირობებთან მიმართებით. კასატორის მოსაზრებას მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის ანალოგიურ წესზე დაყრდნობით განაწილების შესახებ, არ გააჩნია ვარგისი სამართლებრივი საფუძველი. საკასაციო პალტამ აღნიშნა, რომ იმ ვითარებაში, როდესაც უდავოა მომსახურების გაწვევის ფაქტობრივი გარემოება და მისი ლირებულების ანაზღაურების ვალდებულების შეუსრულებლობა, ხოლო მოპასუხე მოთხოვნის შემწყვეტ შესაგებლად მომსახურების ხარისხზე, ხარჯების არაეფექტურობასა და სამედიცინო ჩარევის მართებულობაზე პელირებს, წარმოშობილი მოთხოვნის შემწყვეტი გარემოებების დადასტურების მტკიცების ტვირთი ეკისრება ამ გარემოებაზე მიმთითებელ მხარეს – სადაზღვევო კომპანიას.

<sup>42</sup> სუსგ, №ას-874-1146-05, 14 სექტემბერი, 2005 წელი; №ას-260-244-11, 27 ოქტომბერი, 2011 წელი.

#### 4.10. მთკიცების ფართო მაული თა საერთო ვალების გაყოფისას

ერთ-ერთ საქმეზე<sup>43</sup> მეუღლეთა შორის დავის საგანი საერთო ქონების გაყოფასთან ერთად საერთო ვალების გაყოფაა. განსახილველ შემთხვევაში, იმ გარემოების დამტკიცების ტვირთი, რომ ბანკიდან აღებული კრედიტი სრულად ან ნაწილობრივ მოხმარდა ოჯახის საერთო ინტერესებს, უნდა გადანაწილდეს სამოქალაქო სამართალსა და სამოქალაქო საპროცესო სამართალში აღიარებული მტკიცების სტანდარტით. საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მოცემული განმარტების საფუძველზე აღნიშნა, რომ: მოცემულ შემთხვევაში, იმ გარემოებაზე აპელირება, რომ, ვინაიდან მეუღლეთა მიერ ქორნინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისისა (სკ-ის 1158-ე მუხლი), ხოლო მეუღლეთა საერთო ვალები, მათ შორის იყოფა საერთო ქონებაში თითოეულის კუთვნილი წილის თანაზომიერად (სკ-ის 1169-ე მუხლი) და ვალების გამო მეუღლეთა საერთო ქონებიდან გადახდევინება შეიძლება მაშინ, თუ სასამართლო დაადგენს, რომ, რაც ვალდებულებით იყო მიღებული, გამოყენებულია, მთელი ოჯახის საერთო ინტერესებისათვის (სკ-ის 1170.2.-ე მუხლი). საკასაციო პალატის მოსაზრებით, ეს არ იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, ერთ-ერთი მეუღლის მიერ სესხად აღებული თანხის მიზანს უპირობოდ წარმოადგენდა მისი მოხმარება ოჯახის საერთო ინტერესებისათვის. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სკ-ის 1158-ე მუხლით მოწესრიგებულია მეუღლეთა მიერ ქორნინების განმავლობაში შეძენილი ქონების სამართლებრივი რეჟიმი. პრაქტიკულად, ნორმით განისაზღვრება დროის განსაზღვრულ მონაკვეთში (ქორნინების განმავლობაში) შეძენილი ქონების საკუთრების საკითხი, ხოლო ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სადავოა სესხის დაბრუნებაზე ვალდებულ პირთა წრე. ეს საკითხი სამართლებრივად წესრიგდება სკ-ის 1169-ე, 1170-ე მუხლებით, რომლებიც ფაქტების პრეზუმირებას, არ შეიცავს გამსჯესხებლის სასარგებლოდ და მეუღლეთა საერთო ქონებიდან სესხის დაფარვის მიზნებისათვის მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალურ წესზე (მტკიცების სტანდარტზე) არ

<sup>43</sup> სუსგ, საქმე №ას-605-579-2016 17 თებერვალი, 2017 წელი.

მიუთითებს. ამდენად, მოცემული დავის გადაწყვეტისას მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების 102-ე მუხლით დადგენილი ქცევის წესით ხელმძღვანელობა მართებულია და საპროცესოსამართლებრივი თვალსაზრისით კანონი არ დარღვეულა<sup>44</sup>.

#### 4.11. მტკიცების ჰვირთი სახაზობლო დავებში

ერთ-ერთ საქმეში<sup>45</sup> მოსარჩელე სადაცოდ ხდიდა მისი კუთვნილი მინის ნაკვეთის მხარეს მოპასუხის მიერ მოწყობილი ღიობებიდან მომდინარე არსებითი ხასიათის ზემოქმედებას, რაც, მისი მტკიცებით, დაუშვებელ ხელყოფას წარმოადგენდა. სასამართლოს შეფასებით, კონკრეტულ შემთხვევაში, დაუშვებელი ხელყოფის დამტკიცების ტვირთი მოსარჩელის მხარეზე იყო, რომელმაც სათანადო, სამართლებრივად ვარგისი მტკიცებულებით ვერ უზრუნველყო საკუთარი მოთხოვნის საფუძვლიანობის დამტკიცება. მოსარჩელემ ვერ მიუთითა იმ ფაქტებზე და მათ დამადასტურებელ მტკიცებულებებზე, რომელითაც დამტკიცდებოდა, თუ რას ნიშნავდა მოპასუხის კუთვნილი უძრავი ქონებიდან, რომელიც მხარეთა მიჯნაზეა, მოსარჩელის მეზობლად განთავსებული საკუთრების ობიექტზე იმთავითვე აშკარა დაუშვებელი ხელყოფა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ნეგატორული სარჩელის დაკმაყოფილება დამოკიდებულია ისეთი ფაქტობრივი გარემოებების დამტკიცებაზე, რომელიც მოსარჩელის, როგორც ნივთის მესაკუთრის, მტკიცების ტვირთის განეკუთვნება და, უნდა დადასტურდეს სკ-ის 176-ე მუხლით დადგენილი წინაპირობები. კერძოდ, დადგინდეს, რომ სხვისი უკანონო მოქმედებით დაუშვებლად არის ხელყოფილი მესაკუთრის უფლება და ეს იმთავითვე აშკარაა.

სკ-ის 176-ე მუხლით დადგენილ „დაუშვებელ ხელყოფაში“ იგულისხმება ნაგებობის იმგვარი ექსპლუატაცია, რომელიც სამეზობლო ზემოქმედების თმენის ვალდებულების კანონით დადგენილ ფარგლებს სცილდება და მეზობელი მინის ნაკვეთის მესაკუთრის უფლებებს ხელყოფს, რაც იმთავითვე აშკარაა. საკუთრების უფლების შემზღვდებელი დასახელებული ნორმით, რომელიც სამეზობლო სამართლის მომწესრიგებელ ნორმათა შორის ყველაზე იმპერატიულია და იურიდიული შე-

<sup>44</sup> სუსგ, საქმე №ას-516-489-2015, 17.06.2015 წელი.

<sup>45</sup> სუსგ, საქმე №ას-368-352-2016, 21 ოქტომბერი, 2016 წელი.

დეგის მიხედვით, 175-ე მუხლზე მაღლაც დგას, მესაკუთრისა-გან ითხოვს ორი წინაპირობის არსებობის დამტკიცებას: „და-უშვებელი ხელყოფა“ და „ეს იმთავითვე აშკარაა“. კანონმდე-ბელმა იქიდან გამომდინარე, რომ საკუთრების უფლების შეზღუდვა შესაძლებელია მეზობელ მიწის ნაკვეთებზე ისე-თი შენობების აშენებით ან უკვე აშენებულის აკრძალვით, მესაკუთრეს დააკისრა ტვირთი, ხოლო ეს უკანასკნელი უნ-და უთითებდეს არა ზემოქმედების შესახებ (რაც სკ-ის 175-ე მუხლით დადგენილ შემთხვევებს მოიცავს), არამედ ისეთ აშ-კარა და დაუშვებელ ხელყოფაზე, რომელიც იმთავითვე თვალსაჩინო, აშკარაა და მისი დამტკიცება რეალურად შე-საძლებელია ჯეროვანი მტკიცებულების ნარდგენის ან მყა-რი პრეზუმუციის საფუძველზე, რაც თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს კვლევისა და შეფასების საგა-ნია.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების სა-ფუძველზე, მოსარჩევლეს არ მიუთითებია ისეთ გარემოებაზე, რაც საკასაციო სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას, სა-კუთრების დაუშვებელ აშკარა ხელყოფად შეეფასებინა განსა-ხილველი დავა<sup>46</sup>.

სხვა საქმეზე<sup>47</sup>, სადაც მოსარჩევეთა მოთხოვნა წყლის აეზის შეკვეთება და ავზიდან წყლით სარგებლობაში მოპასუხეთა მხრი-დან ხელშეშლის აღკვეთა, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტის გათვალისწინებით, დადგენილი ფაქ-ტების საფუძველზე, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მო-სარჩელის მოთხოვნის საფუძველი გამომდინარეობს სკ-ის 180-ე მუხლიდან და მის მიერ მითითებული და დადასტურებული ფაქ-ტები, რომ ბუნებრივი წყაროს სათავიდან წყალმომარაგების ქსე-ლი მოეწყო ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მინა სახელმწიფო საკუთ-რებაში იყო, ხოლო მოპასუხის მიწის ნაკვეთი არის ის აუცილებე-ლი გზა, რომელიც უზრუნველყოფს მოსარჩევეთა აუცილებელ კავშირს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი წყლის რესურსის ჯერო-ვანი გამოყენებისათვის, მოპასუხემ ვერ გააქარწყლა.

#### **4.12. მტკიცების ტვირთი პრომით-სამართლებრივ დავებში**

საგულისხმოა, რომ შორმით-სამართლებრივ დავებში, სადაც საკითხი სამუშაოდან დათხოვნის მართლზომიერებას ეხება, მტკიცების ტვირთი ე.წ. სპეციალური წესით ნაწილდება. (აღ-

<sup>46</sup> სუსგ, №ას-413-396-2016, 15.07.2016 წელი.

<sup>47</sup> სუსგ, №ას-871-838-2016, 28 აპრილი, 2017 წელი.

ნიშნულზე მითითებულია ქვემოთ).

საკასაციო პალატის განმარტებით, საქმეში, სადაც და-  
ვის საგანი მოსარჩელის ადრე დაკავებული თანამდებობის  
ტოლფას თანამდებობაზე აღდგენაა, საქართველოს უზენა-  
ესი სასამართლოს მიერ დადგენილი ერთგვაროვანი სასა-  
მართლო პრაქტიკის თანახმად, ტოლფას თანამდებობაზე  
აღდგენის მოთხოვნისას, ტოლფასი თანამდებობის არსებო-  
ბის მტკიცების ტვირთი (ზოგადი წესის შესაბამისად) მოთ-  
ხოვნისა ვეტორს (მოსარჩელეს) უნდა დაეკისროს და არა მოთ-  
ხოვნის ადრესატს<sup>48</sup>.

## თავი 5

### მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალური (კერძო) წესი

როგორც ზემოთ არაერთგზის აღინიშნა, სამართალწარმოე-  
ბაში მოქმედებს მტკიცების ტვირთის განაწილების ორი ძირი-  
თადი წესი: ზოგადი წესი, რომელიც, სსკ-ის 102-ე მუხლის თა-  
ნახმად, ეკისრება თითოეულ მხარეს და სპეციალური წესი, რო-  
მელსაც თავად გამოსაყენებელი მატერიალური ან საპროცესო  
ნორმა აწესებს. მტკიცების ტვირთის განაწილების სპეცია-  
ლური წესი ძირითადად მტკიცებულებით პრეზუმუტიციებს ემ-  
ყარება. თუმცა არის შემთხვევები, როცა მტკიცების ტვირ-  
თი მხარეთა შორის კანონის დანაწესის მიხედვით განსხვა-  
ვებული წესით ნაწილდება, ისე რომ პრეზუმუტიცია არ ვლინ-  
დება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალის-  
წინებს მტკიცების ტვირთის განაწილების განსხვავებულ (ე.წ.  
ინივაციურ) წესს, წარმოების ისეთი სახეების დროს, რომელიც  
შეეხება რეეგულული ქონების, თანამდებობის პირის, ქურდული  
სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული სამუა-  
ლების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის  
სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვე-  
პუნქტით შსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევასა და სა-  
ხელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებული საქმეების  
განხილვას.

წარმოების დასახელებულ კატეგორიაში მტკიცებულება

<sup>48</sup> სუსგ, საქმე №ას-475-456-2016, 24 ივნისი, 2016 წელი.

გარკვეული ფაქტის დასადასტურებლად მოეთხოვება იმ მხარესაც, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცების ტვირთი არ ეკისრება, რაც ცვლის მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების მანამდე დადგენილ წესს. ეს ნიშნავს, რომ იმ ფაქტის დამტკიცების მოვალეობა, რომელიც ევალებოდა ერთ მხარეს, საბოლოო ჯამში გადაეკისრება მეორე მხარეს. დამტკიცების ტვირთი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალში არის მოძრავი, იგი არა მუდმივად მიჯაჭული პრეზუმუციაზე. აღნიშნული ტიპის სამართალწარმოებაში პრეზუმუციები არ დაიშვება. მტკიცების ტვირთი ეკისრება სწორედ პროცესის იმ მონაწილე მხარეს, რომლისთვისაც უფრო ადვილია მტკიცებულებათა წარმოდგენა<sup>49</sup>.

ერთ-ერთ საქმეზე<sup>50</sup>, რომლითაც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოსარჩელე – საქართველოს მთავარი პროკურატურის მოთხოვნა მოპასუხის ქონების დაუსაბუთებლად ცნობისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ უძრავი ქონების დაუსაბუთებლად მიჩნევის ფაქტი სასამართლომ დაამყარა იმ გარემოებაზე, რომ ამ ქონების შეძენისათვის შესაბამისი მატერიალური სახსრების ქონის ფაქტი მოპასუხემ ვერ დაადასტურა სათანადო მტკიცებულებებით. სსკ-ის 356<sup>3</sup>-ე მუხლის მე-5 ნაწილით კი, კანონიერი შემოსავლების არსებობის ფაქტის მტკიცების ტვირთი სააპელაციო სასამართლომ მხოლოდ მოპასუხეს დააკისრა.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის პრეტენზია სააპელაციო სასამართლოს მიერ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის არასწორად განაწილებისა და საქმის გარემოებების ცალმხრივად შეფასების თაობაზე. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, პროკურორის სარჩელი უნდა დაფუძნებოდა სამოხელეო დანაშაულის ჩადენის შედეგად მოხელის, მისი ახლო ნათესავის ან დაახლოებული პირის მიერ სადავო ქონების მოპოვების შეუძლებლობის საფუძლიანი ეჭვის არსებობას. თავის მხრივ, სარჩელის აღძვრის დროისათვის მოქმედი აღმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21<sup>6</sup>-ე მუხლით რეგულირებული იყო ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობის საკითხი და ნორმის მე-2 ნაწილით არ ყოფილა განსაზღვრული მტკიცების ზოგადი სტანდარტისაგან (თითოეულმა მხარემ უნდა და-

<sup>49</sup> ი. გაგუა, „მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, 2013, მერიდიანი, გვ. 142.

<sup>50</sup> სუსგ, საქმე №ას-586-557-2013, 20 თებერვალი, 2015 წელი.

ამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს) განსხვავებული წესი. მითითებული ნორმის თანახმად, მოსარჩელე ვალდებული იყო, სასამართლოსათვის წარედგინა მტკიცებულებები მოპასუხის ქონების უკანონობისა და დაუსაბუთებლობის თაობაზე. თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნაონსავის ან დაკავშირებული პირის ქონებას მოსამართლე მოსარჩელე მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე ცნობდა დაუსაბუთებლად, თუ საქმისწარმოების პროცესში მოპასუხე ვერ წარუდგენდა სასამართლოს ქონების ან ამ ქონების შეძენისათვის საჭირო ფინანსური საშუალებების კანონიერი გზით მოპოვების ან ამ ქონებაზე კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს.

საკასაციო პალატამ დაპრუნა რა საქმე ხელახლა განსახილველად, აღნიშნა, რომ მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია არც ერთი მტკიცებულება, რომელიც დასაბუთებდა სარჩელში აღნიშნულ გარემოებებს, ანუ ფაქტობრივად სარჩელის აღმვრის წინაპირობა მხოლოდ პროკურორის „ეჭვი“ იყო, რომლის საფუძვლიანობის დამადასტურებელი მტკიცებულებები მის მიერ სამართალწარმოების არცერთ სტადიაზე არ წარდგენილა. მოსარჩელე შემოიფარგლა იმაზე მითითებით, რომ პროკურატურის წარმოებაში იყო სისხლის სამართლის საქმეები ა. ა-ძისა (მოპასუხის ძმა) და სხვათა მიმართ, რაც მოსარჩელეს აძლევდა ვარაუდის საფუძველს, რომ სადავო ქონება დაუსაბუთებელია.

პალატის მითითებით, სადავო ქონების შეძენის დროისათვის შემოსავლის არსებობის ფაქტის დადასტურების მიზნით, მოპასუხებ წარადგინა მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება მოპასუხის მიერ მინის ნაკვეთის საკუთრების ფაქტი, რომელზეც გაშენებულია ციტრუსის ნარგავები, ამაზე დაყრდნობით მოპასუხე ამტკიცებდა, რომ მოსავალს ყიდდა, რაც საკმარისი იყო სადავო ქონების შესაძენად. თუმცა საწინააღმდეგო მტკიცებულება მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

## 5.1. მტკიცების ფინანსი და მტკიცებულებითი არეზუმაციები

მტკიცების ვალდებულების (ტვირთის) განაწილებისა და მტკიცებულებათა წარმოდგენის ზოგად წესს არსებითად ცვლის მტკიცებულებითი პრეზუმფციები. პრეზუმფციები სამოქალაქო სამართალწარმოებაში დამტკიცებისაგან კი არ ათავისუფლებს მხარეს, არამედ წარმოადგენს დაპირისპირებულ მხარე-

თა შორის დამტკიცების ტვირთის განაწილების შედეგს<sup>51</sup>.

მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძვლებს ქმნის სამოქალაქო სამართალში გათვალისწინებული ვარაუდები (პრეზუმეციები), რომლებიც გამომდინარეობს მატერიალური სამართლის ნორმებიდან. ნორმები, რომლებიც შეიცავს პრეზუმუციებს, კანონის პირდაპირი მითითებაა იმის შესახებ, რომელმა მხარემ კონკრეტულად რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს სამოქალაქო პროცესში. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო სამართალში არ არის პრეზუმუციების, ანუ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების დასრულებული სისტემა. რიგ შემთხვევაში, კანონი არ შეიცავს პირდაპირ მითითებას იმაზე, თუ რომელმა მხარემ კონკრეტულად რა ფაქტი უნდა დაამტკიცოს ან, რომელი ფაქტების დამტკიცების საფუძველზე წარმოიშობა ვარაუდი სხვა ფაქტების არსებობა-არარსებობის შესახებ. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგიერთ წესს ადგენს სასამართლო პრაქტიკა, რაც ავსებს კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზს<sup>52</sup>.

პრეზუმუცია წარმოგვიდება, როგორც მტკიცების საშუალება, „პრეზუმუციების არსებობა საჭიროა იმისათვის, რომ ურთიერთობის მონაწილეები გაურკვეველ, ბუნდოვან მდგომარეობაში არ აღმოჩნდნენ და მათი სამართლებრივი სტატუსი ჰაერში არ იყოს გამოკიდებული“<sup>53</sup>.

#### 5.1.1. მტკიცების ტვირთი და მტკიცებულებითი არაზოგციები სავინდიკაციო დავები

მიუხედავად იმისა, რომ სავინდიკაციო სარჩელების განხილვისას კანონისმიერი პრეზუმუციის გამოყენების თვალსაზრისით, არსებობს უზენაესი სასამართლოს სტაბილური, ერთგვაროვანი პრაქტიკა. მაინც გვხვდება შემთხვევები, როცა ნივთის მესაკუთრესა და მფლობელს შორის მტკიცების ტვირთის განაწილებასთან დაკავშირებით გარკვეულწილად არაერთგვაროვანი მიღება.

ერთ-ერთ საქმეზე<sup>54</sup> მოსარჩელემ ვინდიკაციური სარჩელით

<sup>51</sup> თ. ლილუშვილი, „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, 2005, თბილისი, გვ. 229.

<sup>52</sup> ი.გაგუა, მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, 2013, მერიდიანი, გვ. 146,153.

<sup>53</sup> ლ.ჭანტურია, „შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში“, თბ, 1997, გვ.160.

<sup>54</sup> სუსგ, საქმე №ას-690-661-2016, 1 სექტემბერი, 2016 წელი.

მოითხოვა საჯარო რეესტრში მის საკუთრებად აღრიცხული უძრავი ქონების გამოთხოვა მოპასუხეთა უკანონო მფლობელობიდან. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სტაბილური პრაქტიკის მიხედვით უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ სარჩელის შემთხვევაში, მტკიცების საგანში შემავალი სამი ელემენტიდან (მოსარჩელის საკუთრების უფლების არსებობა ნივთზე; ამ ნივთის მოპასუხის მფლობელობაში ყოფნა; მოპასუხის მიერ ნივთის არამართლზომიერი ფლობა) პირველი ორის დადასტურების ვალდებულება მოსარჩელეს ეკისრება, ხოლო მესამე ელემენტზე მას მითითების ვალდებულება გააჩნია, ამ მხრივ სარჩელი, როგორც ფორმალურ-სამართლებრივი, ისე ფაქტობრივი თვალსაზრისით გამართულია. მოსარჩელემ წარადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი, რაც შეეხება მესამე ელემენტს – ნივთის ფლობას, მოპასუხის მტკიცების საგანში შედის მისი ფლობის ნამდვილი უფლების დადასტურება (მართლზომიერი მფლობელი, მესაკუთრე). საპროცესო კანონმდებლობა ადგენს მხარის სრულ უფლებას, შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის ფარგლებში (სსკ-ის მე-3 და მე-4 მუხლები), თავისუფლად წარადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც, მისი შეფასებით, ადასტურებს პოზიციის მართებულობას. მოპასუხებების უთითებენ მათი საკუთრების უფლების არსებობაზე, რა დროსაც გასათვალისწინებელია სსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და მატერიალური კანონმდებლობის დათქმა იმის თაობაზე, რომ საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე საჯარო რეესტრის ამონაწერით უნდა დადასტურდეს<sup>55</sup>. სასამართლომ განმარტა, რომ ქონებაზე სანივთო უფლების რეგისტრაციის პირობებში, მოსარჩელის უფლების დასაცავად არსებობს სსკ-ის 312-ე მუხლით გათვალისწინებული კანონისმიერი პრეზუმაციის დაშვების აუცილებლობა იმის თაობაზე, რომ რეგისტრირებული უფლება უტყუარი და სრულია, რაც მოპასუხის საკასაციო პრეტენზიის გაზიარებას გამორიცხავს.

სხვა საქმეზე<sup>56</sup> ვინდიკაციურ სარჩელზე დავისას, სასამართლომ მიუთითა რა სარჩელის საფუძვლიანობისთვის სავალდებულო ფაქტობრივი გარემონტების შესახებ (მოსარჩელე უნდა იყოს ნივთის მესაკუთრე, მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი და მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება), აღნიშნა, რომ, ვინაიდან საქმეში არსებული მტკიცებუ-

<sup>55</sup> სსკ-ის 312-ე მუხლი; სუსგ საქმე №ას-453-435-2016, 10. 06. 2016 წელი.

<sup>56</sup> სუსგ, საქმე №ას-707-677-2016, 23 სექტემბერი, 2016 წელი.

ლებების მიხედვით, მოსარჩელისა და მოპასუხის საკუთრების უფლება რეგისტრირებულია საჯარო რეგისტრში, თითოეულს მინიჭებული აქვს უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდი (სკ-ის 311-312 მუხლები), მოპასუხე არ არის სადაცო მიწის ნაკვეთის არა-მართლზომიერი მფლობელი და, შესაბამისად, არ არსებობს ვინ-დიკაციური სარჩელის დასაკმაყოფილებლად სავალდებულო სამი წინაპირობა. ამ კონტექსტში კი, საკასაციო სასამართლომ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილების არა მარტო საპროცესოსამართლებრივ, არამედ მატერიალურსამართლებრივ მნიშვნელობაზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ, მატერიალური კანონმდებლობიდან გამომდინარე, ვინდიკაციური სარჩელის პირობებში, სწორედ მოსარჩელეს ეკისრება სარჩელის სამივე საფუძვლის დამტკიცების მოვალეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ იქნება აღიარებული სადაცო წივთზე მისი მოთხოვნის მართლზომიერება<sup>57</sup>.

### **5.1.2. პრეზავაცია სადაცო თანხის კუთვნილების ესახებ მოსარჩელის სასარგებლობა**

ერთ-ერთ საქმეზე<sup>58</sup> საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაანანილა მტკიცების ტვირთი და დაუშვა ფულზე საკუთრების პრეზუმეცია მოსარჩელის სასარგებლოდ. ამ საქმეზე მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის თანხის დაკისრება, იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელემ საკუთარი დააზოგით გადაწყვიტა ბინის შექენა. მხარეები იმყოფებოდნენ არარეგისტრირებულ ქორწინებაში. მოპასუხის მიერ განხორციელებული იძულებისა და მუქარის გამო ბინა აღირიცხა ამ უკანასკნელის სახელზე. საქმის მასალებით დადასტურდა, რომ ბინის საფასური გამყიდველს საბანკო ანგარიშზე მოსარჩელის მიერ ნაღდი თანხის შეტანით ჩაერიცხა. ქვემდგომი სასამართლების მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, იმ მოსაზრებით, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა გამყიდველისათვის ჩარიცხული თანხის მისადმი კუთვნილების ფაქტი.

<sup>57</sup> საფინდიკაციო სარჩელებთან დაკავშირებით, იხ. სუსგ-ები №ას-1043-1004-2016, 2016 წლის 12 დეკემბრის განჩინება; №ას-901-867-2016, 2016 წლის 9 დეკემბრის განჩინება; №ას- 3-3-2016, 2016 წლის 9 მარტის განჩინება; №ას-1082-1039-2016, 2017 წლის 14 თებერვლის განჩინება; №ას-292-276-2017, 2017 წლის 31 მარტის განჩინება; №ას-358-334-2017, 2017 წლის 13 აპრილის განჩინება, საქმე №ას-82-78-2017 5 მაისი, 2017 წელი.

<sup>58</sup> სუსგ, საქმე №ას-184-171-2015, 20 მაისი, 2016 წელი.

საკასაციო წესით გასაჩივრებული განჩინებით საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემობები არ ქმნიდა თანხის დაბრუნების და, შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილების სკ-ის 978-ე, 991-ე მუხლებით გათვალისწინებულ ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძველს. სახელდობრ, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც უძრავი ქონება შეიძინა მოპასუხემ, არ დგინდებოდა, რომ რეალურად უძრავი ნივთის ნასყიდობისას გარიგების ერთ-ერთ მხარეს ნარმოადგენდა მოსარჩელე და ბინის გამყიდველისათვის საბანკო ოპერაციით გადარიცხულ თანხაზე ვრცელდებოდა მოსარჩელის საკუთრების უფლება, მარტომდენ საბანკო ოპერაციაში მოსარჩელის მონაბილეობა კი, არ ნარმოადგენდა სარჩელის დაკმაყოფილებისა და მოპასუხისათვის ამ თანხის დაკისრების საკმარის საფუძველს.

საკასაციო პალატმ აღნიშნა, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოების, კერძოდ, იმის გათვალისწინებით, რომ თანხა ნაღდი ანგარიშსწორების გზით ჩაირიცხა გამყიდველის ანგარიშზე, ხოლო შემოსავლის ორდერში თანხის შემტან პირად დაფიქსირებულია მოსარჩელე – ამოქმედდა პრეზუმუცია სადაც თანხის კუთვნილების შესახებ მოსარჩელის სასარგებლოდ. სასამართლომ განმარტა, რომ სამართალწარმოებაში „პრეზუმუციების“ გავრცელება იმითა განპირობებული, რომ ფაქტების გარკვეული ნაწილი მტკიცებას არ საჭიროებს. სამოქალაქო პროცესში მონაბილეობს ორი ერთმანეთი-სადმი დაპირისპირებული მხარე – მოსარჩელე და მოპასუხე, შესაბამისად, ერთი ნაწილი მტკიცების საგანში შემავალი ფაქტებისა ივარაუდება მოსარჩელის სასარგებლოდ, ხოლო დანარჩენი ნაწილი – მოპასუხის სასარგებლოდ. ის, რაც ივარაუდება, მოსარჩელის სასარგებლოდ, უნდა დაამტკიცოს მოპასუხემ, ხოლო ის, რაც ივარაუდება, მოპასუხის სასარგებლოდ, პირიქით, მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. ეს იმას ნიშნავს, რომ პრეზუმუციები სასამართლოში მტკიცების მოვალეობისაგან კი არ ათავისუფლებს მხარეს, არამედ წარმოადგენს მხარეთა შორის მტკიცების განაწილების საფუძველს. მოსარჩელე ვალდებულია დაამტკიცოს მტკიცების საგანში შემავალი გარკვეული ფაქტების ნაწილი, ხოლო ამ ფაქტების მეორე ნაწილი ვალდებულია დაამტკიცოს მოპასუხემ. ნორმები, რომლებიც შეიცავს პრეზუმუციებს, წარმოადგენს კანონის პირდაპირ მითითებას იმის შესახებ, რომელმა მხარემ კონკრეტულად რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს სამოქალაქო პროცესში. სასამართლოს აზრით, განსახილველ შემთხვევაში, საპირისპირო მტკიცების ტვირთი,

რომლითაც გამოირიცხებოდა სადავო თანხაზე მოსარჩელის საკუთრების უფლება, მოპასუხის მხარეზეა. მოპასუხის მითითებული პოზიცია საკასაციო პალატამ სარწმუნოდ, მით უფრო, მოსარჩელის სასარგებლოდ მოქმედი პრეზუმუტიციის გაქარნყლების საფუძვლად არ მიიჩნია. საკასაციო სასამართლომ დაბრუნა რა საქმე სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილებლად მიუთითა, რომ მტკიცების ტვირთის სწორი განაწილების პირობებში გამოსაკვლევია, მოსარჩელის საბანკო ანგარიშიდან გადარიცხული სადავო თანხის დაბრუნების კონდიქციის არსებობა, უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი სსკით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლით.

### 5.1.3. ვალდებულების შესრულების პრეზენცია

ნარდობის სახელშეკრულებო-სამართლებრივ დავასთან დაკავშირებით ერთ-ერთ საქმეზე<sup>59</sup> სასამართლომ მოსარჩელის (მენარდის) სასარგებლოდ დაუშვა ვალდებულების შესრულების პრეზუმუტიცია. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი, სსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, ეკისრება მენარდეს. ამ წესისაგან გამონაკლის ითვალისწინებს 102.3 მუხლი, თუმცა ამგვარი შემთხვევა, როგორც წესი, მატერიალური სამართლის ნორმით უნდა იყოს მოწესრიგებული. სასამართლოს აზრით, ნარდობის მარეგულირებელი ნორმები (სსკ-ის 629-ე-656-ე მუხლები) მენარდის მიერ სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი სპეციალური მტკიცებულების სახეს არ ადგენს, შესაბამისად, შემკვეთის მოსაზრება ფორმა №2-ით ან სხვა მსგავსი მტკიცებულებით სადავო საკითხის დამტკიცების თაობაზე დაუსაბუთებელია. მის მიერ მითითებული თითოეული მტკიცებულებით, ბუნებრივია, ვალდებულების შესრულება შეიძლება, დადასტურდეს, თუმცა ეს არ გამორიცხავს მხარის უფლებას, სხვა მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაძლიოს კანონმდებლობით დაკისრებული ფაქტის მტკიცების ვალდებულება. საპროცესო მიზნებისათვის არავითარ მტკიცებულებას წინასწარ დადგენილი ძალა არ გააჩნია და სასამართლო მათ აფასებს ერთობლივად, შესაბამისად, გამოაქვს მოტივირებული დასკვნა ამა თუ იმ ფაქტის დადასტურების კუთხით (სსკ-ის 105-ე მუხლი). მოცემულ შემთხვევაში, მენარდის მიერ ნარდგენილი მტკიცებულებები, იძლევა იმ პრეზუმუტიციის დაშვების საფუძველს, რომ მენარდემ

<sup>59</sup> სუსგ, საქმე №ას-513-490-2016, 21 ოქტომბერი, 2016 წელი.

**მართლაც შეასრულა მითითებული სამუშაო.** პრეზუმირებული ფაქტის პროცესუალური თავისებურება კი ისაა, რომ მისი გაქარწყლება ევალება იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც მოქმედებს თავად ეს ფაქტი. ის გარემოება, რომ შემკვეთმა შესაძლოა, შეიძინა გარკვეული რაოდენობის არმატურა, ბუნებრივია, არ გამორიცხავს მოსარჩელის (მენარდის) მიერ სამუშაოების შესრულებას. ამ თვალსაზრისით პრეზუმაციის გასაქარწყლებლად ვერც ის ვერ გამოდგება, რომ მენარდეს არ უსარგებლია ავანსის მიღების უფლებით და სამუშაოების დასრულების კონკრეტულ ვადაზე არ შესთანხმებია მხარეს. რაც შეეხება მოწმის ჩვენების შეფასებას, თავად შემკვეთი ციტირებს, რომ მოწმისათვის თავდაპირველი სამუშაოების მენარდის მიერ შესრულება ემყარება „მისთვის ცნობილ ინფორმაციას“ და არა უშუალოდ მოწმის მიერ აღქმულ რეალობას, შესაბამისად, საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები ვერ აქარწყლებს სსკ-ის 629-ე მუხლის შემადგენლობის არსებობის ფაქტს.

#### **5.1.4. ფულადი ვალდაპულების შესრულების პრეზუმაცია მოპასუხის სასარგებლოდ**

სხვა საქმეზე<sup>60</sup>, სადაც დავის საგანი ასევე ფულადი ვალდებულების შესრულებაა, სასამართლომ მოპასუხის სასარგებლოდ ფულადი ვალდებულების შესრულების პრეზუმაციის დაშვებით სტაბილური პრაქტიკისგან განსხვავებით გაანანილა მტკიცების ტვირთი. მოცემულ საქმეში მოსარჩელე – უნივერსიტეტი მოპასუხე-სტუდენტისაგან მოითხოვს მის მიერ უცხოეთის უნივერსიტეტში გაცვლითი საბაკალავრო პროგრამით გადახდილი სტუდენტის სწავლის საფასურის ანაზღაურებას. მოპასუხებ მოთხოვნის დამაბრკოლებელი შესაგებელი წარადგინა, ამ საფუძვლით, რომ მან სწავლის საფასური ნაღდი ანგარიშსწორებით ქართულ უნივერსიტეტში გადაიხდა. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკამაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი მხარეთა შორის და აღნიშნა, რომ სკ-ის 429-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ნორმით განსაზღვრული იურიდიული შემადგენლობის შედეგად წარმოშობილ ურთიერთობათა დასადასტურებლად ამავე ნორმით გათვალისწინებულია შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის პირობა, რაც უდავოდ გულისხმობს

<sup>60</sup> სუსგ, საქმე №ას-426-403-2014, 9 ოქტომბერი, 2015 წელი.

წერილობითი სახის მტკიცებულებას და იგი გაიცემა მოვალის სახელზე. ვალდებულების შესრულების სადაცობის პირობებში კანონით უზრუნველყოფილია მოვალის შესაძლებლობა, ამტკიცოს ვალდებულების შესრულება. ეს მეტყველებს იმაზეც, რომ ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთის მატარებელი მხოლოდ მოვალე შეიძლება იყოს. შესაბამისად, უცხოთის უნივერსიტეტში სწავლის საფასურის გადახდა უნდა ემტკიცებინა მოპასუხეს, რომელმაც სადაცო გარემოებები შესაბამისი მტკიცებულებით (წერილობითი მტკიცებულებით – საგადასახდო დავალებით ან/და სალაროს ჩეკით) ვერ დაადასტურა.

საკასაციო პალატამ გააუქმა სასაპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა სასაპელაციო სასამართლოში. პალატამ გაიზიარა სასამართლოს მსჯელობა, რომ თანხის გადახდის ფაქტი მხოლოდ მოწმის ჩვენებით ან მხარის განმარტებით, არ შეიძლება დადასტურდეს (სსკის 102.3 მუხლი), თუმცა დაუსაბუთებლად მიიჩნია ქვემდგომი სასამართლოს დასკვნა, რომლითაც, მოპასუხის მიერ ფულადი ვალდებულების შესრულება არ შეიძლებოდა, დადასტურებულიყო უნივერსიტეტში სწავლის საფასურის ნალი ანგარიშსნორების წესით გადახდის ფაქტზე მითითებით, ასევე, მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის სტუდენტის სტატუსის შეუჩერებლობითა და მის სახელზე დიპლომის გაცემით. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სწორედ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით უარყოფილი, ზემოხსენებული მტკიცებულებების ერთობლივად შეფასების გზით უნდა გაირკვეს, სახეზე ხომ არ არის პრეზუმირებული ფაქტები, კერძოდ, სასამართლომ უნდა იმსჯელოს, იმ პირობებში, როდესაც სტუდენტის საზღვარგარეთ სწავლების დაფინანსების ვალდებულება უნივერსიტეტს არ ეკისრებოდა, უნივერსიტეტში დაშვებული იყო, როგორც უნაღდო, ისე ნალი ანგარიშსნორების წესით გადახდა, სწავლის განმავლობაში მოსარჩელეს არ წარუდგენია მოთხოვნა მოპასუხის მხრიდან ვალდებულების დარღვევის (სწავლის საფასურის გადაუხდელობა ან დაგვიანებით გადახდა) თაობაზე და მის მიმართ არ დგინდება რაიმე ადმინისტრაციული ზომების გამოყენება (სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა), დავალიანების მქონე სტუდენტები სასწავლო პროცესში არ დაიშვებოდნენ და არ გაიცემოდა დიპლომი, ხომ არ არსებობს იმის ვარაუდის საფუძველი, რომ უცხოეთის უნივერსიტეტიდან გამოგზავნილი ინვოისის შესაბამისად მოსარჩელის მიერ შესრულებული ტრანზაქციის თანხა, სწორედ მოპასუხის მიერ უნივერსიტეტში ნალი ანგარიშსნორების გზით შეტანილი თანხა იყო.

## 5.1.5. მოძრავ ნივთებზე მოსარჩევათა საკუთრების პრეზენტი

სასამართლომ პრეზუმირებულად მიიჩნია მოძრავ ნივთებზე მოსარჩელეთა საკუთრების უფლება. კონკრეტულ საქმეზე<sup>61</sup> საქალაქო და სააპელაციო სასამართლებამა არ დააკმაყოფილეს სარჩელი, რომლითაც მოსარჩელეები მოპასუხის – საქართველოს მთავარი პროკურატურისა და ა. ქ-ის მიმართ ქონების ყადაღი-საგან განთავისუფლებას ითხოვდნენ, იმ საფუძვლით, რომ სასამართლო აღმასრულებლის მიერ ა. ქ-ისათვის (მოსარჩელეთა ძმა და მაზლი) შეფარდებული სასჯელის აღსრულების მიზნით აღმასრულებელმა არასწორად დაადო ყადაღა მათ მოძრავ ნივთებს. სააპელაციო პალატის დასკვნით, მოპასუხებ სადავო განხადა ამ ნივთებზე მოსარჩელეთა კუთვნილება, ხოლო საქმეში ამ ფაქტის დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულება მოსარჩელეთა მიერ წარდგენილი არ ყოფილა, პალატამ მიიჩნია, რომ მხოლოდ მომის ჩვენება არ არის საკმარისი სადავო ფაქტის დასადასტურებლად და სარჩელის დასაქმაყოფილებლად.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ ყადაღადადებული ქონება კასატორების საკუთრებას არ წარმოადგენს და ახალი გადაწყვეტილებით, რომელიც დააფუძნა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლსა და სკ-ის 158-ე და 151-ე მუხლებზე, სარჩელი დააკმაყოფილა.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყადაღა შეიძლება, დაედოს მხოლოდ მოვალის კუთვნილ მოძრავ ქონებას.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სკ-ის 158-ე მუხლის პირველი ნაწილით (ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე). ეს წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა ნივთზე საკუთრებითი ურთიერთობის ხასიათი ვლინდება საჯარო რეესტრიდან. საკუთრების პრეზუმფცია არ გამოიყენება არც ძველი მფლობელის მიმართ, თუ მან ეს ნივთი დაკარგა, მოპარეს ან სხვაგვარად გავიდა იგი მისი მფლობელობიდან. საკუთრების პრეზუმფცია მოქმედებს ძველი მფლობელის სასარგებლოდ მხოლოდ მისი მფლობელობის პერიოდში) გათვალისწინებული ვარაუდი (პრეზუმფცია) ასახავს იმ შემთხვევებს, როდესაც ბრუნვის მონაწილეთათვის უცნობია მფლობელობის უკან

<sup>61</sup> სუსგ, №ას-1101-1050-2014, 6 თებერვალი, 2015 წელი; საქმე №ას-586-561-2016, 29 ივლისი, 2016 წელი; საქმე №ას-1138-1094-2016 20 იანვარი, 2017 წელი.

არსებული უფლება, ხშირ შემთხვევაში უცნობია მფლობელის უფლებები, მაგრამ სამართლებრივი წესრიგი მოითხოვს, დავეყრდნოთ მფლობელის კეთილსინდისიერებას და იგი, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე, ნივთის მესაკუთრედ მიიჩნიოს.

საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე მთავარი ნივთის მესაკუთრე იმავდროულად საკუთვნებლის მესაკუთრედაც მიიჩნევა. (სკ-ის 151-ე მუხლი. საკუთვნებელი არის მოძრავი ნივთი, რომელიც, თუმცა არ არის მთავარი ნივთის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისთვის, დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რის გამოც იგი სივრცობრივად მთავარ ნივთს უკავშირდება და, დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, ითვლება საკუთვნებლად.) საცხოვრებელ ბინაში არსებული ავეჯი განკუთვნილია მისი სამსახურისათვის და დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით. საცხოვრებელი ბინა რეგისტრირებულია მოსარჩელის სახელზე, შესაბამისად, ივარაუდება, რომ ამ ბინაში განთავსებული ნივთების მესაკუთრე და კეთილსინდისიერი მფლობელი მოსარჩელეა.

სკ-ის 158-ე მუხლის პირველი ნაწილით ცალსახად დადგენილია, რომ ნივთზე მფლობელის უფლებამოსილების არამართლზომიერების მტკიცების ტვირთი უფლების შემცილებელს აწევს. მოცემულ შემთხვევაში, სსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, საქართველოს მთავარ პროკურატურას უნდა დაემტკიცებინა, მოსარჩელის მფლობელობაში არსებულ ნივთებზე მფლობელის არაუფლებამოსილებისა და ამ ნივთების მოპასუხისათვის კუთვნილების ფაქტი, რაც არ განხორციელებულა.

**5.1.6. სასამართლო იგ საჟურნალით, რომ ეპსაერთს ხელშეკრულებასა და შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაპარების პატივი ხელშეკრულობის მოპასუხისადმი კუთვნილების საპითხი პათაგრორიცული დასკვნით არ უარყოფით, დაუშვა ხელშეკრულობის პრეზენცია მოსარჩელის სასარგებლოდ<sup>62</sup>**

მხარეთა შორის დავა ნარდობის სახელშეკრულებო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოიშვა. მოსარჩელე (მენარდე) მოითხოვს შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ მოპასუხის (შემკვეთისაგან) ფულადი ვალდებულების შესრულებას. მოპა-

<sup>62</sup> სუსგ, საქმე №ას-898-860-2014, 9 ოქტომბერი, 2015 წელი.

სუხე მოთხოვნის დამაპრკოლებელი შესაგებლით უარყოფს ხელშეკრულებასა და შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას. სსკ-ის 137-ე მუხლის მე-2 ნაწილის (მტკიცებულების წარმდგენ მხარეს შეუძლია, სთხოვოს სასამართლოს მტკიცებულებებიდან სადაც საბუთის ამორიცხვა და საქმის გადაწყვეტა საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების საფუძველზე). ამ თხოვნის არარსებობის შემთხვევაში სასამართლო შეამოწმებს საბუთის ნამდვილობას, რისთვისაც შეუძლია, დანიშნოს ექსპერტიზა, მოითხოვოს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა ან გამოითხოვოს სხვა მტკიცებულებები) საფუძველზე მოსარჩელეს დოკუმენტების საქმიდან ამორიცხვა არ მოუთხოვია.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დანიშნა კალიგრაფიული ექსპერტიზა სადაც დოკუმენტებზე მოპასუხე საწარმოს დირექტორის ხელმოწერის არსებობა-არარსებობის ფაქტის დადგენის მიზნით. ექსპერტიზამ ვერ გასცა დასკვნა გამოსაკვლევი ხელმოწერის მოკლე, მარტივი აგებულებისა და ინფორმაციული ნიშნების სიმცირის გამო. ამდენად, ხელმოწერის სიყალე ექსპერტს არ დაუდგენია, შესაბამისად, სასამართლომ სადაც მტკიცებულებები (ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი) საქმეში არსებულ სხვა დოკუმენტებთან ერთად შეაფასა და სარჩელი დაკმაყოფილა.

კასატორის (მოპასუხის) პრეტენზიის საწინააღმდეგოდ, რომ სასამართლომ არ დანიშნა დამატებითი ექსპერტიზა და, სსკ-ის 102-ე მუხლის დარღვევით, სადაც გარემოების მტკიცების ტვირთო მოპასუხეს დააკისრა, უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ ისეთ ვითარებაში, როდესაც ექსპერტს ხელმოწერის ადრესატისათვის კუთვნილების საკითხი კატეგორიული დასკვნით არ უარყოვია, ეს გარემოება იძლევა მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის პრეზუმეციის (ვარაუდის) დაშვების საფუძველს, რომლის გაქარწყლებაც იმ მხარეს ეკისრება, რომლის წინააღმდეგებს ეს ვარაუდი, ამდენად, სასამართლოს მსჯელობა, რომ მოპასუხემ ვერ წარადგინა ხელშეკრულების ნამდვილობის გამაბათილებელი მტკიცებულებები, არ ეწინააღმდეგება სსკ-ის 102-ე მუხლის მოთხოვნებს და, კონკრეტულ შემთხვევაში, არც სასამართლოს წარმოუშობდა ვალდებულებას, დაენიშნა განმეორებითი ექსპერტიზა.

### 5.1.7. პრეზენტია სესხის სახელშეკრულებო- საგართვებრივ დავები

ერთ-ერთ საქმეზე<sup>63</sup> სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩევის (გამსესხებლის) მიერ სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადასტურების შემთხვევაში და ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე მისი მითითების პირობებში მოქმედებს პრეზუმფცია, რომ მოპასუხეს (მსესხებელს) ვალდებულება (სესხის დაპრუნება) შესრულებული არ აქვს. ამდენად, სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადასტურების ტვირთი აკისრია მოსარჩევეს (გამსესხებელს). მხოლოდ ამ შემთხვევაში მოქმედებს პრეზუმფცია მსესხებლის (მოპასუხეს) მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე. ამ პრეზუმფციის გაქართყლების ტვირთი (ვალდებულების შესრულების ტვირთი) აკისრია მსესხებელს (მოპასუხეს).

სკ-ის 624-ე მუხლის მე-2 წინადადებაში ზუსტად ამ მტკიცების ტვირთისა და მტკიცების საგანში შემავალი სასესხო ურთიერთობასთან დაკავშირებული ფაქტების დადასტურების თავისებურებაზეა გამახვილებული ყურადღება. განსახილები დანაწესი ზღუდავს მხარეებს არა გარიგების ფორმის, არამედ მტკიცებითი საშუალებების არჩევანში.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი იმ საფუძვლით, რომ მოსარჩევემ ვერ დაადასტურა მოპასუხესთან სესხის სახელშეკრულებო-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა.

### 5.1.8. პრეზენტია ჩრეულებულის (მოსარჩელის) სასარგებლოდ

მოსარჩელე-რწმუნებული მოპასუხე-მარწმუნებლისგან მოითხოვს შეთანხმებული გასამრჯელოს ანაზღაურებას<sup>64</sup>. მოპასუხის განმარტებით, დავალების ხელშეკრულებაში მხარეები გასამრჯელოზე არ შეთანხმებულან.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, დავალების ხელშეკრულებებში გასამრჯელოზე მხარეების შეთანხმების არარსებობის მიუხედავად, მათ შორის წარმოშობილი ურთიერთობა მხოლოდ გასამრჯელოთი არის მოსალოდნელი. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ არ გაიზირა კასატორის (მოპასუხის) მოსაზრება იმის თაობაზე, რომ წერილობითი ფორმით დავალების

<sup>63</sup> სუსგ, საქმე №ას-929-891-2014, 22 აპრილი, 2015 წელი.

<sup>64</sup> სუსგ, №ას-739-707-2014, 10 სექტემბერი, 2015 წელი.

ხელშეკრულების დადგებისას გასამრჯელოს გაუთვალისწინებ-ლობა ნიშნავს მხარეთა შორის უსასყიდლო ურთიერთობის არ-სებობას. კანონი, ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, ადგენს ასეთ ვითარებაში გასამრჯელოს განსაზღვრის კრიტერიუმებს.

განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის წარმოშობილი იყო გრძელვადიანი ურთიერთობა, რომელიც ითვალისწინებდა მოგების მიღების მიზნით მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის აშენებას, რაც მაღალი აღბათობით შესაძლებელია განხორციელდეს გასამრჯელოს სანაცვლოდ. გასამრჯელო ჩაითვლება უსიტყვიოდ შეთანხმებულად, თუ გარემოებათა მიხედვით მოქმედების შესრულება მხოლოდ გასამრჯელოთი არის მოსალოდნელი. ამ თავისებურებაზე მიუთითებს სკ-ის 710-ე მუხლის მე-2 ნაწილი. განსახილველ შემთხვევაში **გასამრჯელოს არსებობის ფაქტი პრეზუმირებულია მოსარჩელის სა-სარგებლოდ**. ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული გა-რემოების გაქარწყლება შესაძლებელია თვით დაინტერესებუ-ლი პირის მიერ, თუ იგი დაადასტურებს, რომ სადაცო ურთიერ-თობა გასამრჯელოს არ ითვალისწინებდა. აღნიშნული კასატორ-მა (მოპასუხემ) ვერ დაადასტურა (სსკ-ის 102-ე მუხლი). იგი უთი-თებს მხოლოდ დავალების ხელშეკრულებებში გასამრჯელოზე შეთანხმების არარსებობაზე, რაც არ არის საკმარისი 710-ე მუხ-ლის მე-2 ნაწილით მოცემული პრეზუმფციის გასაქარწყლებ-ლად.

#### **5.1.9. პრეზუმაცია მოსარჩელის სასარგებლოდ მიუღაველ შემოსავალთან დაკავშირებით**

ერთ-ერთ საქმეზე<sup>65</sup> ბანკმა (მოსარჩელე, კრედიტორი) მო-ითხოვა (ერთ-ერთი მოთხოვნა) მოპასუხისათვის (მოვალე) სა-ბანკო კრედიტით სარგებლობის ხელშეკრულების დარღვევის გამო მიუღებელი შემოსავლის დაკისრება. კასატორის (მოპა-სუხის) ძირითადი პრეტენზია სწორედ მიუღებელი შემოსავლის დაკისრებას დაუკავშირდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქარ-თველის უზენავის სასამართლოს პრაქტიკით „განსხვავებულია სარგებლისა და მიუღებელი შემოსავლის სამართლებრივი ბუ-ნება“ (სარგებელი ეს არის ნივთის (ამ შემთხვევაში ფულის სარ-გებლობისათვის პროცენტი) გამოყენების შედეგად მსესხებლის მიერ მიღებული ან მისაღები შემოსავალი, ხოლო მიუღებელი შემოსავალი – ის ზიანის (დანაკარგია), რომელიც ვერ მიიღო ბან-

<sup>65</sup> სუსგ, საქმეზე №ას-681-652-2016, 17 თებერვალი, 2017 წელი.

კმა მსესხებლის მიერ ვალდებულების დარღვევის გამო) განსხვავებულია ხელშეკრულებით განსაზღვრული სარგებლისა და მიუღებელი შემოსავლის მტკიცების ფარგლებიც. „მიუღებელ შემოსავალს დამტკიცება სჭირდება (სკ-ის 404-ე, 411-ე-412-ე მუხლები), მაშინ, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული გონივრული პროცენტის ნამდვილობისათვის საკმარისია მხარეთა წერილობითი შეთანხმება“<sup>66</sup>.

ბანკის მიერ სარგებლის მიღების პრეზუმაცია მოცემულია სკ-ის 872-ე მუხლში, რომლის თანახმად, თუ კრედიტის ამლები უკან აპრუნებს კრედიტს საკრედიტო ურთიერთბის დამთავრებამდე, მაშინ კრედიტის გამცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის შესაბამისი ანაზღაურება. ამასთან, ზიანის საზღაურში უნდა ჩაითვალოს დაზოგილი გასავლების ღირებულება, აგრეთვე, ის სარგებელი, რომელსაც კრედიტის გამცემი მიიღებდა სასესხო ვალუტის სხვაგვარი გამოყენებიდან ან, თუ კრედიტის მიმღებმა განზრახ არ დაუშვა მისი მიღება<sup>67</sup>.

მოსარჩევე მოპასუხის მხრიდან ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიიღებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საპროცენტო სარგებელს კრედიტის კვლავ გაცემით, რაც იმას ნიშნავს, რომ იკვეთება სკ-ის 411-ე მუხლის ფაქტობრივი შემადგენლობა და არც ის გარემოება არ შეიძლება, გახდეს სადაც, რომ საკრედიტო დაწესებულების ძირითადი საქმიანობა კრედიტის გაცემის გზით ეკონომიკური სარგებლის მიღებაა, ეს კი მყარ პრეზუმაციათა რიგს განეკუთვნება<sup>68</sup>. მოვალემ ვერ გააქარწყლა კრედიტორის სასარგებლოდ მოქმედი პრეზუმაცია, რაც საკასაციო განაცხადის უარყოფის საფუძველი გახდა.

### 5.1.10. პრეზუმაცია მოსარჩევის სასარგებლოდ მოპასუხის – სახელმიწოდებელის ნინებაზღვებ

მოსარჩევე უძრავი ქონება აჩუქა სახელმწიფოს (ხელშეკრულება გაფორმდა საკრებულოს წარმომადგენელთან)<sup>69</sup>. მოგვიანებით კი, სარჩელი აღძრა მუნიციპალიტეტის მიმართ აღნიშნული ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და სადაც უძრავ ქო-

<sup>66</sup> სუსგ, №ას- 932-882-2015, 15.03.2016 წელი.

<sup>67</sup> სუსგ, №ას-1385-1307-2012, 07.02.2013 წელი.

<sup>68</sup> სუსგ, №ას-1385-1307-2012, 07.02.2013; №ას-725-693-2014, 03.07.2015 წელი.

<sup>69</sup> სუსგ, №ას-224-213-2017, 28 აპრილი, 2017 წელი.

ნებაზე საკუთრების აღდგენის მოთხოვნით. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაქმაყოფილდა. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სკ-ის 54-ე, მე-8.3 მუხლებით და მიიჩნია, რომ ყოველთვის, როცა გარიგების ერთერთი მონაწილე არის სახელმწიფო, რომელიც, მისი სტატუსიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მიიჩნევა გარიგებაში ე.ნ. „ძლიერ მხარედ“, ამ გარიგების დადებისას მხარეთა შორის ურთიერთობაში ნდობისა და კეთილსინდისიერების სტანდარტი ძალიან მაღალი უნდა იყოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა აშკარაა, რომ უმეტესწილად სწორედ სახელმწიფო იღებს სარგებელს გარიგებიდან, „სუსტი მხარის“ (კერძო პირის) ხარჯზე, ამიტომ, ამგვარი „სუსტი მხარისაგან“ გარიგების ბათილობაზე მითითებისას, სწორედ სახელმწიფოს ეკისრება მტკიცების ტვირთი – დაადასტუროს, რომ გარიგება შეესაბამება კანონით დადგენილ წესს (ანუ – დაცულია მხარეთა კერძო ავტონომიის პრინციპი და უზრუნველყოფილია სკ-ის 319-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განმტკიცებული, ხელშეკრულების დადებისა და მისი პირობების თავისუფლად განსაზღვრის უფლება), არ ენინაალმდეგება საჯარო წესრიგს (ანუ – საზოგადოებრივი მართლწესრიგის შემადგენელ უზნდამენტურ, სოციალური და ეკონომიკური სამართლიანობის და სტაბილურობის განმაპირობებელ სიკეთეებს) და ზეობის ნორმებს (ანუ – საზოგადოებაში საყოველთაოდ აღიარებულ ფასეულობებს და გონიერი, სამართლიანი, ობიექტური ადამიანისათვის დამახასიათებელ ქცევის წესებს). მოპასუხებელ დაამტკიცა, რომ იგი, სადავო ჩუქების დადებისას, მოქმედებდა კეთილსინდისიერად, კანონით დადგენილი წესების შესაბამისად, და რომ, მოსარჩელეს ნამდვილად სურდა „სადავო ქონების“ მისთვის უსასყიდლოდ გადაცემა.

საკასაციო სასამართლომ დაუშვებლად ცნო რა მოპასუხის (მუნიციპალიტეტის) საკასაციო საჩივარი, გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება მოცემულ დავაში მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების თაობაზე და მიუთითა, რომ მოპასუხებ სარწმუნოდ ვერ დაადასტურა საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე მოწმის ჩვენებით დადგენილი ფაქტი, რომ საკურებულოსა ან მერიაში დაბარებულები არ ყოფილან, არც შეურაცხყოფა მიუყენებიათ, არც დამუქრებიან. მისი განმარტებით, პროკურორის ოთახში დამთავრდა ყველაფერი. პალატამ აღნიშნა, რომ აღნიშნული წარმოადგენს ფაქტობრივ გარემოებას, რომელიც მოპასუხებ სარწმუნოდ ვერ დაადასტურა

საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, მას არც დასაბუთებული საკასაციო შედავება არ წარუდგენია საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევასთან მიმართებით.

ერთ-ერთ საქმეზე<sup>70</sup>, სადაც დავის საგანი სახელმწიფოსა (შემკვეთსა) და საწარმოს (მენარდეს) შორის ნარდობის სახელ-შეკრულებო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე იძულების გამო ნარდობის ხელშეკრულების იმ პირობის ბათი-ლად ცნობაა, რომლითაც მენარდემ იკისრა ვალდებულება, შემ-კვეთისათვის უსასყიდლოდ შეესრულებინა და გადაეცა დაახ-ლოებით ნახევარი მილიონი ლარის ღირებულების სამშენებლო-სარემონტო სამუშაო, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამართალურთიერთობის საფუძველი მორალურად ყოველთვის გამართლებული უნდა იყოს. აღნიშნული პრინ-ციპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სამართალურთი-ერთობის არსებობისას, როდესაც ამავე ურთიერთობის მხარე-ებს შორის ნდობისა და კეთილსინდისიერების სტანდარტი მა-ლალია. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა იმ სა-მართალურთიერთობაში, რომელშიც სახელმწიფო მონანი-ლეობს, ნდობისა და კეთილსინდისიერების ხარისხი განსა-კუთრებულად მაღალია, უფრო მეტიც, მიუხედავად სამარ-თალურთიერთობის კერძოსამართლებრივი ბუნებისა, კერ-ძო სამართლის სუბიქტების მხრიდან კონტრაპენტი ძლიე-რი მხარის, სახელმწიფოს ქმედებების მიმართ კანონიერი ნდობის პრინციპი მოქმედებს. შესაბამისად, სახელმწიფოს მონანილეობით დადებული გარიგებების მიმართ კანონშე-საბამისობისა და მორალური სტანდარტების დაცვის პრე-ზუმფცია არსებობს, რომელიც შეცილებისთანავე ქარ-ნყლდება და მტკიცების ტვირთი ბრუნდება. სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფოს მონანილეობით დადებული კერძოსამართლებრივი გარიგებების შეცილების შედეგად, მტკიცების ტვირთი სახელმწიფოზე გადადის. სწორედ სა-ხელმწიფომ უნდა ამტკიცოს კერძო პირთან დადებული გა-რიგების ნამდვილობა, კანონისა და ზნეობის ნორმებთან შე-საბამისობა. აღნიშნული დასკვნა ეფუძნება, სახელმწიფოს, როგორც გარიგების ძლიერი მხარის ვალდებულებას, გან-საკუთრებული პასუხისმგებლობით დაიცვას ყველა პირის ქონებრივი უფლებები, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შემ-ცილებელი გარიგების ბათილობის საფუძვლების (ფაქტების) მითითებებისაგან თავისუფლდება.

<sup>70</sup> სუსგ, საქმე №ას-212-201-2017, 15 მაისი, 2017 წელი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე – საწარმოს დირექტორი უთითებდა, რომ მასთან დადებული ნარდობის ხელშეკრულების ის პუნქტი, რომლითაც მან უსასყიდლოდ იკისრა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების გაწევა, იძულების საფუძვლით, ბათილი იყო. ამ გარემოებაზე მსჯელობისას, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელემ ვერ მიუთითა ფაქტები, რომელზე დაყრდნობითაც სასამართლო სადაც ხელშეკრულებაზე, როგორც იძულებით დადებულ გარიგებაზე, იმსჯელებდა, თუმცა ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შედეგად სასამართლომ გამოიტანა დასკვნა, რომ სადაც გარიგება ბათილია არა იძულების, არამედ მართლწინააღმდეგობისა და ამორალურობის საფუძვლით.

სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელემ ვერ მიუთითა იმ ფაქტებზე, რომლებითაც დაამტკიცებდა, რომ მის მიმართ იძულების შედეგად დაიდო ხელშეკრულების სადაც ქვეპუნქტი, ამასთან, განმარტა, რომ 2011-2012 წლებში „გამჩქენებლის“ ანუ საწარმოს თანამშრომლებს, მათ შორის მის დირექტორსაც სისტემატურად იბარებდნენ დაკითხვებზე და ამ ვითარებაში, მოსარჩელის მიერ, რომელსაც ბანკის წინაშე სოლიდური დავალიანება გააჩნდა, სახელმწიფოს მიმართ გამოხატული კეთილი წება, რომ კერძო პირს სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაეცა საკუთრებაში ქონება არ შეიძლებოდა, განხილულიყო მორალური კატეგორიის ლირებულებად. ამავე კონტექსტში სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილებაზე და საბოლოოდ, დაასკვნა, რომ გამოვლენილი იყო გარიგების სადაც პუნქტის ბათილობის საფუძველი სკ-ის 54-ე მუხლის შესაბამისად, რადგან ცალსახად დადგინდა, რომ მოსარჩელემ სამინისტროსათვის სამუშაოები უსასყიდლოდ შეასრულა იმ დროს, როდესაც პროცესურაში მიმდინარეობდა მოკვლევა საწარმოს ფინანსური საქმიანობის შესახებ და სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემული ქონება არ წარმოადგენდა ამ უკანასკნელისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

საკასაციო სასამართლოს აზრით, როდესაც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მხარეა სახელმწიფო, განსაკუთრებით მაღალი სტანდარტით უნდა შემონმდეს და შეფასდეს გარიგების „ძლიერი“ კონტრაპენტის ქცევა/ქმედება რამდენად შეესაბამება სკ-ის 54-ე მუხლის წინაპირობათაგან ისეთ სპეციფიკურ დანაწესს, როგორიცაა ზნების ნორმები. ასეთ ვითარებაში სასამართლოს კვლევისა და შეფასების საგანია, თუ რამ-

დენად მორალურად შეიძლება იქნეს მიჩნეული ისეთი გარიგება, როდესაც სახელმწიფო უსასყიდლოდ დებულობს გარკვეულ მომსახურებას, ქონებას საკუთრებაში და ა.შ. ანუ პრაქტიკულად, რატომ შეიძლება კერძო სამართლის პირმა „დაასაჩუქროს“ სახელმწიფო, რამდენად შეესაბამება იმ ზოგად მორალურ კატეგორიას, რომ სახელმწიფოს, რომელსაც აქვს ვალდებულება საკუთარი რესურსებით თითოეული პირის უფლება და ინტერესი დაიცვას, ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა აჩუქოს რაიმე ქონება, უსასყიდლოდ მოემსახუროს.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული კერძოსამართლებრივი გარიგებების შეცილების შედეგად, მტკიცების ტვირთი სახელმწიფოზე გადადის და განმარტა, რომ სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული გარიგებების მიმართ, თუკი მოსარჩელე კონკრეტულ ფაქტებზე მითითებით აცხადებს, რომ მასზე განხორციელდა იძულება (ფიზიკური ან ფსიქოლოგიური), პრეზუმირებულია, რომ იძულება განხორციელდა და სახელმწიფოს უბრუნდება მტკიცების ტვირთი, რომ იძულების ფაქტი არ არსებობდა, მანვე უნდა დაამტკიცოს, რატომ არის შეუძლებელი ამგვარი პრეზუმაციის დაშვება, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გარიგების შინაარსის დეტალურ კვლევასა და გაანალიზებას მოითხოვს. სწორედ ამგვარ მყარ პრეზუმაციებს უფუძნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეში „გუსინსკი რუსეთის წინააღმდეგ“, „ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ“, „გალსთიანი სასომებეთის წინააღმდეგ“, რაზედაც უთითებს სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტებისა და მათ უარსაყიდვად მოპასუხის მიერ წარდგენილი შესაგებლის შეპირისპირებისას, კანონის წინაშე მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის ფუნდამენტური პრინციპების საფუძველზე, სავსებით დასაბუთებულია სასამართლო მოთხოვნა სანარმოს დირექტორის მიერ გარიგების სადაცო პუნქტის იძულებით ხელმოწერის თაობაზე. ამ შემთხვევაშიც, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, ამტკიცოს, რომ მას არ გამოუყენებია იძულება სანარმოს დირექტორზე, რათა ამ უკანასკნელს ხელი მოეწერა ნახევარმილიონ ლარზე მეტი ღირებულების სამუშაოების უსასყიდლოდ შესრულებასა და ქონების სახელმწიფოსათვის საჩუქრად გადაცემის თაობაზე.

საკასაციონ სასამართლოს აზრით, მოსარჩელის სასარგებლოდ დაშვებული ზემოხსენებული პრეზუმფციის გაქარწყლების ვალ-დებულება მოპასუხეს ეკასრებოდა. მას ევალებოდა, მიეთითებინა ისეთ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც გააქარწყლებდნენ გარიგების სადაცო პუნქტის იძულებისა და მუქარის საფუძველზე დადების ვარაუდს. მოპასუხებ ამ ვარაუდის გაქარწყლება ვერ შეძლო, შესაბამისად, სასამართლომ მიიჩინა, რომ სადაცო გარიგების დადებისას საწარმოს დირექტორის მიერ გარეგნულად გამოვლენილი ნება არ ასახავდა მის ნამდვილ შინაგან ნებას და ნაკლის მქონედ უნდა ჩათვლილიყო, რადგანაც იგი გამოვლენილი იყო არა სადაცო ქონების მოპასუხისათვის ჩუქების სურვილით, არამედ საწარმოს დირექტორისათვის მოსალოდნელი სისხლისამართლებრივი დევნის მუქარის შედეგად<sup>71</sup>.

#### 5.1.11. მოსარჩელის სასარგებლოდ სამედიცინო დაცესაბულების პრატიკით ჯამრთელობის დაზიანების პრეზუმცია

მოსარჩელემ (პაციენტმა) სამედიცინო დაწესებულების (კლინიკის) მიმართ აღდრული სარჩელით მოითხოვა, სამედიცინო ქმედების გამო მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება<sup>72</sup>. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით პაციენტის სარჩელი და კმაყოფილდა. საკასაციო სასამართლომ განუხილველად დატოვა კლინიკის საკასაციო საჩივარი დაუშვებლობის გამო. სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ, სკ-ის 1007-ე მუხლის მიხედვით, მტკიცების ტვირთი აკისრია სამედიცინო დაწესებულებას, ანუ მან უნდა ამტკიცოს, რომ ზიანი მისი ქმედების შედეგად არ მიღებულა. დასახელებული ნორმის დეფინიციის მიხედვით, ცალსახადაა განსაზღვრული, რომ „არაპრალებულობის მტკიცების ტვირთი აწევს სამედიცინო დაწესებულებას. ასეთ დროს, პაციენტის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტის არსებობა ქმნის იმის პრეზუმფციას, რომ მის ჯანმრთელობას ზიანი სამედიცინო დაწესებულების ბრალით მიადგა და საწინააღმდეგოს დადასტურება სამედიცინო დაწესებულებამ უნდა განახორციელოს“. (იხ. სუსგ № ას-260-244-2014, 28.05.2014.)

სასამართლოს აზრით, სადაცო შემთხვევაში, სამედიცინო დაწესებულების მტკიცების ტვირთი იყო, დაემტკიცებინა, რომ მან

<sup>71</sup> სუსგ, №ას-692-662-2014, 24.09.2015 წელი; №ას-688-654-2015, 21.07.2015 წელი.

<sup>72</sup> სუსგ, საქმე №ას-1102-1038-2015, 22 იანვარი, 2016 წელი.

ყველა მართლზომიერი საექიმო ქმედებები გამოიყენა პაციენტის დაავადების დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის. სამედიცინო შეცდომით მოქალაქის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების გამო, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის წარმოშობის პირობები იგივეა, როგორც ყველა დელიქტურ ვალდებულებაში: ზიანი, მართლწინააღმდეგობა, ბრალი და მიზეზობრივი კავშირი. ამასთან, თითოეული ამ კომპონენტის თავისებურება სამედიცინო საქმიანობის ხასიათით განისაზღვრება. იმავე პირობების არსებობას მოითხოვს სკ-ის 1007-ე მუხლი (ზიანის მიმყენებლი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის). ნორმის მიზნიდან გამომდინარე, მართლსაწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნევა სამედიცინო დაწესებულების მიერ არასწორი დიაგნოსტიკა და მკურნალობა, რამაც გამოიწვია ზიანი. ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის აუცილებელია, დადგინდეს საექიმი შეცდომა. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტით, მცდარ სამედიცინო ქმედებად განმარტებულია ექიმის მიერ უნებლივი, პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო და ან სამკურნალო ლონისძიებების ჩატარება, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა. კანონის აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარეობს, რომ ექიმის მიერ პაციენტისათვის ზიანის მიყენება არ უნდა იყოს ნინასნარ განზრახული, ნინააღმდეგ შემთხვევაში, ექიმის პროფესიულ შეცდომად აღარ ჩაითვლება<sup>73</sup>. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოკვლეული ფაქტებისა და შესაბამისი მტკიცებულებების ერთობლიობით, დადასტურებულია მცდარი სამედიცინო ქმედების ჩადენა, რაც მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, პაციენტის მოთხოვნის დაკამაყოფილების დასაბუთებული და კანონიერი საფუძველია. სამედიცინო დაწესებულებამ ვერ შეძლო, დამაჯერებელი და სარწმუნო მტკიცებულებებით გაებათილებინა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა და დასკვნები.

#### **5.1.12. დამსაქმარებლის სახელით ხელშეკრულების გაცორნების პრეზავაცია დასაქმარებლის სასარგებლოდ ერთ-ერთ შრომითსამართლებრივ საქმეში<sup>74</sup>, სადაც დავის**

<sup>73</sup> სუსგ, №ას-247-237-2013, 01.07.2013 წელი.

<sup>74</sup> სუსგ, საქმე №ას-518-495-2016, 8 ივლისი, 2016 წელი.

საგანია სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბა-  
თილად ცნობა, დასაქმებული სამსახურიდან გათავისუფლდა  
სშპ-ის 37-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით შრომითი მოვალეობის  
დარღვევის გამო. დამსაქმებლის (კასატორის) მოსაზრებით, და-  
საქმებულმა დაზღვეულებთან უფლებამოსილი პირის (მზღვე-  
ველის) თანხმობის გარეშე გააფორმა დაზღვევის ხელშეკრუ-  
ლებები, რის საფუძველზეც კომპანიას მოუხდა ზიანის ანაზ-  
ღურება და მიადგა ზიანი.

საკასაციო პალატამ დამსაქმებლის საჩივარი დაუშვებლად  
ცნო და მიუთითა, რომ ის გარემოება, რომ შეთანხმების გაფორ-  
მებით დასაქმებული გასცდა უფლებამოსილების ფარგლებს, სა-  
თანადო მტკიცებულების წარდგენით ვერ დაადასტურა დამ-  
საქმებელმა. სასამართლომ განმარტა, რომ საქმეში წარმოდ-  
გენილი სხვა ხელშეკრულებები, რომლებიც, ასევე, დასაქმე-  
ბულის მიერ არის კომპანიის სახელით გაფორმებული სამუშაო-  
დან მის გათავისუფლებამდე და რომლებიც დამსაქმებელს მა-  
ნამდე სადაც არ გაუხდია, იძლევა იმ პრეზუმაციის დაშვე-  
ბის წინაპირობას, რომ დასაქმებული მართლაც იყო აღჭურ-  
ვილი უფლებით, კომპანიის სახელით გაეფორმებინა დაზ-  
ღვევის ხელშეკრულება მომხმარებლებთან. პრეზუმაცია, სა-  
მართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე მტკიცებას არ ექვემ-  
დებარება და მისი გაქარწყლების ტვირთი იმ მხარეს აკისრია,  
ვის წინააღმდეგაცაა ეს ვარაუდი მიმართული. საკასაციო პა-  
ლატამ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა მტკიცე-  
ბის ტვირთის განაწილებისა და ამ ვალდებულების მოპასუხის  
მიერ დაძლევის შეუძლებლობის თაობაზე (სსკ-ის 102-ე მუხ-  
ლი). ზემოხსენებული გარემოებების ერთობლივი შეფასებით პა-  
ლატამ მიიჩნია, რომ შრომითი ურთიერთობის ცალმხრივად შეწ-  
ყვეტის ნება ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ წესს და იგი,  
სკ-ის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია.

### **5.1.13. სანაროო დირექტორის პასუსისგანმოგზის მომართების ტვირთი და პრეზუმაცია მონიცაალებების სასარგებლოდ**

კონკრეტულ საქმეში<sup>75</sup> დავის საგანს საზოგადოების დირექ-  
ტორის მიერ საზოგადოების საქმეების არაკეთილსინდისიერად  
გაძლოლის ფაქტის დადგენა წარმოადგენს. საკასაციო სასამარ-

<sup>75</sup> სუსგ, საქმე №ას-245-230-2014, 23 ოქტომბერი, 2015 წელი; საქმე №ას-1144-1076-2015, 29 იანვარი 2016; საქმე №ას-692-663-2016, 7 ოქტომბერი, 2016 წელი.

თლოს მიერ დადგენილი ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი არა მხოლოდ მატერიალურსამართლებრივი, არამედ, საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისითაცაა მნიშვნელოვანი და პასუხეს იძლევა კითხვაზე, როგორ უნდა განაწილდეს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი. საზოგადოების წინაშე დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას საზოგადოების მიერ სარჩელის საფუძვლიანობის დასადასტურებლად წარდგენილი მტკიცებულებების გაქარწყლების ვალდებულება კისრება დირექტორს, რომელმაც უნდა დაადასტუროს, რომ მას არ მიუძღვის ბრალი საზოგადოებისათვის ზიანის მიყენებაში და, რომ ის მოქმედებდა გულმოდგინე ხელმძღვანელის კეთილსინდისიერებით. მტკიცების თვალსაზრისით, მსგავსი კატეგორიის საქმეებზე მოსარჩელის ვალდებულებას წარმოადგენს ზიანის არსებობის ფაქტის დამტკიცება, ხოლო საწარმოს ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი ვალდებულია, გაქარწყლოს ეს გარემოება იმგვარად, რომ იგი კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობებს და თუნდაც მატერიალური დანაკლისის არსებობის შემთხვევაში, ეს მდგრამარეობა არ არის დირექტორის ბრალეული ქმედების შედეგი.

#### **5.1.14. კანონისმიერი პრეზენცია მოსარჩელის სასარგებლოდ დავაზი სასაქონლო ნიშნის თაობაზე**

სასამართლო გადაწყვეტილებით<sup>76</sup> მოპასუხეს აეკრძალა საქართველოს ტერიტორიაზე მოსარჩელის კუთვნილი სასაქონლო ნიშნის გამოყენება იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოსარჩელეს საქასატენტში რეგისტრირებული აქვს სასაქონლო ნიშანი, ასევე, დადგინდა მოპასუხის კუთვნილი შეჩერებული კონტრაფაქტიული ტივირთის განადგურება.

კასატორის პრეტენზიის სანინაალმდევოდ, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ, ზოგიერთ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთის განაწილების წესი ჩამოყალიბებულია მატერიალურსამართლებრივ ნორმებში და გამოხატულია იმპერატიული ფორმით. ეს ის შემთხვევა, როდესაც ცალკეული კატეგორიის საქმეებზე მატერიალური კანონმდებ-

<sup>76</sup> სუსგ, საქმე №ას-718-686-2016, 3 ოქტომბერი, 2016 წელი.

ლობა მოითხოვს კონკრეტული სახის მტკიცებულებას და ზღუდავს მას მტკიცების სტანდარტით. ასეთია ისეთი სამოქალაქოსამართლებრივი ნორმები, რომლებიც შინაარსობრივად მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებაზე მიუთითებს. კონკრეტულ შემთხვევაში, სადაც ფაქტობრივი გარემოების დამტკიცების სტანდარტი განსაზღვრულია მატერიალური კანონმდებლობით. სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის მე-6 და 45-ე მუხლების ერთობლივი განმარტებით, სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლებით სარგებლობის ფაქტის დამტკიცების ტვირთი ეკისრება პირს, რომელსაც სამოქალაქო ბრუნვაში გააქვს იმგვარი საქონელი, რომელზედაც დატანილია განსაკუთრებული უფლების მქონე პირის მიერ დადგენილი წესით დარეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი. მოსარჩელის მიერ წარდგენილია მის სახელზე საქონლის მე-7, მე-9 და მე-11 კლასების მიმართ სასაქონლო ნიშნის სარეგისტრაციო მოწმობა და საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანება, რომლითაც დასტურდება სასაქონლო ნიშანზე მოსარჩელის განსაკუთრებული უფლების მოპოვების ფაქტობრივი გარემოება.

კასატორი (მოპასუხე) სადაცოდ ხდის მოსარჩელის სასარგებლოდ ტვირთის კონტრაფაქტულობის პრეზუმირებას, რასაც საკასაციო პალატა არ დაეთანხმა და განმარტა რა პრეზუმუციის სამართლებრივი ბუნება არსებული პრაქტიკის შესაბამისად<sup>77</sup>, აღნიშნა, რომ იმ პირობებში, როდესაც დადგენილია ფაქტობრივი გარემოება სასაქონლო ნიშანზე მოსარჩელის განსაკუთრებული უფლების არსებობის შესახებ, იმ ვალდებულების მტკიცების ტვირთი, რომ ამგვარი ნიშნის საქონელზე დატანა და მისი სამოქალაქო ბრუნვაში გაშევება წარმოადგენს მოპასუხის უფლებას, ეკისრება მოპასუხეს. ეს პროცესუალური ვალდებულება კი, მოპასუხემ ვერ შეასრულა.

### 5.1.15. მტკიცების ტვირთი და პრეზუმაცია მროვითსამართლებრივ დავებში

სასამართლო პრაქტიკაში მრავლადაა შრომითი დავები, როცა სამუშაოდან გათავისუფლების (დათხოვნის) საქმეებზე შრომის კოდექსის ნორმებზე დაყრდნობით დასაქმებულის დათხოვნის მართლზომიერების მტკიცების ტვირთი განაწილების სპეციალური წესის მიხედვით დამსაქმებლისკენ ბრუნდება.

<sup>77</sup> სუსგ, საქმე №ას-184-171-2015, 20 მაისი, 2016 წელი.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შრომითსამართლებრივ დავასთან დაკავშირებულ არაერთ საქმეში განმარტა, რომ ასეთი დავები მტკიცების ტვირთის განაწილების გარკვეული თავისებურებით ხასიათდება, რასაც მტკიცებულებების წარმოდგენის თვალსაზრისით, დამსაქმებლისა და დასაქმებულის არათანაბარი შესაძლებლობები განაპირობებს. მოსარჩევე-დასაქმებული, რომელიც სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნის თაობაზე აპელირებს, ვერ დაადასტურებს მისი სამსახურიდან დათხოვნის უკანონობას, შესაბამისად, მოსარჩელის მითითება, რომ იგი უკანონოდ გაათავისუფლეს სამსახურიდან, მტკიცების ტვირთს აპრუნებს და დამსაქმებელს დასაქმებულის სამსახურიდან მართლზომიერად გათავისუფლების მტკიცების ვალდებულებას აკისრებს<sup>78</sup>.

ერთ-ერთ საქმეზე<sup>79</sup> სასამართლომ აღნიშნა, რომ, კონკრეტულ შემთხვევაში, სადავოა რა სამსახურიდან გათავისუფლების მართლზომიერება, რომელიც უნდა შემოწმდეს შრომის სამართალში მოქმედი ნორმებით, სასამართლო ხელმძღვანელობს მტკიცების ტვირთის განაწილების სწორედ იმ სტანდარტით, რომელსაც შრომის სამართალი ანესებს და რომლის თანახმად, სწორედ დამსაქმებელია ვალდებული, ადასტუროს დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერი და საკმარისი საფუძვლის არსებობა. საკასაციო პალატის ამგვარი დასკვნის საფუძველია პრინციპი, რომლის მიხედვითაც დამსაქმებელს გააჩნია მტკიცებითი უპირატესობა, სასამართლოს წარუდგინოს მისთვის ხელსაყრელი მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, რომ მისმა თანამშრომელმა არავეროვნად შეასრულა დაკისრებული მოვალეობები ან, რომ მას არ გააჩნია საკასაციო კვალიფიკაცია ან არ ფლობს შესაბამის უნარჩვევებს, რაც კონკრეტულ ქმედებებში გამოიხატა, ვიდრე დასაქმებული, რომელიც ობიექტურად ვერ შეძლებს მტკიცებულებების წარდგენას მასზე, რომ იგი ვალდებულებას ჯეროვნად ასრულებდა ან რომელ უნარ-ჩვევებს არ ფლობდა, მით უფრო, რომ ამა თუ იმ საქმიანობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ფლობის საკითხი შეფასებით კატეგორიას განეკუთვნება.

<sup>78</sup> სუსგ, საქმე №ას-194-185-2016, 29 ივლისი, 2016 წელი. შრომითსამართლებრივ დავებში მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხზე დამატებით იხილე, სუსგ №ას-1276-1216-2014, 18 მარტი, 2015 წელი; სუსგ №ას-122-114-2015, 23 მარტი, 2015 წელი; სუსგ №ას-922-884-2014, 16 აპრილი, 2015 წელი.

<sup>79</sup> სუსგ, საქმე №ას-469-450-2016, 29 ივნისი, 2016 წელი.

სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში, დავის საგინისა და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოპასუხე მხარე წარმოადგენს სააგენტოს, რომელსაც გააჩნია დოკუმენტაცია, დამსაქმებელს ეკისრება მის ორგანიზაციაში დასაქმებული პირის გათვალისუფლების საფუძვლის მართლზომიერების მტკიცებისა და, შესაბამისად, ამ გარემოების დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულების წარდგენის ტვირთი. მოპასუხეს სასამართლოსათვის არ შეუთავაზებია კონკრეტული დასაბუთება, რომ სააგენტოში დაწყებული რეორგანიზაცია თავისი შინაარსის გათვალისწინებით, რატომ ანიჭებდა დამსაქმებელს მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობის მოშლის უფლებამოსილებას.

სხვა საქმეზე<sup>80</sup>, საკასაციო პალატის დასკვნით, დამსაქმებელმა სათანადო მტკიცებულებებით ვერ დაადასტურა დასაქმებულის მიერ, შრომითი მოვალეობებს დარღვევისა და უნარჩვევების არქონის ფაქტები, რაც სშკ-ის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლით მას სამსახურიდან გათავისუფლების მართლზომიერ საფუძვლად შეერაცხებოდა.

კონკრეტულ საქმეზე<sup>81</sup> მოსარჩელემ (დასაქმებულმა) მოითხოვა სამუშაოზე აღდგენა და დამსაქმებლისათვის იძულებითი განაცდურის დაკისრება. საქმის ფაბულის მიხედვით დასაქმებულთან დამსაქმებელმა შრომითი ხელშეკრულება ექვსი თვით გააფორმა და ამ ვადის ამონტურვის შემდეგ დასაქმებული გაათავისუფლა ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძველზე. სააპელაციო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა. უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა დამსაქმებლის საკასაციო საჩივარი და მიუთითა, რომ მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის თანახმად, არა მარტო მოსარჩელეა ვალდებული, ამტკიცოს სარჩელში მოყვანილი ფაქტები, არამედ მოპასუხეცაა ვალდებული, დაამტკიცოს მის მიერ შესაგებელში მოყვანილი გარემოებები. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის 12 ნაწილი ამომზურავად განსაზღვრავს იმ გარემოებათა ჩამონათვალს, როდესაც 1 წელზე ნაკლები ვადით შრომითი ხელშეკრულების დადება შესაძლებელი. **დამსაქმებელმა** (მოპასუხემ) ვერ წარადგინა მტკიცებულებები მოსარჩელესთან 1 წელზე ნაკლები ვადით შრომითი ხელშეკრულების დადების, კანონმდებ-

<sup>80</sup> სუსგ, საქმე №ას-151-147-2016, 19 აპრილი, 2016 წელი.

<sup>81</sup> სუსგ. საქმე №ას-1251-1191-2014, 12 თებერვალი, 2016 წელი.

ლობით გათვალისწინებული, სამართლებრივი საფუძვლის არ-სებობის შესახებ, რითაც, ფაქტობრივად, ვერ დაასაბუთა და-საქმებულთან გაფორმებული ვადიანი ხელშეკრულების მართლზომიერება და კანონშესაბამისობა.

ერთ-ერთ საქმეზე<sup>82</sup>, სადაც დავის საგანს საკვალიფიკიო მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო (სშკ-ის 37-ე მუხლის პირ-ველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი) დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება წარმოადგენს სასამართლომ სამოქალაქო საპ-როცესო სამართალში მტკიცების ტვირთის განაწილების დადგენილი სტანდარტის შესაბამისად, სამსახურიდან გათვი-სუფლების შესახებ პრძანების კანონიერება მოპასუხე მხა-რის მტკიცების ტვირთში შემავალ გარემოებად მიიჩნია და სარჩელის წარმატების საფუძვლად ის გარემოება ჩათვალა, რომ დამსაქმებელს არ წარუდგენია არც ერთი მტკიცებულება, რომ-ლითაც დადგინდებოდა მოსარჩელებმა რომელი საკვალიფი-კაციო მოთხოვნა ვერ დააკმაყოფილეს ან რაში მდგომარეობდა მათი კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსა-ბამობა დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუ-შაოსთან.

სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ, სამართლიანი ბა-ლანსი შრომის უფლებასა და დამსაქმებლის უფლებას შორის, გონივრული სტანდარტიდან უნდა გამომდინარეობდეს. იმ პი-რობებში, როდესაც დასაქმებული თავისუფლდება სამსახური-დან კვალიფიკიოს ელემენტზე მითითებით, დამსაქმებელი ორგანიზაცია ვალდებულია, დაადასტუროს გარემოებები იმის შესახებ, რომ გათავისუფლებული თანამშრომელი და-კისრებული ვალდებულებების შესრულებას თავს ვერ არ-თმევდა, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მითითებული გა-რემობა მხოლოდ გასაუბრების გზით მოწმდება, ასეთ შემ-თხვევაში, დამსაქმებელმა სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენის გზით უნდა დაადასტუროს, თუ რაში გამოი-სატა დასაქმებულის მიერ საკუთარი ვალდებულებების არა-ჯეროვანი შესრულება ან იმ უნარ-ჩვევების ნაკლებობა, რომლის გამოც იგი დაკავებულ თანამდებობასთან შეუფე-რებლად იქნა ცნობილი.

კონკრეტულ საქმეზე<sup>83</sup> სასამართლომ იმ პრინციპის გათვა-ლისწინებით, რომ „მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამ-ტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს“, აღნიშნა, რომ დაუშვებე-

<sup>82</sup> სუსგ, საქმე №ას-941-891-2015, 29 იანვარი, 2016 წელი.

<sup>83</sup> სუსგ, საქმე №ას-642-613-2016, 28 ოქტომბერი, 2016 წელი.

ლია მტკიცების ტვირთის მოსარჩელისათვის (დასაქმებული-სათვის) გადაკისრება, როცა საკითხი მტკიცებადია სწორედ მო-პასუხის (დამსაქმებლის) მიერ და რისი დამტკიცების შესაძ-ლებლობაც, უპირატესად მას გააჩნია. სასამართლომ იმ გა-რემოვების მტკიცების ტვირთი, რომ მოსარჩელეს დანიშნული ჰქონდა ხელფასი 2000 ლარი კლინიკის სრული დატვირთვის პი-რობებში, რომ კლინიკა არ მუშაობდა სრული დატვირთვით და სარჩელით მოთხოვნილი თანხა არ შეესაბამება დავალიანებას, სწორედ მოპასუხეს დაკისრა.

სხვა საქმეზე<sup>84</sup> დასაქმებული დამსაქმებელი ორგანიზაცი-ის თავმჯდომარის თანაშემწის პოზიციიდან გათავისუფლდა სპკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ო“ ქვეპუნქტის საფუძ-ველზე – (სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას). დამსაქმებლის გაცხა-დებით, თავმჯდომარესა და მოსარჩელეს შორის არსებობდა აბ-სოლუტური შეუთავსებლობა, რაც გამოიხატებოდა თანაშემწის მხრიდან მისი უშუალო ხელმძღვანელის მიმართ არაკეთილგან-წყობილ, უპატივცემულო დამოკიდებულებასა და მისი მითი-თებებისადმი ზედაპირულ დამოკიდებულებაში, პიროვნული შეუთავსებლობა გასცდა ორ პიროვნებას შორის ურთიერთო-ბას და საფრთხე შეექმნა ორგანიზაციის, როგორც საჯარო სა-მართლის იურიდიული პირის ფუნქციონირებას და მის სახელს, რომელიც საჯარო სამართლებრივი ამოცანების განხორციელე-ბისათვის დაკავშირებულია მოქალაქეებთან ურთიერთობას-თან, კონკრეტული პირების საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებასთან. სააპელაციო სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, ბათილად ცნო ბრძანება დასაქმებულთან შრო-მითი ურთიერთობის შეწყვეტის თობაზე და დამსაქმებელს და-აკისრა დასაქმებულისათვის კომპენსაციის – ორი თვის ხელ-ფასის გადახდა.

საკასაციო სასამართლომ დაუშვებლად ცნო რა დამსაქმებ-ლის საკასაციო საჩივარი მიიჩნია, რომ დამსაქმებელს დისკიპ-ლინური სამართალწარმოების გზით დადგენილი წესით უნდა ემოქმედა, რადგან მიუთითებდა არა მხოლოდ პიროვნულ შეუ-თავსებლობაზე, არამედ საჯარო ინტერესების განხორციელე-ბასთან დაკავშირებულ საფრთხეებზე. სასამართლოს დას-კვნით, დამსაქმებელს ევალებოდა არა მხოლოდ ფაქტების მითითების, არამედ მათი დამადასტურებელი მტკიცებულე-ბების წარდგენაც სასამართლოსათვის. დამსაქმებელი, რო-

<sup>84</sup> სუსგ, საქმე №ას-570-545-2016, 3 თებერვალი, 2017 წელი.

მელიც ცდილობს ყოფილი თანამშრომლის გათავისუფლების მართლზომიერების დამტკიცებას და აპელირებს ამ უკანასკნელის მიერ არა მხოლოდ უშუალო ხელმძღვანელთან პიროვნულ შეუთავსებლობაზე, უთითებს მთელი სამსახურის გამართული ფუნქციონირებისათვის საფრთხის შექმნაზე, შესაბამისად, თვითონვეა ვალდებული, წარადგინოს მტკიცებულებები, რომელთა სამართლებრივი წონადობა და ვარგისიანობა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლოს კვლევისა და შეფასების საგანი გახდება.

#### **5.1.16. შესრულების კონფიდენციალური გამოყოფა დავაში ვალიდებულების არსებობის პრიზმით ვითოვ კრედიტორის სასარგებლოდ**

თანხის დაკისრების შესახებ ერთ-ერთ საქმეზე<sup>85</sup> უზენაეს-მა სასამართლომ მიუთითა, რომ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების ფორმალური საფუძვლიანობის შესწავლის გზით, სავარაუდოა, რომ არსებობს შესრულების კონდიქციიდან გამომდინარე თანხის დაკისრების მოთხოვნა სკ-ის 976-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე. პალატის მოსაზრებით, შესრულების კონდიქციის მიზნებისათვის, შესრულებაში იგულისხმება სხვა პირის ქრონების შეგნებულად და მიზანმიმართულად გაზრდა, ვინაიდნა ამით ვალდებულება უნდა შესრულდეს. შესრულების კონდიქციისას შემსრულებელი არარსებულ, ბათილ ან არშემდგარ ვალდებულებას ასრულებს. ასეთ შემთხვევაში, მოსარჩელემ უნდა მიუთითოს და დაამტკიცოს ფაქტობრივი გარემოებები იმის თაობაზე, რომ იკვეთება მოთხოვნის მარეგულირებელი ნორმის შემდეგი ელემენტები: შესრულება (სამართლებრივი სიკეთის ვითომ-კრედიტორისათვის გადაცემა); ამ შესრულების განხორციელების ფაქტობრივი საფუძველი, ანუ რა ვალდებულებას გულისხმობდა მოსარჩელე, როდესაც მიმღებს გადასცემდა ქონებას; გადაცემის ფაქტობრივი საფუძვლის არარსებობა/შეწყვეტა.

პალატამ განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, თუ რამდენად აბათილებს და უარყოფს მოპასუხე შესაგებლით მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, არ ათავისუფლებს მოსარჩელეს, ამ-

<sup>85</sup> სუსგ, საქმე №ას-1068-1021-2014, 2 ოქტომბერი, 2015 წელი. (კონდიქციური ვალდებულებიდან გამომდნარე მტკიცების ტვირთის განაწილების, ასევე, შესრულების კონდიქციის ფარგლების შესახებ ის. სუსგ №ას-344-329-2016, 22 აპრილი, 2016 წელი. სუსგ საქმე №ას-710-680-2016, 9 სექტემბერი, 2016 წელი.)

ტკიცოს შესრულების კონდიქციის ფაქტობრივი შემადგენლობა, ანუ მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა მიუთითოს და დაამტკიცოს ფაქტობრივი გარემოება, თუ რა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობდა მოსარჩელის მიერ თანხის გახარჯვა, მოსარჩელემ უნდა გააქარწყლოს სკ-ის 361-ე მუხლის პირველი ნაწილით დაშვებული კანონისმიერი პრეზუმცია, რომლის თანახმადაც ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას.

სხვა საქმეზე<sup>86</sup> მოპასუხისმგან ითხოვს დავალებისა და სესხის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული თანხების ანაზღაურებას. მოპასუხემ მოთხოვნის დამაპრკოლებელი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განაცხადა, რომ მას მოსარჩელესთან მითითებული ხელშეკრულებები არ გაუფორმებია. უცხოეთიდან გადმორიცხული თანხები მისი ანგარიშიდანაა გამოტანილი და მას ეკუთვნის. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელი არ დააკმაყოფილეს, იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა მოპასუხესთან დაგალებისა და სესხის სახელშეკრულები ურთიერთობის არსებობა. საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და განმარტა, რომ პირი, რომელიც სხვის სასარგებლოდ ახორციელებს შესრულებას, ვალდებულია დაამტკიცოს, რომ ამ შესრულებით მოწინააღმდეგე მხარეს მის მიმართ ვალდებულება ნარმოეშვა. ამ წესიდან გამონაკლისი არის მხოლოდ შესრულება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, რადგან ვალდებულების არარსებობის მტკიცება, ჩვეულებრივ, ობიექტურად, შეუძლებელია.

იმისათვის, რომ სასამართლომ იმსჯელოს უსაფუძვლო გამდიდრებით ნარმოშობილი ვალდებულების არსებობის შესახებ, აუცილებელია, მოსარჩელემ თავისი მოთხოვნა, სწორედ, ამ ფაქტს დააყრდნოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, საკუთარი ინიციატივით, შეცვალოს სარჩელის სამართლებრივი საფუძველი. ეს დაარღვევს, არა მარტო, დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებს, არამედ მთლიანად შეცვლის მხარეთა პროცესუალურ მდგომარეობას – თუ ვალდებულებიდან გამომდინარე შესრულებისას მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აკისრია, ხოლო მოპასუხეს, მხოლოდ, ფაქტების მითითების ტვირთი აქვს – უსაფუძვლო გამდიდრებით ნარმოშობილ ურთიერთობებში, ვალდებულების არსებობის მითითებისა და მისი მტკიცების

<sup>86</sup> სუსგ, საქმე №ას-177-170-2016, 29 ივლისი, 2016 წელი.

ტვირთიც მოპასუხეს ეკისრება. თუ მოსარჩელე მოთხოვნის საფუძვლად ვალდებულებას უთითებს, თავად არის ამ მითითებისა და, აქედან გამომდინარე, შესაბამისი სამართლებრივი შედეგების რისკის მატარებელი.

## თავი 6

### შეცდომები მტკიცების ტვირთის განაწილებისას

ქვემოთ მითითებულ კონკრეტულ დავებში საკასაციო სასამართლომ მიიჩინა, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა არასწორად გაანაწილეს მტკიცების ტვირთი.

#### 6.1. მტკიცების ტვირთი საიჯაროსამართლებრივ დავაში არასწორად განაწილდა

საიჯაროსამართლებრივ დავაზე<sup>87</sup> მეიჯარე (მოსარჩელე) მოითხოვდა საიჯარო ქირისა და პირგასამტებლოს გადახდას. მტკიცების საგანში შემავალ ფაქტობრივ გარემოებას მხარეთა შორის საიჯარო ქონებით სარგებლობისა და მფლობელობის ფაქტი წარმოადგენდა. საკასაციო პალატამ გაიზიარა კასატორის (მოსარჩელის) პრეტენზია, რომ იჯარის ხელშეკრულების ვადის ამონტურვის შემდეგ მოპასუხე აგრძელებდა საიჯარო ქონების ფლობას და დაუსაბუთებლად ჩათვალა სააპელაციო პალატის დასკვნა ამ გარემოების მტკიცების ტვირთის მოსარჩელისთვის დაკისრების თაობაზე. პალატის აზრით, ამ შემთხვევაში, მოთხოვნის წარმომშობ ფაქტზე (ქონების დაბრუნების დაყოვნება), მითითება (სსკ-ის 591-ე მუხლი) ევალებოდა მოსარჩელეს, რაც მან განახორციელა კიდეც. მითითებული ფაქტის გაქარწყლების ვალდებულება კი, მოიჯარის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა (სსკ-ის 602-ე მუხლი), მით უმეტეს, რომ საიჯარო რეესტრის მონაცემებით, საიჯარო უფლება კვლავ მის სახელზე ირიცხებოდა. საკასაციო პალატამ იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ საიჯარო ქონების დაბრუნების ფაქტობრივი გარემოება დადასტურებული არ არის, ახალი გადაწყვეტილებით მიიჯარეს დააკისრა საიჯარო ქირა სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ სარჩელის აღძვრამდე.

ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო საკასაციო სასამარ-

<sup>87</sup> სუსგ, საქმე №ას-2-2-2016, 14 ივნისი, 2016 წელი.

თლომ მსგავს საქმეზე<sup>88</sup> და მცდარად მიიჩნია სააპელაციო პალატის დასკვნა იმ ნაწილში, რომლითაც არ იქნა გაზიარებული მეიჯარის (მოსარჩელის) პრეტენზია ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის ქირის დაკისრების თაობაზე. სასამართლოს აზრით, დასკვნის სიმცდარე განაპირობა იმან, რომ სასამართლომ არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის და მოსარჩელეს დაავალა იმის დამტკიცება, რომ მოიჯარეს ვადის გასვლის შემდეგ საიჯარო ქონება უკან არ დაუბრუნებია. უდავოა, რომ ამ შემთხვევაში მოთხოვნის წარმომშობი ფაქტის (ქონების დაბრუნების დაყოვნება), მითითება (სკ-ის 591-ე მუხლი) ევალებოდა მოსარჩელეს, რაც მან გააკეთა კიდეც, მაგრამ ამ ფაქტის უარმყოფელი მტკიცებულების წარდგენა ევალებოდა მოიჯარეს სსკ-ის 602-ე მუხლიდან გამომდინარე, მით უმეტეს რომ სადაც პერიოდამდე საჯარო რეესტრის მონაცემებით იჯარის უფლება ისევ მის სახელზე ირიცხებოდა. პალატის დასკვნით, მეიჯარის (მოსარჩელის) პრეტენზია ამ ნაწილში დასაბუთებულია, რადგანაც არსებობს სკ-ის 591-ე მუხლის პირველი წინადადებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი წინაპირობები და მოპასუხე ვალდებულია, გადაიხადოს ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის საიჯარო ქირა.

## **6.2. მოვასუხის მტკიცების ფვილთი მოსარჩელეს არასწორად დაეკისრა**

ერთ-ერთ საქმეზე<sup>89</sup>, რომელშიც მოსარჩელე მოპასუხეები-სათვის ქირავნობისა და მიბარების ხელშეკრულებების საფუძველზე ითხოვდა მოხმარებული ელენერგოის დავალიანების გადახდას, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არ დააქმაყოფილეს სარჩელი, ვინაიდან მოსარჩელემ ვერ წარუდგინა სასამართლოს მისი მოთხოვნების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

საკავაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაანაწილა მხარეებს შორის მტკიცების ტვირთი, კერძოდ, მოპასუხის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს დააკისრა.

სასამართლოს მსჯელობით, განსახილველ შემთხვევაში გადამწყვეტი იყო სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილით დად-

<sup>88</sup> სუსგ, საქმე №ას-1203-1130-2015, 01 ივნისი, 2016 წელი.

<sup>89</sup> სუსგ, საქმე №ას-641-607-2015, 25 სექტემბერი, 2015 წელი.

გენილი წესი („თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემო-  
ებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შე-  
საგებელს“), რაც ნიშნავს იმას, რომ მოსარჩელემ, როგორც  
წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემობა, რომელიც მოთ-  
ხოვნის ნარმოშობას განაპირობებს, ხოლო მოპასუხემ მოთ-  
ხოვნის გამომრიცხავი, შემწყვეტი ან მისი განხორციელე-  
ბის ხელისშემშლელი გარემოებები. ქირავნობის ხელშეკრუ-  
ლების თანახმად, პირველი მოპასუხე იყო ვალდებული, დაე-  
მონტაჟებინა ქირავნობის ადგილზე წყლის, გაზისა და დენის  
მრიცხველები, რითაც დამოუკიდებლად აღირიცხებოდა პირ-  
ველი მოპასუხის მიერ მოხმარებული წყალი, გაზი და ელექტრო-  
ენერგია (მოცულობა). მოსარჩელე, ექსპერტის დასკვნაზე დაყ-  
რდნობით ამტკიცებდა, რომ მის ტერიტორიაზე არსებული  
ელექტროგამანანილებელი ჯისურიდან მარაგდებოდა როგორც  
გაქირავებული მაცივარი და საწყობი, ისე, მეორე მოპასუხის  
კუთვნილი 25-ტონიანი, მაცივარ-კონტეინერიც. ელჯისურის შე-  
სასვლელში კი, დამონტაჟებული იყო ორი „აქტიური ელექტრო-  
ენერგიის მრიცხველი“, რომელთაგან ერთი განკუთვნილი იყო  
ორივე მაცივრის მიერ დახარჯული ელენერგიის აღსარიცხავად,  
რადგანაც მოპასუხება სარჩელისგან თავს იცავდნენ იმ გა-  
რემოებაზე მითითებით, რომ მოხმარებული ელენერგიის ლი-  
რებულება სრულად გადასდილი ჰქონდათ, სწორედ მათ  
ვალდებულებას წარმოადგენდა, წარედგინათ სასამართლო-  
სათვის ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები, კერძოდ,  
რამდენი (მოცულობის) ელექტროენერგია მოხმარეს სადაც  
პერიოდის განმავლობაში და გადაუხადეს თუ არა მისი ღირე-  
ბულება მოსარჩელეს, რომლისგანაც, მათივე განმარტებით,  
ისინი „ყიდულობდნენ“ ელენერგიას.

### **6.3. მიუღებელი შემოსავლის მტკიცების ფაირთი მოპასუხეს არასწორად დაეკისრა**

სხვა საქმეზე<sup>90</sup> საკასაციო სასამართლომ დაასაბუთა, რა  
სკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევა, რაც გამოი-  
ხატა მტკიცების ტვირთის არასწორად განაწილებასა და  
მტკიცებულებათა არასწორ შეფასებაში, გააუქმა გასაჩივ-  
რებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილვე-  
ლად დაბრუნა ქვემდგომ სასამართლოში.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ზოგადი პრინციპის თა-

<sup>90</sup> სუსგ, საქმე №ას-406-383-2014, 17 აპრილი, 2015 წელი.

ნახმად, მოცემული კატეგორიის დავაში (მოსარჩელე ითხოვდა ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მომსახურების-თვის გადაცემული ინვენტარის დაუპრუნებლობით მიყენებული ზიანის – მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას) მოსარჩელეს ეკისრება, როგორც ფაქტების მითითების (მტკიცების საგანი), ასევე, მათი დამტკიცების ტვირთი (მტკიცების ტვირთი). შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე იყო ვალდებული, მიეთითებინა და სარწმუნოდ დაემტკიცებინა, რომ მოპასუხის ქმედება იყო არამართლზომიერი, ამ ქმედებამ გამოიწვია ზიანი, მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი, ისიც თუ რას შეადგენს ზიანის ოდენობა. ამასთან, ვინაიდან კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვს ზიანის ანაზღაურებას მიუღებელი შემოსავლის სახით, მოსარჩელეს იმგვარი მტკიცებულებები უნდა წარედგინა, რომელიც შექმნიდა ობიექტურ, რეალურ სურათს ასეთი შემოსავლებს მიღებასთან დაკავშირებით და არა ვარაუდს, ალბათობას შემოსავლის მიღების თაობაზე, გამომდინარე იქიდან, რომ სკ-ის 411-ე მუხლი მხოლოდ იმ შემოსავლის ანაზღაურების ვალდებულებას აკისრებს ხელშეკვერე მხარეს, რომელიც ობიექტური მოცემულობითაა ნაკარნახვი და არა კრედიტორის სუბიექტური შეფასებით.

#### **6.4. წარიღობითი მტკიცებულების შეფასებისას, სასამართლო არასორიად გადაანაცილა მტკიცების ტვირთი და მოვალის სამტკიცებელი ტვირთი კრედიტორს დააკისრა**

კონკრეტულ საქმეზე<sup>91</sup>, რომლითაც მოსარჩელე ითხოვდა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულებას, ფულადი ვალდებულების შესრულების ნაწილში, მოწმეთა ჩვენებებისა და სისხლის სამართლის მასალების გარდა საპელაციო სასამართლო დაეყრდნო საქმეში წარდგენილ მოსარჩელის (კრედიტორის) ხელწერილს.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიხედვით, კრედიტორმა სადაცო გახადა ხელწერილის ნამდვილობა და მიუთითა, რომ იგი მას არ შეუდგენია, თუმცა ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, გარდა საკუთარი ახსნა-განმარტებისა, რომელიც არაა საკმარისი წერილობითი მტკიცებულების უარსა-ყოფად, არ წარუდგენია.

---

<sup>91</sup> სუსგ, საქმე №ას-872-830-2013, 17 ოქტომბერი, 2014 წელი.

საკასაციო პალატამ გაიზიარა კასატორის (კრედიტორის-მოსარჩელის) პოზიცია ხელწერილის შეფასების უკანონობის თაობაზე და განმარტა, რომ მითითებული წერილობითი მტკიცებულების - ხელწერილის შეფასებისას, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გადაანაწილა მტკიცების ტვირთი და მოპასუხის (მოვალის) სამტკიცებული ტვირთი დაკისრა მოსარჩელეს (კრედიტორს). პალატის მოსაზრებით, ყურადსალებია არა მარტო მატერიალურსამართლებრივი ნორმით (სკ-ის 623-ე მუხლი) გათვალისწინებული მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტი, არამედ მითითებული ნორმის მიხედვით გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულების ნამდვილობასთან დაკავშირებული მტკიცების ტვირთის პროცესუალურსამართლებრივი სტანდარტი (სსკ-ის 137-ე მუხლი), კერძოდ, სკ-ის 137-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეს უფლება აქვს, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების სტადიაზე განაცხადოს, რომ წარდგენილი საბუთი ყალბია. ასეთი მას შეუძლია, განაცხადოს საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის დროსაც, თუ ეს საბუთი წარდგენილი იქნა ამ სასამართლო სხდომაზე ან ადრე წარდგენილი საბუთის სიყალბე მისთვის ცნობილი გახდა სხდომაზე.

განსახილველი ნორმის მიხედვით, პირს, ვის წინააღმდეგაც წარდგენილია საბუთი, შეუძლია, უარყოს იგი მის სიყალბეზე მითითებით, მარტივი შესაგებლით. ამ შემთხვევაში ამ უკანასკნელს არ ეკისრება ამ უარყოფის დადასტურება. პირიქით, იმ პირს, ვის სასარგებლოდაც მიუთითებს (ვინც წარადგინა) ეს მტკიცებულება, მას ეკისრება მისი ნამდვილობის დადასტურება, თუ მისმა მოწინააღმდეგე მხარემ ამ საბუთის ნამდვილობა გახადა სადაცოდ.

აღნიშნული თავისებურება უფრო მკვეთრად ვლინდება განსახილველი მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმად, მტკიცებულების წარმდგენ მხარეს შეუძლია, სთხოვოს სასამართლოს მტკიცებულებებიდან საბუთის ამორიცხვა და საქმის გადაწყვეტა საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების საფუძველზე. ასეთი თხოვნის არარსებობის შემთხვევაში, სასამართლო შეამონებს საბუთის ნამდვილობას, რისთვისაც შეუძლია, დანიშნოს ექსპერტიზა, მოითხოვოს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა ან გამოითხოვოს სხვა მტკიცებულებები.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, წარდგენილ წერილობით მტკიცებულებათა ნამდვილობის შემოწმება შეიძლება სასამართლოს ინიციატივით.

ამდენად, თუ მხარე მიუთითებს საბუთის სიყალბეზე (რის-

თვისაც კანონი არ ითხოვს დადასტურებას), ამ შემთხვევაში საბუთის წარმდგენ მხარეს შეუძლია, სთხოვოს სასამართლოს მტკიცებულებებიდან სადავო საბუთის ამორიცხვა და საქმის გადაწყვეტა საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების საფუძვლზე, მაგრამ, თუ ეს უკანასკნელი არ მოითხოვს ამ საბუთის ამორიცხვას (შესაბამისად, არც ადასტურებს მის ნამდვილობას), სასამართლო შეამოწმებს საბუთის ნამდვილობას, რისთვისაც შეუძლია, დანიშნოს ექსპერტიზა, მოითხოვოს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა, გამოითხოვოს სხვა მტკიცებულებების წემოაღნიშნული მშჯელობიდან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ, განსახილველი ნორმების თანახმად, მხარე, რომელიც უთითებს მის სასარგებლო ფაქტზე, მანვე უნდა დაამტკიცოს ეს ფაქტი შესაბამისი მტკიცებულებებით (სსკ-ის მე-4, 102-ე მუხლები, ასევე, სკ-ის 623-ე, 429-ე და 433-ე მუხლები), შესაბამისად, მასვე ეკისრება ამ მტკიცებულებების ნამდვილობის დადასტურებაც (სსკ-ის 137-ე მუხლი). ზემომითითებული განმარტებების მიხედვით, სასესხო ურთიერთობებში მოვალეობ უნდა დაადასტუროს ვალდებულების შესრულების სადავო ფაქტები შესაბამისი მტკიცებულებებით, ასევე, ამ მტკიცებულებების ნამდვილობაც.

#### **6.5. ამხანაგობის პრეპის ოქმის გათიღად ცხობის შესახებ დავავი სასამართლომ მოსარჩევათა მტკიცების ტვირთი მოსასუხეს დააკისრა**

საქმის ფაბულით<sup>92</sup> შეგებებულ სარჩელში დავის საგანს ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის კრების ოქმის ბათილად ცნობა წარმოადგენს. აღნიშნული კრების ოქმით ძირითადი მოსარჩელე (მოპასუხე შეგებებულ სარჩელში) ამხანაგობის წევრი გახდა უძრავი ქონების მიღების პირობით. შეგებებული სარჩელის მოსარჩელეებმა კრების ოქმის ბათილად ცნობა მოითხოვეს იმ საფუძვლით, რომ კრება არ იყო გადაწყვეტილებაუნარიანი. სააპელაციო პალატამ უცვლელად დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სადავო კრების ოქმის ბათილად ცნობის შესახებ და აღნიშნა, რომ ძირითად მოსარჩელეს (მოგასუხეს შეგებებულ სარჩელში) უნდა ემტკიცებინა, კრების სსკ-ის 930-ე-940-ე მუხლების შესაბამისად ჩატარების შესახებ.

მოსარჩელემ საკუთარი მოთხოვნების დასასაბუთებლად სა-

<sup>92</sup> სუსგ, საქმე №ას-1328-1254-2012, 26 მარტი, 2015 წელი.

დავო კრების ოქმი და ხელშეკრულება წარადგინა. მოპასუხე-  
ებს კი, მიუთითებდნენ რა მათ ბათილობაზე, სათანადო მტკი-  
ცებულებებით უნდა დაადასტურებინათ კრების ოქმის კანონ-  
სანინააღმდეგობა, კერძოდ კი ამხანაგობის წესდება ან სხვა  
დოკუმენტაცია, საიდანაც გაირკვეოდა, 2008 წლის მონაცემე-  
ბით ვინ იყო ამხანაგობის წევრი ან გადაწყვეტილების მიღების  
რა წესი მოქმედებდა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კრების ოქმი თავისი  
შინაარსით, იძლევა იმ ვარაუდის დაშვების საფუძველს, რომ  
კრებაზე დამსწრე პირები წილის მოსარჩელისათვის გადა-  
ცემას ეთანხმებოდნენ. ამ ვარაუდის გაბათილება კი, მოპა-  
სუხეთა მტკიცების ტვირთში შედის. მოპასუხეებს უნდა და-  
ედასტურებინათ შესაბამისი მტკიცებულებებით, ხელშეკ-  
რულების დადების დროისათვის ამხანაგობას რამდენი წევ-  
რი ჰყავდა და ყველა მათგანი დაესწრო თუ არა სადავო კრე-  
ბას. თუნდაც დადასტურებულად იქნეს მიჩნეული, რომ კრე-  
ბას მხოლოდ 5 წევრი ესწრებოდა, ის ფაქტი, რომ ამხანაგო-  
ბას იმ დროისათვის 5-ზე მეტი წევრი ჰყავდა, მოპასუხეთა  
მტკიცების საგანია.

#### 6.6. წილის ნასყიდობის ხელშეკრულების პათილად ცხოვის შესახებ დავაში სასამართლო არასერიალ გამიჯნა და გაანაცილა მხარითა შორის ფაქტობრივი გარემოებების მითითებისა და მფიციცების ტვირთი

ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეზე<sup>93</sup> უზენაესი სასამართლოს  
დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მხა-  
რეთა შორის ფაქტობრივი გარემოებების მითითებისა და  
მტკიცების ტვირთი არასწორად გამიჯნა და გაანაწილა (გან-  
სახილველ დავაში მოსარჩელის ერთ-ერთ მოთხოვნას იძულე-  
ბით დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა და საკუთრე-  
ბის დაბრუნება წარმოადგენს.) საკასაციო სასამართლოს მითი-  
თებით, მტკიცების ტვირთის სწორად გაანაწილების შემთხვევა-  
ში ქვემდგომ სასამართლოს შესაძლებლობა ექნებოდა, განხორ-  
ციელებულად ჩაეთვალა სკ-ის 992-ე, 998-ე მუხლებისა და 408-  
ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებ-  
რივი შედეგის განმაპირობებელი ფაქტობრივი წანამდლვრები  
და გასაჩივრებულ ნაწილში სარჩელის საფუძვლიანობასთან მი-  
მართებით შესაბამისი სამართლებრივი დასკვნებიც გამოეტა-

<sup>93</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2  
მარტის გადაწყვეტილება. საქმე №ას-664-635-2016, გვ.158.&192.

ნა. სასამართლოს დასკვნით, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტების მითითებასა და მტკიცების ტვირთს შორის საკმაოდ მჭიდრო ურთიერთკავშირია, უფრო მეტიც, როგორც წესი, ისინი ერთმანეთსაც ფარავენ, მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა აუცილებელია, რადგანაც უმეტესწილად სწორედ ასეთი გამიჯვნა პასუხობს იმას, თუ ვის აწევს ან ვისზე გადადის მტკიცების ტვირთი.

კონკრეტულ დავაში მოსარჩელე თავისუფლდება იძულების ფაქტის მტკიცებისგან, რადგან ერთ-ერთი მოპასუხე სადაცოდარ ხდის მოსარჩელის მიერ მითითებულ იძულების ფაქტს, რომელიც მოთხოვნის ძირითადი საფუძველია.

## თავი 7

### სამართლებრივი დასკვნა

საპროცესო სამართალში მოქმედი დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის კონსტიტუციური პრინციპის რეალიზაცია მოდავე მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ობიექტური და სამართლიანი განაწილების სტანდარტით მიღწევა. პროცესუალური შეჯიბრისას მხარეები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, რაც, უპირველეს ყოვლისა, მტკიცების პროცესში თანაბრობას გულისხმობს. სსკ-ის 102.1 მუხლით განმტკიცებული დანაწესის მიხედვით მხარეები მიუთითებენ მათი მოთხოვნის დამასაბუთებელ ფაქტებსა და გარემოებებზე და თავადვე უზრუნველყოფენ სარწმუნო და უტყუარი მტკიცებულებებით ამ ფაქტების მტკიცებას (დადასტურებას). მტკიცების ტვირთი (სიმძიმე) მხარეებს თანაბრად აჩვეთ. თითოეული მხარე ამტკიცებს მას, რასაც უთითებს სარჩელსა თუ შესაგებელში. საპროცესო კანონმდებლობა მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგად წესზე უშუალო მითითებას შეიცავს და აღნიშნული საკითხი სასამართლო პრაქტიკაში ნაკლებ პრობლემურია. კვლევამ აჩვენა, რომ სასამართლოები სამართალწარმოების პროცესში მტკიცების ტვირთის განაწილებისას შეცდომებს ძირითადად მაშინ უშვებენ, როცა მტკიცების ტვირთი სპეციალური (კერძო) წესით, კერძოდ, პრეზუმაციების გამოყენებით (დაშვებით) უნდა განაწილდეს.

ვფიქრობთ, აღნიშნული განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სამქალაქო სამართალში არ არის პრეზუმაციების, ანუ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების დასრულებული სისტემა. რიგ შემთხვევაში, კანონი არ შეიცავს პირდაპირ მითითე-

ბას იმაზე, თუ რომელმა მხარემ კონკრეტულად რა ფაქტი უნდა დაამტკიცოს ან, რომელი ფაქტების დამტკიცების საფუძველზე წარმოიშობა ვარაუდი სხვა ფაქტების არსებობა-არარსებობის შესახებ. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგიერთ წესს ადგენს სასამართლო პრაქტიკა, რაც ასებს კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზს<sup>94</sup>.

ეს ბუნებრივიცაა, რადგან „სამართალს არ შეუძლია და არც უნდა დააფიქსიროს უფლებებისა და მოვალეობების თანაფარდობის ყველა შესაძლო ვარიანტი და კომბინაცია. სამართლის ნორმა ურთიერთობის მონაწილეებს, მათ სავალდებულო და შესაძლებელ ქცევას, მათი მოქმედებების შედეგებს განსაზღვრავს მხოლოდ აბსტრაქტული ფორმით. ამასთან, სამართლი თავისი განვითარების პროცესში ჩამორჩება საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებას. სამართლის ამ კონსერვატიზმის კომპენსაციას ახდენს სასამართლო სამართლის შეფარდების პროცესში“<sup>95</sup>.

გასაზიარებელია დოქტრინაში არსებული მოსაზრება, რომ „ამ გზით (ე.ი.სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით) შეიძლება, საქართველოს კანონმდებლობაში გაჩნდეს ახალი ფასეულობები და ქცევის წესები. მით უფრო, რომ თანამედროვე სამართლებრივ სისტემაში კოდიფიცირებული სამართლი არ ზღუდავს სამართლის განვითარებას“<sup>96</sup>.

მტკიცების პროცესისთვის პრინციპული მნიშვნელობისაა, როგორც მტკიცების საგნის, ისე მტკიცების ტვირთის სწორად განსაზღვრა. მტკიცების ტვირთის ზოგადი წესის მიხედვით, მხარეს აწევს როგორც ფაქტების მითითების, ასევე, მათი მტკიცების მოვალეობა. გამონაკლის შემთხვევებში კი, ფაქტების მითითებისა და მტკიცების ტვირთი განსხვავებულად ნაწილდება<sup>97</sup>.

სამოქალაქო სამართლის დოქტრინაში სამართალურთიერთობის მხარეთა თანასწორობის კლასიკური პრინციპის გვერ-

<sup>94</sup> ი.გაგუა, „მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, 2013, მერიდიანი, გვ. 146, 153.

<sup>95</sup> გ.ხუბუა, სამართლის თეორია, თბ., 2004, გვ. 132. მითითებულია: ი.გაგუა, „მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, 2013, მერიდიანი, გვ. 145.

<sup>96</sup> დ.კერესელიძე, „კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები“, 2009, გვ. 70; გაგუა, გვ. 224.

<sup>97</sup> აღნიშნულის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ კვლევის 5.1.11., 6.1., 6.6. ცუნქტებში მითითებულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებები.

დით, არსებობს ე.წ. „ძლიერი“ და „სუსტი“ მხარის პრობლემა, რომელიც ნორმატიულად არაა ფიქსირებული, მაგრამ მატერიალურსამართლებრივ ნორმებში პოულობს გამოხატულებას და, შესაბამისად, უზრუნველყოფს ურთიერთობის მონაბილეთა თანასწორობას (მაგ. სკ-ის 325-ე, 347-ე-348-ე, 319-ე და სხვა მუხლები).

სასამართლო პრაქტიკა ხშირად სპეციალურ წესზე და მტკიცებით პრეზუმციებიზე დაყრდნობით, მტკიცების ტვირთის განაწილებისას, მტკიცების ტვირთის „ძლიერ“ მხარეს აკისრებს, რითაც გარანტირებულს ხდის შეჯიბრებით პროცესში მასთან „სუსტი“ მხარის პროცესუალურ თანასწორობას.

აღნიშნულის დასტურია შრომითი დავები სამუშაოდან განთვისუფლების თაობაზე.

სამსახურიდან განთავისუფლების მართლზომიერების კვლევისას, რომელიც უნდა შემონმდეს შრომის სამართალში მოქმედი ნორმებით, სასამართლო ხელმძღვანელობს მტკიცების ტვირთის განაწილების სწორედ იმ სტანდარტით, რომელსაც შრომის სამართალი აწესებს და, რომლის თანახმად, სწორედ დამსაქმებელია ვალდებული, ადასტუროს დასაქმებულის სამსახურიდან განთავისუფლების კანონიერი და საკმარისი საფუძვლის არსებობა. სამუშაოდან დათხოვნის შესახებ შრომით დავებში მტკიცებულებების წარმოდგენის თვალსაზრისით, მტკიცების ტვირთის განაწილების გარკვეულ თავისებურებას, დამსაქმებლისა და დასაქმებულის არათანაბარი შესაძლებლობები განაპირობებს. მოსარჩევე, დასაქმებული, რომელიც სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნის თაობაზე აპელირებს, ვერ დაადასტურებს მისი სამსახურიდან დათხოვნის უკანონობას. შესაბამისად, მოსარჩელის მითითება, რომ იგი უკანონოდ გაათავისუფლეს სამსახურიდან, მტკიცების ტვირთის აბრუნებს და დამსაქმებელს დასაქმებულის სამსახურიდან მართლზომიერად განთავისუფლების მტკიცების ვალდებულებას აკისრებს.

ამგვარი დასკვენის საფუძველია პრინციპი, რომლის მიხედვითაც დამსაქმებელს გააჩნია მტკიცებითი უპირატესობა, სასამართლოს წარუდგინოს მისთვის ხელსაყრელი მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, რომ მისმა თანამშრომელმა არაჯეროვნად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობები ან, რომ მას არ გააჩნია საკმარისი კვალიფიკაცია, ან არ ფლობს შესაბამის უნარ-ჩევეებს, რაც კონკრეტულ ქმედებებში გამოიხატა, ვიდრე დასაქმებული, რომელიც ობიექტურად ვერ შეძლებს მტკიცებულებების წარდგენას მასზე, რომ იგი ვალდებულ

ლებას ჯეროვნად ასრულებდა ან რომელ უნარ-ჩვევებს არ ფლობს, მით უფრო, რომ ამა თუ იმ საქმიანობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ფლობის საკითხი შეფასებით კატეგორიას გა-ნეკუთვნება.

სამართლიანი ბალანსი შრომის უფლებასა და დამსაქმებლის უფლებას შორის, გონიერული სტანდარტიდან უნდა გამომდი-ნარეობდეს. იმ პირობებში, როდესაც დასაქმებული თავისუფ-ლება სამსახურიდან კვალიფიკაციის ელემენტზე მითითებით, დამსაქმებელი ორგანიზაცია ვალდებულია, დაადასტუროს გა-რემოვებები იმის შესახებ, რომ გათავისუფლებული თანამშრო-მელი დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას თავს ვერ ართმევდა, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მითითებული გა-რემოვება მხოლოდ გასაუბრების გზით მოწმდება, ასეთ შემთხვე-ვაში, დამსაქმებელმა სათანადო მტკიცებულებების წარმოდ-გენის გზით უნდა დაადასტუროს, თუ რაში გამოიხატა დასაქ-მებულის მიერ საკუთარი ვალდებულებების არაჯეროვანი შეს-რულება ან იმ უნარ-ჩვევების ნაკლებობა, რომლის გამოც, იგი დაკავებულ თანამდებობასთან შეუფერებლად იქნა ცნობილი.

**სასამართლო დავებში, როდესაც სამოქალაქო სამარ-თლებრივი ურთიერთობის მხარე სახელმწიფოა, განსაკუთ-რებით მაღალი სტანდარტით უნდა შემოწმდეს და შეფასდეს გარიგების „ძლიერი“ კონტრაქტის ქცევა/ქმედება, რამ-დენად შეესაბამება სსკ-ის 54-ე მუხლის წინაპირობათაგან ისეთ სპეციფიკურ დანაწესს, როგორიცაა – ზნეობის ნორ-მები. განსაკუთრებით მაშინ, როცა აშკარაა, რომ უმეტესწილად სწორედ სახელმწიფო იღებს სარგებელს გარიგებიდან, „სუსატი მხარის“ (კერძო პირის) ხარჯზე. ასეთ ვითარებაში სასამართლოს კვლევისა და შეფასების საგანია, თუ რამდენად მორალურად შეიძლება იქნეს მიჩნეული ისეთი გარიგება, როდესაც სახელ-მწიფო უსასყიდლოდ დებულობს გარკვეულ მომსახურებას, ქო-ნებას საკუთრებაში და ა.შ, ანუ პრაქტიკულად, რატომ შეიძლე-ბა კერძო სამართლის პირმა „დაასაჩუქროს“ სახელმწიფო, რამ-დენად შეესაბამება აღნიშნული იმ ზოგად მორალურ კატეგო-რიას, რომ სახელმწიფოს, რომელსაც აქვს ვალდებულება სა-კუთარი რესურსებით თითოეული პირის უფლება და ინტერესი დაიცვას, ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა აჩუქოს რაიმე ქო-ნება, უსასყიდლოდ მოემსახუროს.**

სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული კერძოსამართლებ-რივი გარიგებების შეცილების შედეგად, მტკიცების ტეირთი სა-ხელმწიფოზე გადადის და, თუკი მოსარჩეულ კონკრეტულ ფაქ-ტებზე მითითებით აცხადებს, რომ მასზე განხორციელდა იძუ-

ლება (ფიზიკური ან ფსიქოლოგიური), პრეზუმირებულია, რომ გა-მოიყენეს იძულება და სახელმწიფოს უბრუნდება მტკიცების ტვირთი, რომ იძულების ფაქტი არ არსებობდა, მანვე უნდა და-ამტკიცოს, რატომ არის შეუძლებელი ამგვარი პრეზუმაციის დაძვება, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გარიგების შინაარსის დეტალურ კვლევასა და გაანალიზებას მოითხოვს.

მტკიცებულებით პრეზუმაციებთან დაკავშირებით, საყუ-რადლებოა გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ მოპასუ-სის სასარგებლოდ ფულადი ვალდებულების შესრულების პრეზუმაციის დაშვებით საკასაციო სასამართლოს სტაბი-ლური პრაქტიკისაგან განსხვავებით გაანაზილა მტკიცების ტვირთი. მიუხედავად იმისა, რომ მოვალემ ვერ წარადგინა ფუ-ლადი ვალდებულების შესრულების თაობაზე სკ-ის 429-ე მუხ-ლით დადგენილი მტკიცებულება, სასამართლომ სხვა (არა-პირდაპირ) მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაუშვა პრე-ზუმაციის არსებობის შესაძლებლობა, რომ კრედიტორის მიერ უცხოეთში განხორციელებული ტრანზაქციის თანხა სწორე დ მოვალის მიერ კრედიტორისთვის ნალდი ანგარიშ-სწორებით იყო გადახდილი.

საინტერესოა უსაფუძვლო გამდიდრების კანონისმიერი სა-ფუძვლით წარმოებულ დავებში მტკიცების ტვირთის განაწი-ლების საკითხი. იმის გათვალისწინებით, რომ შესრულების კონ-დიქცია გულისხმობს ვითომ კრედიტორის ქონების შეგნებულ და მიზანმიმართულ გაზრდას, რომელსაც არ გააჩნია სამარ-თლებრივი (სახელშეკრულებო ან კანონისმიერი) საფუძველი, ან ამგვარი საფუძველი, ნორმაში მითითებულ გარემოებათაგან ერთ-ერთის არსებობის გამო, არ წარმოშობილა ან შეწყდა და შესრულების კონდიქციისას, ისევე, როგორც უსაფუძვლო გამ-დიდრების ინსტიტუტისათვის მახასიათებელი მოთხოვნა უსა-ფუძვლოდ მიღებულის უკან დაბრუნებაა, კონდიქციური ვალ-დებულების მტკიცების საგანში შემავალი გარემოებია: შესრულება (სამართლებრივი სიკეთის ვითომ-კრედიტორი-სათვის გადაცემა), მოპასუხის გამდიდრება, ამის შესაბამი-სად, მოსარჩევის ქონებრივი დანაკლისი, მატერიალურ/ არამატერიალურ სიკეთეთა ამ გადანაცვლების უსაფუძ-ვლობა/გაუმართლებლობა. (განხორციელებული გადაცე-მის ფაქტობრივი საფუძვლის არარსებობა/შეწყვეტა). აღნიშ-ნულთაგან ერთ-ერთი ელემენტის არარსებობა, მოთხოვნის დაქმაყოფილებას გამორიცხავს, ამასთანავე, როგორც მატერი-ალური (სკ-ის 976-ე მუხლი), ისე, საპროცესო (სსკ-ის 102-ე მუხ-ლი) ნორმის თანახმად, მტკიცების საგანში შემავალი გარე-

მოებების დადასტურების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს. ამასთან მოსარჩელემ უნდა გააქარწყლოს მოპასუხის (ვი-თომ-კრედიტორის) სასარგებლოდ სკ-ის 361-ე მუხლის პირ-ველი ნაწილით დაშვებული კანონისმიერი პრეზუმფცია, რომლის თანახმადაც ყოველი შესრულება გულისხმობს ვალ-დებულების არსებობას.

საგულისხმოა, რომ საზოგადოების ნინაშე დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას მოქმედებს პრეზუმფცია მოსარჩელის (საზოგადოების) სასარგებლოდ, იმ თვალსაზრისით, რომ ზიანი მოპასუხის (დირექტორის) ბრალითაა მიღებული. საზოგადოების მიერ სარჩელის საფუძვლინობის დასადასტურებლად წარდგენილი მტკიცებულებების გაქარწყლების ვალდებულება ეკისრება დირექტორს, რომელმაც უნდა დაადასტუროს, რომ მას არ მიუძღვის საზოგადოებისათვის მიყენებულ ზიანში ბრალი და, რომ ის მოქმედებდა გულმოდგინე ხელმძღვანელის კეთილსინდისიერებით. მტკიცების თვალსაზრისით, მსგავსი კატეგორიის საქმეებზე მოსარჩელის ვალდებულებას წარმოადგენს ზიანის არსებობის ფაქტის დამტკიცება, ხოლო სანარმოს ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი ვალდებულია, გააქარწყლოს ეს გარემოება იმგვარად, რომ იგი კახონის მოთხოვნათა შესაბამისად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობებს და თუნდაც მატერიალური დანაკლისის არსებობის შემთხვევაში, ეს არ არის დირექტორის ბრალებული ქმედების შედეგი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მტკიცების ტვირთის განაწილების განსხვავებულ (ე.ნ.ინოვაციურ) წესს, წარმოების ისეთი სახეების დროს, რომელიც შეეხება რეეგული ქონების, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებული საქმეების განხილვას. წარმოების დასახელებულ კატეგორიაში მტკიცებულება გარკვეული ფაქტის დასადასტურებლად მოეთხოვება იმ მხარესაც, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცების ტვირთი არ ეკისრება, რაც ცვლის მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების მანამდე დადგენილ წესს. ეს ნიშნავს, რომ იმ ფაქტის დამტკიცების მოვალეობა, რომელიც ევალებოდა ერთ მხარეს, საბოლოო ჯამში გადაეკისრება მეორე მხარეს. **დამტკიცების ტვირთი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სა-**

მართალში არის მოძრავი, იგი არაა მუდმივად მიჯაჭვული პრეზუმუტციაზე. მტკიცების ტვირთი ეკისრება სწორედ პროცესის იმ მონაწილე მხარეს, რომლისთვისაც უფრო ადვილია მტკიცებულებათა წარმოდგენა<sup>98</sup>.

საგულისხმოა, რომ მტკიცების ტვირთის სწორ განაწილებას და, საბოლოოდ, კანონიერი გადაწყვეტილების მიღებას განაპირობებს, არა მარტო მატერიალურ-სამართლებრივი, არამედ პროცესუალურსამართლებრივი გარემოებების შეფასება.

ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეზე, სადაც დავის საგანს წილზე საკუთრების უფლების აღდგენა/დაბრუნება წარმოადგენს, სარჩელის წარმატება ძირითადად სწორედ მითითებისა და მტკიცების ტვირთის სწორად გამიჯვნამ და განაწილებამ განაპირობა. სადაც არსებითი როლი პროცესუალურსამართლებრივმა ფაქტებმა შეასრულეს. სასამართლომ, ერთ-ერთი მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო, მოსარჩელე გაათავისუფლა მის მიერ სარჩელის საფუძვლად მითითებული იძულების ფაქტის მტკიცებისაგან და აღნიშნული ფაქტი განხორციელებულად/დამტკიცებულად ჩათვალა. ამასთან, მეორე მოპასუხის მიერ წარდგენილი არაკვალიფიციური შესაგებლის ანალიზის საფუძველზე სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული და მოპასუხის, ერთ შემთხვევაში, შეუდავებელი, ხოლო, მეორე შემთხვევაში, არაკვალიფიციურად შედაგებული გარემოებები სამართლებრივად ქმნის იმის პრეზუმუციას, რომ მოსარჩელის საკუთრების უფლება ხელყვეს იძულების გზით. პრეზუმირებული ფაქტები კი, ამ ტვირთის მქონე მოპასუხებმა ვერ გააქარწყლეს.

მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალურ წესზე მითითებას საპროცესო კოდექსი არ შეიცავს. მიზანშენონილი იქნებოდა საკანონმდებლო ცვლილების გზით აღნიშნული საკითხის მოწესრიგება, კერძოდ, სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის ჩამოყალიბება შემდეგი სახით: **თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, თუ კანონით მტკიცების ტვირთის განაწილების განსხვავებული წესი არ არის დადგენილი, რაც სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში რეალურად არსებულ მტკიცების ტვირთის განაწილების ამ მნიშვნელოვან წესს საპროცესო კანონმდებლობაში ნორმატიულად განამტკიცებდა.**

<sup>98</sup> ი. გაგუა, „მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, 2013, მერიდიანი, გვ.142.

## **შენიშვნებისთვის**

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32  
ტელ.: (995 32) 299 04 18  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)